შრომითი ემიგრაცია დაბა თიანეთიდან: ემიგრაციული ქსელების განვითარება

წარდგენილია

თამარ ზურაბიშვილის

მიერ

ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სოციოლოგიის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი, დეკემბერი, 2007

შინაარსი:

	შესავალი	**3**
თავი I.	**შრომითი ემიგრაციის კვლევის თავისებურებანი საქართველოში**	**8**
1.1.	კვლევის მიზნები და ამოცანები	8
1.2.	კვლევის მეთოდოლოგია	9
1.3.	თიანეთი როგორც კვლევის ადგილი	15
1.4.	კვლევის შედეგების განზოგადების შესაძლებლობა	17
თავი II.	**საერთაშორისო შრომითი ემიგრაცია – თეორიული წინამძღვრები**	**18**
2.1.	საერთაშორისო შრომითი მიგრაციის თეორიები	19
2.1.1.	ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია	20
2.1.2.	ახალი ეკონომიკური თეორია	23
2.1.3.	დუალური/სეგმენტირებული მუშახელის ბაზრის თეორია	24
2.1.4.	მსოფლიო სისტემების თეორია	25
2.1.5.	სოციალური კაპიტალის თეორია	26
2.1.6.	თეორიული სინთეზი	32
თავი III.	**შრომითი ემიგრაცია თიანეთიდან**	**34**
3.1.	თიანეთიდან შრომითი ემიგრაციის გამომწვევი ეკონომიკური მიზეზები	34
3.1.1.	სიღარიბე	34
3.1.2.	შემოსავლები და ხარჯები	38
3.1.3.	ვალები	42
3.2.	თიანეთიდან შრომითი ემიგრაციის საერთო დახასიათება	44
3.2.1.	რატომ მიდიან	51
3.2.2.	რა მიზნით მიდიან	57
3.2.3.	როგორ მიდიან	59
3.2.4	რა ჯდება ეს	66

3.2.5.	ემიგრაციის ქვეყნები	68
3.2.6.	რატომ ბრუნდებიან	70
3.2.6.1.	კმაყოფილება ემიგრაციის შედეგებით	80
3.2.7.	პოტენციური ემიგრანტები	82
3.2.8.	ფულადი გზავნილები	84
3.2.8.1.	ფულადი გზავნილების სიხშირე	87
3.2.8.2.	ფულადი გზავნილების დანიშნულება და გამოყენება	93
თავი IV.	**ემიგრაციული ქსელები**	**96**
4.1.	"ჩვენიანი" საზღვარგარეთ	96
4.2.	როგორ ეხმარებიან ქსელები	103
4.2.1.	ფინანსური დახმარება	104
4.2.2.	საინფორმაციო დახმარება	109
4.2.3.	ინსტრუმენტული დახმარება	110
4.2.4.	ფსიქოლოგიური დახმარება	113
	დასკვნა	**116**
	რეზიუმე	**120**
	ბიბლიოგრაფია	**131**
	დანართი 1. კითხვარი	**139**
	დანართი 2. სადისკუსიო გეგმები	**150**

შესავალი

არა, ამას არაფერი არ შეედრება, როდესაც შენს ქვეყანაში ხარ და შენს ქვეყანაში ცხოვრობ და შენს ქვეყანას ახმარ იმ ცოდნას, რაც გაგაჩნია ადამიანს. ძალიან ძნელია, როცა ის პროფესია – ცოცხი და ტილო – შენი პროფესია არ არის, და აი ამით, რომ ემსახურები სხვას, აი, ეს ძალიან ძნელი არის, ძალიან. მაგრამ როდესაც შიმშილია, სიტიტვლეა, დავუშვათ და, ელემენტარული პირობები არა მაქვს ცხოვრებისა, იძულებული ხარ, რომ ადამიანი წახვიდე, იძულებული ხარ. რა ვიცი, ესეა ნათქვამი საერთოდ, რო ადამიანიო, რო თავის ქვეყანაშიო, ვერ იპოვისო სიკეთესო, ვერ ნახავსო, არა? აუცილებლად სხვა ქვეყანაში უნდა ეძიოს ბედიო. ასე წერია ბრძნულ გამონათქვამებში და ასე ყოფილა მართლაც.

გ., ქალი, 49 წლის, ისრაელი[1]

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს დაბა თიანეთიდან[2] შრომითი ემიგრაციისა და თიანეთელი ემიგრანტების ემიგრაციული ქსელების შესწავლას. შრომითი ემიგრაციის თემა საქართველოში ბოლო წლებში სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება. როგორც 2002 წელს საქართველოში ჩატარებულმა საყოველთაო აღწერამ უჩვენა, 1989 წელთან შედარებით საქართველოს მოსახლეობა ერთ მილიონ ადამიანზე მეტით შემცირდა, რაც, როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, მეტწილად მოსახლეობის ემიგრაციითაა გამოწვეული[3]. 2003-2004 წლებში საქართველოში ჩატარებული კვლევების მიხედვით, თითქმის ყოველ მე-10

---

[1] ამ და სხვა შემთხვევებში, რესპონდენტების ციტირებისას მითითებულია რესპონდენტის ინიციალი, სქესი, ასაკი და ემიგრაციის ქვეყანა. იმ შემთხვევაში, თუ ემიგრაციის ქვეყანა არ არის მითითებული, ინტერვიუ ჩატარდა ამჟამინდელი ემიგრანტის ოჯახის წევრთან.

[2] შემდგომში 'თიანეთი'.

[3] ა.გ. ვადაჭკორია, *გარე მიგრაციული პროცესები საქართველოში (1989-2002 წლები).* დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი. (თბილისი, 2004).

ოჯახში ერთი ან რამოდენიმე წევრი იმყოფებოდა ემიგრაციაში[4]. უმუშევრობის მაღალი დონე (განსაკუთრებით – რეგიონებში), ამასთან – დასაქმებულთა დაბალი ანაზღაურება უბიძგებს მოსახლეობის დიდ ნაწილს ეძიოს სამსახური საზღვარგარეთ, ხოლო საზღვარგარეთ მიღებული შემოსავლით საქართველოში დარჩენილი ოჯახები არჩინოს. ფინანსური დახმარება, რომელსაც ქართველი ემიგრანტები თავიანთ ოჯახებს უგზავნიან, საკმაოდ სერიოზულ როლს თამაშობს ამ ოჯახებისათვის და მათი შემოსავლების მნიშვნლოვან ნაწილს შეადგენს[5].

შრომითი მიგრაცია განპირობებულია ორი ძირითადი მიზეზით: მიმღებ ქვეყნებში არსებული მოთხოვნით მუშახელზე, რომელსაც ამ ქვეყნების მოსახლეობა ვერ აკმაყოფილებს, და ემიგრანტების მშობლიურ ქვეყნებში მუშახელის ჭარბი ოდენობით და უმუშევრობის საკმაოდ მაღალი დონით. შესაბამისად, მუშახელი, რომელიც დაუსაქმებელია ან არასრულად არის დასაქმებული, ან რომელსაც დაბალი ანაზღაურება აქვს, ცდილობს წავიდეს იმ ქვეყნებში, სადაც მასზე არის მოთხოვნა და სადაც უკეთესი ანაზღაურების მიღების მეტი პერსპექტივაა. ხოლო მიმღებ ქვეყნებში, ხშირ შემთხვევაში, მეწარმეები უპირატესობას სწორედ იმიგრანტ მუშახელს ანიჭებენ: როგორც წესი, იმიგრანტები მზად არიან შეასრულონ იმ ტიპის სამუშაო, რომლის შესრულებაც ადგილობრივ მუშახელს არ სურს; გარდა ამისა, ისინი თანხმდებიან უფრო დაბალ ანაზღაურებაზე და არ აპროტესტებენ ცუდ სამუშაო პირობებს. ამრიგად, შრომითი ემიგრაცია აკმაყოფილებს როგორც მიმღებ ქვეყნებს, ასევე ემიგრაციის ქვეყნებს – პირველ შემთხვევაში ისინი იკმაყოფილებენ მოთხოვნას მუშახელზე, ხოლო მეორე შემთხვევაში, ქვეყნები თავისუფლდებიან ჭარბი მუშახელისგან, და იღებენ საკმაოდ მნიშვნელოვან ფულად დახმარებას ემიგრანტებისგან.

---

[4] იხ. მაგ.: I. Badurashvili, "Illegal migrants from Georgia: labor market experiences and remittance behavior". IUSSP Conference. <http://iussp2005.princeton.edu/download.aspx?submissionId=51259> (2005). (მოძიებულია 25/12/2006); L. Dershem, T. Khoperia, "The Status of Households in Georgia." Final Report. (USAID, Save the Children, IPM, Tbilisi 2004), p. 42.

[5] იხ. წინამდებარე დისერტაციის ქვეთავი 4.2.1., "ფინანსური დახმარება" (გვ. 104).

შრომითი ემიგრაციის არსებული კვლევები საქართველოში ძირითად ყურადღებას ამახვილებენ ემიგრანტთა რაოდენობის გამოთვლაზე, ემიგრაციის მიმართულებებზე, ემიგრანტების დასაქმების სფეროებზე საზღვარგარეთ და მათ მიერ გამოგზავნილი ფულადი დახმარების ოდენობაზე[6], მაგრამ უყურადღებოდ ტოვებენ ქართველი ემიგრანტების ემიგრაციული ქსელების ფუქნციონირების შესწავლას.

წინამდებარე კვლევა ჩატარდა დაბა თიანეთში და მიზნად ისახავს შრომითი ემიგრაციის ხასიათის და მიმართულებების და ასევე ემიგრაციული ქსელების როლის შესწავლას თიანეთიდან შრომითი ემიგრაციის ხელშეწყობის პროცესში[7]. დღესდღეობით საზღვარგარეთ გამგზავრება საკმაოდ სერიოზულ ფინანსურ ხარჯებთანაა დაკავშირებული, რომელთა აკუმულირება საქართველოში არსებული ხელფასების და უმუშევრობის მაღალი დონის გათვალისწინებით, საკმაოდ რთულია. ამავდროულად, მიმღები ქვეყნები ყველანაირად ცდილობენ შეზღუდონ შრომითი ემიგრანტების რაოდენობა. ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ, როგორც სხვა ქვეყნების შემთხვევაში, საქართველოს ბევრი მოქალაქე, ვისაც საზღვარგარეთ გამგზავრება სურს, იყენებს ემიგრაციული ქსელების დახმარებას, რომლებიც ამცირებენ

---

[6] მაგ. იხილეთ: რ. გაჩეჩილაძე, *მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები* (გაერო, თბილისი 1997); თ. გუგუშვილი *საქართველოს გარე მიგრაციულ-დემოგრაფიული პრობლემები (1990-1998 წლები).* ("ოფის-პრესი", თბილისი 1998); ა.გ. ვადაჭკორია, *გარე მიგრაციული პროცესები საქართველოში (1989-2002 წლები).* დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი. (თბილისი, 2004); გ. წულაძე, *ემიგრაცია საქართველოდან 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით.* ("ჯისიაი", CRRC. თბილისი 2005); ნ. ჭელიძე, *შრომითი ემიგრაცია პოსტსაბჭოთა საქართველოდან.* ("ლეგა", თბილისი 2006); I. Badurashvili, "Illegal migrants from Georgia: labor market experiences and remittance behavior". IUSSP Conference. <http://iussp2005.princeton.edu/download.aspx?submissionId=51259> (2005). (მოძიებულია 25/12/2006); I. Badurashvili, "Determinants and Consequences of Irregular Migration in a Society under Transition. The Case of Georgia, Caucasus" <http://paa2004.princeton.edu/default.asp> (2004). (მოძიებულია: 05/20/2004); L. Dershem, T. Khoperia, *The Status of Households in Georgia*. Final Report. (USAID, Save the Children, IPM, Tbilisi 2004); International Organization for Migration (IOM). *Hardship Abroad or Hunger at Home*. (IOM, Tbilisi 2001); International Organization for Migration (IOM). *Labor Migration from Georgia*. (IOM, Tbilisi 2003); Г.Сванидзе, *Эмиграция из Грузии и ее причины: Результаты социологического опроса*. (Институт Открытого Общества, Тбилиси 1996).

[7] წინამდებარე კვლევის მიზანს არ წარმოადგენს მიგრაციის სხვა ტიპების განხილვა.

ემიგრაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ხდიან მას უფრო მომგებიან და ნაკლებად სახიფათო წამოწყებად. შესაბამისად, ემიგრაციული ქსელები ხელს უწყობენ შრომითი ემიგრაციის დონის ზრდას.

შრომითი ემიგრაცია საქართველოდან არც თუ ისე დიდი ხანია რაც დაიწყო – განსაკუთრებით, დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ პოტენციური ემიგრანტები საქართველოდან უკვე აქტიურად იყენებენ მიგრაციულ ქსელებს ემიგრაციის პროცესში. სწორედ ამიტომ ჩატარებული კვლევის ფარგლებში ჩვენს მიზანს წარმოადგენდა იმის დადგენა, თუ როგორ დახმარებას იღებენ პოტენციური ემიგრანტები ემიგრაციული ქსელებისგან როგორც ემიგრაციის საწყის ეტაპებზე, ასევე მას შემდეგ, რაც ემიგრანტები ჩადიან მიმღებ ქვეყანაში.

თიანეთში ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ჩვენ გვაქვს საფუძველი დავამტკიცოთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ემიგრაცია თიანეთიდან არც თუ ისე დიდი ხნის წინ დაიწყო, თიანეთელი ემიგრანტების ემიგრაციული ქსელების მეშვეობით მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ თავის ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს ემიგრაციის პროცესში. თიანეთში არსებული მძიმე ეკონომიკური პირობების გამო ბევრი თიანეთელისთვის ემიგრაცია მათი და მათი ოჯახების გადარჩენის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს. სწორედ ამიტომაა, რომ, ჩვენი ვარაუდით, უახლოეს პერიოდში არ უნდა ველოდოთ თიანეთიდან ემიგრაციის ოდენობის შემცირებას. როგორც წინამდებარე კვლევის შედეგად დადგინდა, თიანეთელი ემიგრანტების ოდენობა საზღვარგარეთ ყოველწლიურად იზრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ არსებული ემიგრაციული ქსელები სულ უფრო და უფრო ფართოვდება, რაც ხელს უწყობს თიანეთიდან ემიგრაციის ზრდას.

წინამდებარე ნაშრომის სტრუქტურა შემდეგნაირია:

პირველ თავში წარმოდგენილია კვლევის მიზნები და ამოცანები; აღწერილი და დასაბუთებულია კვლევის მეთოდოლოგია; მოცემულია კვლევის ადგილის დახასიათება.

მეორე თავი ეძღვნება შრომითი ემიგრაციის თეორიების განხილვას. წარმოდგენილია იმ თეორიებს ანალიზი, რომელიც დღესდღეობით ყველაზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს შრომითი მიგრაციული პროცესების შესწავლისას. ასევე, ყურადღება გამახვილებულია არსებული თეორიების გამოყენების შესაძლებლობებზე საქართველოს პირობებში.

მესამე თავში მოცემულია თიანეთიდან შრომითი ემიგრაციის საერთო დახასიათება. განხილულია ის მიზეზები, რომლებიც უბიძგებს თიანეთის მაცხოვრებლებს ემიგრაციისკენ, საზღვარგარეთ გამგზავრების მარშრუტები, ემიგრანტების დანიშნულების ქვეყნები, თიანეთში დაბრუნების მიზეზები; გაანალიზებულია, რა როლს თამაშობს ემიგრანტების მიერ გაწეული ფულადი დახმარება თიანეთელი ოჯახების ცხოვრებაში.

მეოთხე თავი დეტალურად განიხილავს თიანეთელი ემიგრანტების ემიგრაციული ქსელების როლს თიანეთიდან ემიგრაციის ზრდაში, ჩამოყალიბებულია დახმარების ტიპოლოგია, რომელსაც ისინი პოტენციურ ემიგრანტებს უწევენ. ასევე, წარმოდგენილია ის მექანიზმები, რომელთა მეშვეობითაც ხდება სხვადასხვა სახის დახმარების აღმოჩენა.

დასკვნაში წარმოდგენილია და შეჯამებულია კვლევის შედეგები და მათი მნიშვნელობა საქართველოდან შრომითი ემიგრაციის ახსნის პროცესში.

თავი I. შრომითი ემიგრაციის კვლევის თავისებურებანი საქართველოში

1.1. კვლევის მიზნები და ამოცანები

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა იმის დადგენა, თუ რა როლს თამაშობენ თიანეთელი ემიგრანტების ემიგრაციული ქსელები თიანეთიდან შრომითი ემიგრაციის სტიმულირებაში. ამასთანავე, ჩვენთვის ნათელი იყო, რომ ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა იმის გარეშე, თუ ჩვენ თავდაპირველად არ შევისწავლიდით იმას, თუ როგორი იყო თიანეთიდან შრომითი ემიგრაციის დონე, რომელი ქვეყნებისკენ იყო ის მიმართული, როგორი იყო თიანეთის მაცხოვრებლების, კერძოდ, ამჟამინდელი, დაბრუნებული თუ პოტენციური ემიგრანტების დემოგარფიული და სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები.

იმისათვის, რომ მიგვეღწია კვლევითი მიზნისთვის, აუცილებელი იყო შემდეგი კვლევითი ამოცანების ამოხსნა:

1. შეგვესწავლა ემიგრაციის დონე თიანეთიდან, ემიგრაციის მიმართულებები, ამჟამინდელი, დაბრუნებული და პოტენციური ემიგრანტების დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები;
2. დაგვედგინა, განვითარდა თუ არა თიანეთელ შრომით ემიგრანტთა ემიგრაციული ქსელები და რა თვისებები ახასიათებს ამ ქსელებს ამჟამად.
3. უწევენ თუ არა ემიგრაციული ქსელები რაიმე სახის დახმარებას პოტენციურ ემიგრანტებს და ემიგრაციის ქვეყნებში ახლად ჩასულ ემიგრანტებს, და თუ უწევენ – რა სახის დახმარებაა ეს.

კვლევის ჰიპოთეზა ჩამოყალიბებული იქნა შემდეგნაირად: დაბა თიანეთის მაგალითი ცხადყოფს, რომ ქართველი შრომითი ემიგრანტების ემიგრაციული ქსელები ხელს უწყობენ საქართველოდან შრომითი ემიგრაციის სტიმულირებას და გადამწყვეტ როლს თამაშობენ

პოტენციური ემიგრანტების საზღვარგარეთ გამგზავრებაში. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ ემიგრაციის დონე საქართველოდან უფრო გაიზრდება, ვინაიდან სულ უფრო და უფრო მეტი ქართველი ემიგრანტი მიდის საზღვარგარეთ და მათ შეუძლიათ უზრუნველყონ საჭირო რესურსებით თავისი ახლობლები, ნათესავები, მეგობრები, ვისაც საზღვარგარეთ გამგზავრების სურვილი აქვს, და ხელი შეუწყონ მათ საზღვარგარეთ გამგზავრებას.

წინამდებარე ჰიპოთეზა შემოწმდა დაბა თიანეთში ჩატარებული კვლევის საფუძველზე. კვლევაში ჩვენ არ ვეყრდნობით საერთაშორისო შრომითი ემიგრაციის რომელიმე ერთ-ერთ თეორიას, არამედ ვთვლით, რომ თითოეული მათგანი მნიშვნელოვან მიგნებებს გვთავაზობს კვლევის სხვადასხვა ეტაპზე[8].

1.2. კვლევის მეთოდოლოგია

საქართველოში არსებული ემიგრაციის ამსახველი სტატისტიკური მონაცემები ნაკლები სანდოობით გამოირჩევა. ეს გარკვეულწილად გამოწვეულია სტატისტიკური აღრიცხვიანობის დაბალი ხარისხით და გარე მიგრაციის არალეგალური ხასიათით, რაც უაღრესად რთულ, ზოგ შემთხვევაში კი შეუძლებელსაც კი ხდის მიგრაციული პროცესების ზუსტ აღრიცხვას. ამასთან ერთად, როდესაც ვსაუბრობთ საქართველოს მოქალაქეთა გარე მიგრაციის აღრიცხვიანობის შესახებ, სხვა პრობლემაც გვხვდება: მოსახლეობის დიდი ნაწილი უნდობლად ეკიდება ინტერვიუერების კითხვებს, რომლებიც მიგრაციას ეხება. როგორც 2002 წლის საყოველთაო აღწერამ ცხადყო, სპეციალურად ამ აღწერისათვის მომზადებულმა მიგრაციულმა კითხვარმა ფაქტობრივად "არ იმუშავა": აღწერის შედეგების მიხედვით საქართველოდან მხოლოდ 113726 ადამიანია წასული საზღვარგარეთ[9]. როგორც ცნობილია, ამავე აღწერის

---

[8] საერთაშორისო შრომითი ემიგრაციის თეორიები განხილულია ამ ნაშრომის II თავში.

[9] ა.გ. ვადაჭკორია, *გარე მიგრაციული პროცესები საქართველოში (1989-2002 წლები).* გვ. 46.

შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 1989-2002 წლებში 5400.8 ათასიდან 4371.5 ათასამდე შემცირდა, ანუ 1029.3 ათასი ადამიანით. ამ სხვაობის ახსნა მხოლოდ მოკვდაობით არ შეიძლება; შესაბამისად, აღწერის შედეგად მიღებული ემიგრანტების რაოდენობა ნაკლებად სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ.

ამიტომ, როდესაც საქართველოში საუბარია მიგრაციის სტატისტიკაზე, თითქმის ყოველთვის ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებთან ერთად მკვლევარები, როგორც წესი, იშველიებენ საექსპერტო გაანგარიშებებს, რომლებიც ზოგ შემთხვევაში საგრძნობლად განსხვავდება ოფიციალური მონაცემებისგან.

1989-2001 წლებში საქართველოდან გარე მიგრაციის სალდოს გასაანგარიშებლად ა. ვადაჭკორია ირიბ მეთოდს იყენებს და ადგენს, რომ "გარე მიგრაციის უარყოფითმა სალდომ აღწერათაშორის პერიოდში (1989-2001) სულ 928.6 ათასი შეადგინა"[10]. გ. წულაძის და მ. ხმალაძის შეფასებით, 1992-1994 წლებში გარე მიგრაციის უარყოფითმა სალდომ 600 ათასი ადამიანი შეადგინა[11]; გ. წულაძის და გ. მგელაძის შეფასებით, 1990-1996 წლებში გარე მიგრაციის სალდომ 1006 ათასს მიაღწია[12]; რ. გაჩეჩილაძის აზრით, ამავე პერიოდისათვის საქართველოდან 620 ათასი ადამიანი გავიდა, ხოლო თ. გუგუშვილის შეფასებით, 1990-1997 წლებში გარე მიგრაციის უარყოფითი სალდო 820 ათასს უტოლდება.[13] როგორც ვხედავთ, განსხვავებები საექსპერტო შეფასებებს შორის საკმაოდ დიდია, მაგრამ ყველა მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოდან გაცილებით მეტი ადამიანია გასული, ვიდრე ეს აღწერის შედეგად დადგინდა. ნათელია, რომ იმის გაგება, თუ რეალურად რამდენი ადამიანი გავიდა საქართველოდან ამ წლების მანძილზე, ფაქტობრივად შეუძლებელი ხდება. ამავდროულად, ფაქტობრივად შეუძლებელი ხდება გარე

---

[10] ა.გ. ვადაჭკორია, *გარე მიგრაციული პროცესები საქართველოში (1989-2002 წლები).* გვ. 52.
[11] იქვე. გვ. 52.
[12] იქვე. გვ. 52.
[13] იქვე. გვ. 42.

მიგრაციული პროცესების შესწავლის მიზნით რეპრეზენტატული შერჩევის აგება, რადგან არ არსებობს მონაცემები გენერალური ერთობლიობის შესახებ, რაც, გარკვეულწილად, ეჭვქვეშ აყენებს საქართველოში ჩატარებული გარე მიგრაციის რაოდენობრივი კვლევების შედეგების სანდოობას.

ასეთ ვითარებაში ჩვენ გადავწყვიტეთ ჩაგვეტარებინა კვლევა ერთ-ერთ მცირე ზომის დასახლებულ პუნქტში, რომელიც გამოირჩეოდა ემიგრაციის მაღალი დონით. მიგრაციის სფეროში მომუშავე ექსპერტებთან კონსულტაციების საფუძველზე[14] კვლევის ობიექტად შეირჩა დაბა თიანეთი, ხოლო უფრო ღრმა და მრავალმხრივი ინფორმაციის მიღების მიზნით, გადავწყვიტე case study-ს[15], როგორც "მეთოდოლოგიური მიდგომის" გამოყენება.[16]

Case study-ს მიდგომის მთავარ უპირატესობად ითვლება მის ფარგლებში პრობლემის სიღრმისეულად და მრავალმხრივ შესწავლის შესაძლებლობა. მას საფუძვლად უდევს მაქს ვებერის სახელთან დაკავშირებული "ინტერპრეტაციული სოციოლოგიის" პრინციპები, რომელიც მიზნად ისახავს სოციალური აგენტების მოქმედებათა საზრისში ჩაწვდომას და მოვლენების და ფაქტების ახსნას მათი საზრისიდან გამომდინარე. Case study-ს შემთხვევაში მკვლევარი შეისწავლის ამა თუ იმ სოციალურ ერთობას მასში "ჩაძირვის" მეშვეობით, რის შედეგადაც ის უკეთ ეცნობა შესასწავლი ჯგუფის ცხოვრებას, მისი წევრების ყოფას და საშუალება ეძლევა, მათი თვალით შეხედოს სამყაროს, რის შედეგადაც ხდება შინაარსობრივად ახალი, ღრმა და მრავალმხრივი მონაცემების მოძიება. როგორც ბრიუს ბერგი

---

[14] კონსულტაციები ჩატარდა ბ-ნ ალექსანდრე ვადაჭკორიასთან, პროფესორ გიგი თევზაძესთან და პროფესორ გია წულაძესთან.

[15] წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულია ამ მეთოდოლოგიური მიდგომის ინგლისურენოვანი სახელი (case study), რადგან ქართულ ენაზე ჯერ არ არის დამკვიდრებული მისი თარგმანი. იხ. მაგ.: თ. ზურაბიშვილი, *თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში,* (სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი, 2006), გვ. 61.

[16] B. L Berg, Q*ualitative Research Methods for the Social Sciences*, (Pearson Education Inc., Boston 2004), p. 251.

აღნიშნავს, “case study-ს [გამოყენების] დროს გროვდება განსაკუთრებულად მდიდარი, დეტალური და სიღრმისეული ინფორმაცია”[17].

Case study-ს მიდგომა სწორედ იმითაა განსაკუთრებული, რომ შემოიფარგლება არა ერთი რომელიმე კონკრეტული მეთოდით, არამედ სხვადასხვა მეთოდების კომბინაციას წარმოადგენს, რაც მას განსაკუთრებულ მოქნილობას ანიჭებს და, შესაბამისად, შესაძლებელი ხდება კვლევის ობიექტის თუ პრობლემის მრავალმხრივი შესწავლა. “... case study ყველაზე მისაღები სტრატეგიაა, როდესაც დასმულია კითხვები “როგორ?” და “რატომ?”, როდესაც მკვლევარი ნაკლებად აკონტროლებს მოვლენებს და როდესაც კვლევის ფოკუსი მიმართულია თანამედროვე ფენომენების შესწავლაზე რეალური ცხოვრების კონტექსტში”[18], – აღნიშნავს რობერტ იინი.

Case study-ს წყაროებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირდაპირი დაკვირვება იმ მოვლენებზე, რომელთა შესწავლაც მიმდინარეობს, და სიღრმისეული ინტერვიუები იმ ადამიანებთან, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ ამა თუ იმ მოვლენებში. ამ მიდგომის სიძლიერე იმაშიც მდგომარეობს, რომ ის არ ეყრდნობა მხოლოდ თვისებრივ მეთოდებს – კვლევის მიზნებიდან გამომდინარე შესაძლებელია ასევე სტატისტიკური მონაცემების გამოყენება, რაოდენობრივი კვლევის ჩატარება და დოკუმენტების ანალიზის განხორციელება.

Case study-ს გამოყენება სოციოლოგიური კვლევებისას საკმაოდ დიდ ისტორიას ითვლის, და მისი გამოყენებით მრავალი კლასიკური კვლევაა ჩატარებული. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მარია იაჰოდას, პოლ ლაზარსფელდის და ჰანს ცაიზელის მიერ 1930-იან წლებში ავსტრიულ

[17] B. L Berg, Q*ualitative Research Methods for the Social Sciences*, p. 251.
[18] R. K. Yin, *Case Study Research: design and methods*, (Thousand Oaks, Sage Publication Inc., 2003), p.1.

სოფელ მარიენტალში ჩატარებული კვლევა, რომლის მიზანი სოფლის მოსახლეობაზე უმუშევრობის გავლენის შესწავლა იყო[19].

ამრიგად, წინამდებარე კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავებისას გადავწყვიტე გამომეყენებინა კვლევის როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მეთოდები, რაც, როგორც უკვე აღვნიშნე, case study-ს მეთოდოლოგიური მიდგომის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სიძლიერეს წარმოადგენს. ამასთანავე, რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების მეშვეობით შესაძლებლობა მექნებოდა გადამემოწმებინა და შემედარებინა შედეგები, რაც უფრო დამაჯერებელი დასკვნების გაკეთების საშუალებას მომცემდა.

1) თვისებრივი კვლევა – სიღრმისეული ინტერვიუები

თვისებრივი კვლევის ძირითადი ნაწილი ჩატარდა 2006 წლის აპრილში.[20] 10-დან 20 აპრილამდე ჩატარდა 20 სიღრმისეული ინტერვიუ[21] თიანეთში დაბრუნებულ ემიგრანტებთან და ამჟამინდელი ემიგრანტების ოჯახების წევრებთან. რადგან კვლევის პირველ ეტაპზე გამოკითხულ ემიგრანტებს შორის მხოლოდ ერთი მამაკაცი იყო, 2006 წლის სექტემბერში დამატებით ჩატარდა 4 ინტერვიუ საზღვარგარეთიდან დაბრუნებულ მამაკაც-ემიგრანტებთან.

პირველივე ინტერვიუებიდან ცხადი გახდა, რომ ემიგრანტების ოჯახების წევრები ან თავს იკავებდნენ, ან არ იყვნენ საკმარისად გათვითცნობიერებულნი ყველა იმ საკითხში, რომლებიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას წარმოადგენდა ჩვენი კვლევისათვის. ბევრი კითხვა უპასუხოდ რჩებოდა, ამიტომ მივიღე გადაწყვეტილება, შემდგომი ინტერვიუები ჩამეტარებინა მხოლოდ საზღვარგარეთიდან დაბრუნებულ ემიგრანტებთან. ეს რესპონდენტები დეტალურად პასუხობდნენ კითხვებს, რომლებიც მათ საემიგრაციო გამოცდილებას ეხებოდა.

---

[19] M. Jahoda, P.F. Lazarsfeld, H. Zeisel. *Marienthal*: *The Sociography of an Unemployed Community,* (Transaction Publishers, New Brunswick and London 2003).

[20] თვისებრივი კვლევა ჩატარდა ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის განყოფილების კვლევითი სტიპენდიის ფარგლებში.

[21] სიღრმისეული ინტერვიუებისათვის შემუშავებული სადისკუსიო გეგმები მოცემულია **დანართში 2**, გვ. 150.

ამასთანავე, აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი დაბრუნებული ემიგრანტის ოჯახის წევრი ინტერვიუს ჩატარების დროს იმყოფებოდა საზღვარგარეთ, და, შესაბამისად, შესაძლებელი იყო ინფორმაციის მიღება არა მარტო რესპონდენტების პირადი გამოცდილების, არამედ მათი ოჯახების წევრების გამოცდილების შესახებაც. უფრო მეტიც, რამდენიმე დაბრუნებული ემიგრანტი უახლოეს მომავალში კვლავ აპირებდა საზღვარგარეთ გამგზავრებას, და, ამრიგად, მე შევძელი ინფორმაციის მიღება ემიგრაციის მოსამზადებელი ეტაპების შესახებაც.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია რესპონდენტების განაწილება მათი ასაკის, სქესის და კატეგორიის მიხედვით.

ცხრილი 1.

ქალი და მამაკაცი რესპონდენტები

	ქალი რესპონდენტების კატეგორიები:		მამაკაცი რესპონდენტების კატეგორიები:
	დაბრუნებული ემიგრანტები	ამჟამინდელი ემიგრანტების ოჯახის წევრები	დაბრუნებული ემიგრანტები
სულ:	**12**	**7**	**5**
ასაკი:			
18-34	1	-	3
35-50	7	3	2
51 და ზევით	4	4	-

რესპონდენტების მოძიება შესაძლებელი გახდა თიანეთის მაცხოვრებლების დახმარებით[22]. მას შემდეგ, რაც კვლევის ობიექტი საბოლოოდ განისაზღვრა როგორც თიანეთში დაბრუნებული შრომითი ემიგრანტები, მე არანაირად არ შემიზღუდავს რესპონდენტების შერჩევის

[22] ძირითადად მე მეხმარებოდნენ თიანეთში მცხოვრები შორეული ნათესავები და ნაცნობები. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ნატალია გონჯილაშვილს, ირმა თურქიაშვილს, ნინო ჩიხრაძეს და თამარ ყურშავიშვილს. ისინი არა მარტო დამეხმარნენ რესპონდენტების მოძიებაში, არამედ შუამავლის როლიც ითამაშეს მათთან პირველი კონტაქტის დამყარებისას – ის ფაქტი, რომ რესპონდენტების გაცნობისას მე რეკომენდაციას მიწევდნენ მათთვის კარგად ნაცნობი და პატივცემული ადამიანები, საშუალებას მაძლევა თავიდან ამერიდებინა "უცხო" მკვლევარის როლი, ამასთან, იწვევდა რესპონდეტების გულახდილობას და ნდობას ჩემს მიმართ.

კრიტერიუმები – რესპონდენტი შეიძლება ყოფილიყო ყველა სრულწლოვანი საზღვარგარეთიდან დაბრუნებული ემიგრანტი[23].

2) რაოდენობრივი კვლევა – თიანეთის შინამეურნეობების აღწერა

2006 წლის აგვისტოს ბოლოს – სექტემბრის დასაწყისში ჩვენ ჩავატარეთ თიანეთის შინამეურნეობების აღწერა[24]. რადგანაც ჩვენ არ გვქონდა ინფორმაცია არც თიანეთიდან ემიგრაციის დონის, არც შრომითი ემიგრანტების და არც დაბრუნებული თუ პოტენციური ემიგრანტების სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების შესახებ, შინამეურნეობების შერჩევითი კვლევის ჩატარება არ იქნებოდა გამართლებული. აღწერის ჩატარების შედეგად კი, ჩვენ არ ვდგებით რეპრეზენტატულობის პრობლემის წინაშე, რადგან გროვდება ინფორმაცია მთელი გენერალური ერთობლიობის შესახებ.

თიანეთში ჩატარებული აღწერის შედეგად ჩვენ მოვაგროვეთ ინფორმაცია 1062 შინამეურნეობის შესახებ, კიდევ 210 სახლი ან ბინა კი დაფიქსირდა როგორც დაკეტილი, დასამთავრებელი ან/და დანგრეული. თუ გავითვალისწინებთ, რომ 2002 წლის აღწერის დროს თიანეთში დაფიქსირდა 1237 შინამეურნეობა[25], ცხადია, რომ ჩვენმა აღწერამ მოიცვა დღეისათვის არსებული თიანეთის ყველა შინამეურნეობა. ეს გვაძლევს საფუძველს ჩავთვალოთ, რომ მიღებული მონაცემები სრულად ასახავს თიანეთში შექმნილ ვითარებას.[26]

აღწერისთვის შემუშავებული იქნა კითხვარი, რომელიც 7 შინაარსობრივი ბლოკისგან შედგებოდა. მიღებული ინსტრუქციის

---

[23] უფრო დაწვრილებით თიანეთელი დაბრუნებული ემგირანტების შესახებ იხილეთ წინამდებარე ნაშრომის გვ. 70-82.

[24] აღწერა ჩატარდა კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი – საქართველოს (CRRC Georgia) კვლევითი გრანტის ფარგლებში. გრანტის ნომერი C05-4113.

[25] ინფორმაცია მიღებულია სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თიანეთის განყოფილების გამგის, თამარ ყურშავიშვილისგან პირადი კომუნიკაციის შედეგად.

[26] როგორც აღინიშნა, აღწერის მსვლელობაში ინტერვიუერებმა აღრიცხეს 210 დაკეტილი, დასამთავრებელი ან/და დანგრეული სახლი თუ ბინა, რომელთა შორისაც არის შინამეურნეობები, რომელთა ყველა წევრიც ამჟამად წასულია თიანეთიდან და საქართველოს სხვა დასახლებულ პუნქტში ან საზღვარგარეთ იმყოფება. შესაბამისად, ჩვენ გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ემიგრაციის დონე თიანეთიდან უფრო მაღალია, ვიდრე ეს ჩვენი კვლევის შედეგად ჩანს.

თანახმად, ინტერვიუერები ატარებდნენ ინტერვიუს ან შინამეურნეობის უფროსთან, ან საზღვარგარეთიდან დაბრუნებულ ემიგრანტთან, ან ოჯახის გათვითცნობიერებულ წევრთან.[27]

1.3. თიანეთი როგორც კვლევის ადგილი

თიანეთი მდებარეობს საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთით და შედის მცხეთა-მთიანეთის მხარეში. საკმაოდ მწირი ისტორიული მონაცემების მიხედვით, იმ ადგილებში, სადაც დღეს თიანეთი მდებარეობს, დასახლებები ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში არსებობდა. ადრე-ფეოდალურ პერიოდში ერწო-თიანეთი კახეთის ნაწილი იყო და XI საუკუნემდე სწორედ მის ტერიტორიაზე მდებარეობდა კახეთის ადმინისტრაციული ცენტრი – თავდაპირველად ჟალეთში (V საუკუნემდე), შემდეგ უჯარმაში (VII საუკუნემდე), და ბოლოს – ბოდოჯში (XI საუკუნემდე)[28].

თვითონ სახელი "თიანეთი"[29] თავდაპირველად გეოგრაფიულ მხარეს ნიშნავდა, და მხოლოდ მოგვიანებით გადაიქცა დასახლებული პუნქტის სახელად. XVII საუკუნემდე ამ ადგილებში კახელები ცხოვრობდნენ, რომლებიც თანდათან ბარში გადმოსახლდნენ, და მათ ადგილებზე ხევსურები და ფშავლები დასახლდნენ. სწორედ მათი შთამომავლები შეადგენენ დღეს თიანეთის მოსახლეობის დიდ ნაწილს[30].

1886 წელს თიანეთში დაახლოებით 180 კომლი, ერთი ეკლესია, ერთი პოლიციის განყოფილება, რამოდენიმე დუქანი და სახელოსნო იყო[31].

---

[27] აღწერის ჩატარებაში მონაწილეობა მიიღო 19-მა ინტერვიუერმა, რომლებსაც სპეციალური ინსტრუქტაჟი ჩაუტარდათ. აღწერის დროს გამოყენებული კითხვარი იხილეთ **დანართში 1** (გვ. 139).

[28] თ. პატურაშვილი, *ერწო-თიანეთის ისტორიიდან.* წიგნი I. ("სამშობლო", თბილისი 1996) გვ. 8-10.

[29] თენგიზ პატურაშვილი "თიანეთის" ეტიმოლოგიას "თია"-ს უკავშირებს, რომელიც "კორძს" ნიშნავს; შესაბამისად, თიანეთი "კორძიან მხარეს" უნდა ნიშნავდეს. // თ. პატურაშვილი *ერწო-თიანეთის ისტორიიდან.* წიგნი I., გვ. 11.

[30] თ. პატურაშვილი, *ერწო-თიანეთის ისტორიიდან.* წიგნი I., გვ. 11.

[31] იქვე, გვ. 112.

დიდი ხნის მანძილზე თიანეთი გარკვეულწილად მოწყვეტილი იყო საქართველოს ცენტრს და სხვა რეგიონებს, რადგანაც მხოლოდ 1881 წელს დაიწყო თიანეთი-თბილისის გზის მშენებლობა.

საბჭოთა კავშირის დროს თიანეთი რაიონული ცენტრი გახდა. 1979 წელს გამოცემული ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ასე აღწერდა თიანეთს: "თიანეთში არის ყველ-კარაქის, ლიმონათის, ხე-ტყისა და ასფალტის ქარხნები, ადგილობრივი მრეწველობა და ცეკავშირის საწარმოო კომბინატები. ტუშურების მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა, 2 საშუალო სკოლა (მათ შორის ერთი სკოლა-ინტერნატი), პროფტექნიკური სასწავლებელი, მუსიკალური და სპორტული სკოლები, პიონერთა სახლი, კულტსახლი, კინოთეატრი, 4 ბიბლიოთეკა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ვაჟა-ფშაველას სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი, ტურბაზა, საავადმყოფო, პოლიკლინიკა, აფთიაქი, კავშირგაბმულობის განყოფილება".[32] როგორც ვხედავთ, საბჭოთა დროს თიანეთში ფუნქციონირებდა ქარხნები, მუშაობდა ფერმები, სადაც დასაქმებული იყო რაიონის მოსახლეობა.

ამჟამად თიანეთში ორი საშუალო სკოლაა, ორი საბავშვო ბაღი, ერთი ტექნიკუმი, ბიბლიოთეკა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. აქვეა განთავსებული რაიონის მუნიციპალიტეტი და რაიონული პოლიციის განყოფილება. არც ერთი საწარმო, რომელიც აქ საბჭოთა პერიოდში ფუნქციონირებდა, დღეს არ მუშაობს. მოსახლეობა ძირითადად სოფლის მეურნეობიდან და მესაქონლეობიდან მიღებული შემოსავლით საზრდოობს. მოსახლეობის მცირე ნაწილი მუშაობს ეგრეთწოდებულ "საბიუჯეტო" ორგანიზაციებში, როგორიცაა სკოლები, საბავშვო ბაღები, საავადმყოფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და სხვა.

[32] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. «თიანეთი», ტ. 4. (თბილისი 1979), გვ. 678-679.

2002 წლის აღწერის მიხედვით, დაბა თიანეთში 3598 ადამიანი[33] ცხოვრობდა და 1237 კომლი იყო[34].

1.4. კვლევის შედეგების განზოგადების შესაძლებლობა

Case study-ს მიდგომის კრიტიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ის, რომ საკმაოდ რთულია მისი მეშვეობით ჩატარებული კვლევების შედეგების განზოგადება. მაგრამ, როგორც რობერტ იინი აღნიშნავს, ექსპერიმენტების მსგავსად, case study-ს შედეგების განზოგადება შესაძლებელია, თუმცა ეს განზოგადება არ ხდება რაოდენობრივად, ანუ შეუძლებელია ერთი შემთხვევის შესწავლის შედეგები განვაზოგადოთ მთელ გენერალურ ერთობლიობაზე. Case study-ს შემთხვევაში ხდება "ანალიტიკური განზოგადება", როდესაც მიღებული შედეგები სოციალური თეორიის ჩამოყალიბების და თეორიული მიგნებების წყაროს წარმოადგენს[35]. ამრიგად, თიანეთში ჩატარებული კვლევის შედეგად არ იქნება შესაძლებელი განვაზოგადოთ მიღებული შედეგები საქართველოს მოსახლეობაზე ან საქართველოდან წასული ემიგრანტების ერთობლიობაზე. ამავდროულად, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თიანეთი არ წარმოადგენს საქართველოს რომელიმე განსაკუთრებული თვისებების მქონე დასახლებას, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თიანეთში გამოკვეთილი შრომითი ემიგრაციის ძირითადი მახასიათებლები, ემიგრაციის გამომწვევი მიზეზები, ემიგრაციული ქსელების როლი შრომითი ემიგრაციის სტიმულირებაში დამახასიათებელი იქნება საქართველოს სხვა დასახლებული პუნქტებისთვის.

---

[33] http://www.statistics.ge/_files/georgian/census/2002/mosaxleobis%20ricxovnoba%20da%20gansaxleba.pdf (მოძიებულია 5/12/2006), გვ. 47.

[34] ინფორმაცია მიღებულია სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თიანეთის განყოფილების გამგის, თამარ ყურშავიშვილისგან პირადი კომუნიკაციის შედეგად.

[35] R. K. Yin, *Case Study Research: design and methods*, p. 10-11, 38.

თავი II. საერთაშორისო შრომითი ემიგრაცია – თეორიული წანამძღვრები

საერთაშორისო შრომით ემიგრაციას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. დადებით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ემიგრაციის შედეგად ემიგრანტების მშობლიურ ქვეყნებში მცირდება უმუშევრობის დონე, ხოლო მიმღებ ქვეყანაში ხდება მუშახელზე არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილება; ემიგრანტები ფინანსურ დახმარებებს უწევენ სამშობლოში დარჩენილ ოჯახებს, ფულს აბანდებენ ადგილობრივ წარმოებაში/ეკონომიკაში, რითაც ხელს უწყობენ ეკონომიკის განვითარებას. უარყოფითი მხარეები კი იმაში მდგომარეობს, რომ ემიგრაციის დროს ადგილი აქვს ეგრეთწოდებულ "ტვინების გადინების" პროცესს, როდესაც ქვეყანას ტოვებენ ყველაზე მოტივირებული, განათლებული, შრომას მოწყურებული ადამიანები, რაც, თავისთავად, უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის განვითარებაზე. ამასთანავე, საზღვარგარეთ წასული შრომითი ემიგრანტების პირველი თაობა, როგორც წესი, ძნელად ახერხებს თავისი განათლების შესაფერისი სამუშაოს პოვნას და იძულებულია არაკვალიფიციური შრომით დაკმაყოფილდეს.

დღესდღეობით შრომით ემიგრაციას საქართველოდან უაღრესად მნიშნველოვანი ეკონომიკური და სოციალური როლი აქვს. ერთი მხრივ, შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდი ნაწილის სხვა ქვეყნებში გადინების შედეგად საქართველოში მცირდება უმუშევართა რაოდენობა, მეორე მხრივ, ფინანსური დახმარება, რასაც ემიგრანტები უგზავნიან საქართველოში დარჩენილ ოჯახებს, რეალურად აუმჯობესებს საქართველოს მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილის ცხოვრების დონეს.[36].

უარყოფით მხარეებად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ ქართველ შრომით ემიგრანტთა დიდი ნაწილი საზღვარგარეთ არაკვალიფიციური შრომით

[36] *Labor Migration from Georgia*. (IOM, Tbilisi 2003), p. 62.

არის დაკავებული, რაც მათ მიერ საქართველოში მიღებულ განათლებას და კვალიფიკაციას არ შეესაბამება[37]. ასევე, ის შრომითი ემიგრანტები, რომლებიც საზღვარგარეთ არალეგალურად იმყოფებიან, წლების მანძილზე ვერ ახერხებენ საქართველოში ჩამოსვლას და ოჯახების მონახულებას, რაც, ფაქტობრივად, არასრული ოჯახების შექმნას იწვევს. ამასთანავე, ქართველ ემიგრანტებს საკმაოდ უჭირთ სოციალური ადაპტაცია მიმღებ ქვეყნებში, ხშირად ვარდებიან დეპრესიაში და ვერ ეგუებიან უცხო ქვეყანაში ცხოვრებას, მაგრამ, იძულებულნი არიან იყვნენ იქ, რადგანაც საქართველოში არსებული მძიმე მდგომარეობის გამო იმედი არა აქვთ, რომ შეძლებენ ისეთი სამსახურის შოვნას, რომელიც საშუალებას მისცემთ ოჯახები არჩინონ[38].

2.1. საერთაშორისო შრომითი ემიგრაციის თეორიები

საერთაშორისო შრომითი ემიგრაცია წარმოადგენს არა მარტო სოციოლოგების, არამედ დემოგრაფების, ეკონომისტებისა და კულტუროლოგების კვლევის საგანს. ის სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს მსოფლიოში და მრავალი ქვეყნის შიდა თუ საგარეო პოლიტიკაში, ახდენს გავლენას საერთაშორისო ურთიერთობებზე და სტაბილურობაზე. მიუხედავად ამისა, როგორც აღნიშნავენ დუგლას მეისი და მისი თანაავტორები, დღესდღეობით არ არსებობს საერთაშორისო მიგრაციის ისეთი თეორია, რომელიც მოიცავდა მიგრაციის შესწავლასთან დაკავშირებულ სხვადასხვა მიდგომებს და პერსპექტივებს. უფრო მეტიც, არსებული თეორიები "შეიქმნა უმთავრესად ერთმანეთისგან იზოლაციაში" და "ზოგჯერ გაყოფილია დისციპლინებს შორის არსებული საზღვრებით"[39].

---

[37] I. Badurashvili, "Determinants and Consequences of Irregular Migration in a Society under Transition. The Case of Georgia, Caucasus", p.18.

[38] ავტორის მიერ ჩატარებული ინტერვიუები ქართველ ემიგრანტებთან, ნიუ-იორკი, 2004 წლის მაისი.

[39] D. S. Massey et al., "Theories of International Migration: A review and Appraisal", in: *Population and Development Review* 19(3) (1993): 431-466, p. 432.

არსებული მიგრაციის თეორიები სხვადასხვა კუთხით განიხილავენ შრომით მიგრაციას და ყურადღებას განსხვავებულ ასპექტებზე ამახვილებენ: ეს შეიძლება იყოს მხოლოდ ეკონომიკური მოტივები და ქვეყნებს შორის არსებული განსხვავებები შემოსავლების დონის მიხედვით (მიგრაციის ნეოკლასიკური თეორია); ან ხაზს უსვამენ ოჯახის როლს ემიგრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას და, შესაბამისად, განიხილავენ ემიგრაციას, როგორც შემოსავლების დივერსიფიკაციის ოჯახურ სტრატეგიას (ახალი ეკონომიკური თეორია); ან თვლიან, რომ მიგრაცია გამოწვეულია "თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მოთხოვნით მუშახელზე" (dual labor market theory)[40]; ან აკავშირებენ მიგრაციას მსოფლიო ბაზრის სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებებთან, რომელთა შედეგადაც "კაპიტალისტური ეკონომიკური ურთიერთობების გავრცელება პერიფერიულ, არაკაპიტალისტურ საზოგადოებებში ქმნის მობილურ მოსახლეობას, რომელსაც აქვს მიდრეკილება საზღვარგარეთ მიგრაციისკენ" (მსოფლიო სისტემების თეორია)[41]; ანდა ამახვილებენ ყურადღებას ემიგრაციული ქსელების, როგორც დამოუკიდებელი აქტორების როლზე მიგრაციის პროცესში (სოციალური კაპიტალის თეორია).

ქვემოთ ჩვენ მოკლედ მიმოვიხილავთ მიგრაციის თეორიებს გავამახვილებთ რა განსაკუთრებულ ყურაღებას მათ გამოყენებაზე ქართულ სინამდვილეში.

2.1.1 ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია

ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია საერთაშორისო შრომით ემიგრაციას როგორც მაკრო, ასევე მიკრო დონეზე განიხილავს. მაკრო დონეზე ის ამახვილებს ყურადღებას ქვეყნებს შორის არსებულ განსხვავებებზე მუშახელის მიწოდებასა და მუშახელზე მოთხოვნას

[40] D. S. Massey et al., "Theories of International Migration: A review and Appraisal", p. 440.
[41] Ibid., p. 444.

შორის. ამ თეორიის თანახმად, შრომითი მიგრაციის გამომწვევი მიზეზი, როგორც წესი, ეკონომიკური განვითარების არათანაბარი დონე ხდება, რომელიც უბიძგებს ადამიანებს მიატოვონ ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებული სამშობლო, სადაც მუშახელი დაუსაქმებელია, ან დაბალ ანაზღაურებას იღებს, და წავიდნენ საზღვარგარეთ, სადაც დასაქმების გაცილებით მეტი საშუალება არსებობს და შემოსავალიც მეტია.

სიღარიბე და უმუშევრობა, რომლებიც დამახასიათებელია ეკონომიკურად განუვითარებელი ქვეყნებისათვის, *უბიძგებთ* (push ფაქტორები), ხოლო განვითარებულ ქვეყნებში არსებული მუშახელის დეფიციტი და შრომის შედარებით მაღალი ანაზღაურება, *იზიდავთ* (pull ფაქტორები) პოტენციურ ემიგრანტებს. თუმცა, როგორც ალეხანდრო პორტესი და რუბენ რემბო აღნიშნავენ, მიგრაცია ხშირად გამოწვეულია არა უმუშევრობით *per se*, არამედ მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების სიმცირით[42]. აქ შესაძლოა ერთგვარ პარადოქსთანაც გვქონდეს საქმე, როდესაც მაღალანაზღაურებადი და მაღალკვალიფიციური სამსახურების არ არსებობის გამო საზღვარგარეთ წასული ემიგრანტები, როგორც წესი, დაბალანაზღაურებად და არაპრესტიჟულ ადგილებზე იწყებენ მუშაობას. შესაბამისად, ნეოკლასიკური თეორიის თანახმად, შრომითი ემიგრაცია წარმოგვიდგება როგორც დადებითი მოვლენა, რადგან მისი საშუალებით ხდება მოჭარბებული მუშახელის ოდენობის შემცირება მუშახელის ექსპორტიორ ქვეყანაში და პირიქით, მუშახელის მოთხოვნის დაკმაყოფილება მიმღებ ქვეყანაში[43].

მიკრო დონეზე, ნეოკლასიკური თეორია თვლის, რომ გადაწყვეტილებას ემიგრაციის შესახებ იღებს *ინდივიდი* საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე და ეს გადაწყვეტილება ეფუძნება რაციონალურ გათვლებს, რომლებიც ითვალისწინებს მიგრაციასთან დაკავშირებით გაწეულ ხარჯებს და იმ ფულად მოგებას, რომელსაც

[42] A. Portes, R. G. Rumbaut, *Immigrant America: A Portrait.* (University of California Press, Berkeley, Los Angeles, London 1996).
[43] D. S. Massey et al., "Theories of International Migration: A review and Appraisal", p. 433-434.

ემიგრანტი უცხო ქვეყანაში დასაქმების შედეგად მიიღებს. შესაბამისად, მიმღები ქვეყნის შერჩევაც რაციონალური გათვლების საფუძველზე ხდება და პოტენციური ემიგრანტი მხედველობაში იღებს იმას, თუ სად უფრო არის მოთხოვნა იმ უნარ-ჩვევებზე და/ან ცოდნაზე, რაც მას გააჩნია, სად არის დასაქმების უფრო დიდი ალბათობა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არალეგალურ ემიგრაციასთან გვაქვს საქმე, სად არის დეპორტაციის უფრო ნაკლები ალბათობა, ანდა, ლეგალიზაციის მეტი ალბათობა. ამ თეორიის თანახმად, პოტენციური ემიგრანტი გაემგზავრება იმ ქვეყანაში, სადაც ის ყველაზე მაღალ მოგებას მიიღებს[44].

თუ ნეოკლასიკურ ეკონომიკურ თეორიას საქართველოს დღევანდელ ეკონომიკურ მდგომარეობას მივუსადაგებთ, საქართველოდან მოსახლეობის გაცილებით დიდი ნაწილი უნდა წასულიყო ემიგრაციაში, ვიდრე ეს რეალურად მოხდა. როგორც პორტესი და რემბო აღნიშნავენ ეკონომიკურად განუვითარებელი ქვეყნების მაგალითზე, გასაკვირი ის კი არ არის, თუ რატომ მიდიან ემიგრაციაში ეკონომიკურად გაჭირვებული ქვეყნების მოქალაქეები, არამედ ის, რომ, ასეთი მძიმე ეკონომიკური პირობების მიუხედავად, ემიგრაციაში მოსახლეობის ასეთი მცირე ნაწილი მიდის.[45]

ნათელია, რომ მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკური მოსაზრებები არ თამაშობს გადამწყვეტ როლს ემიგრაციის პროცესში – მნიშვნელოვანია სხვა ფაქტორებიც, მაგალითად, ემიგრანტების პირადი თვისებები, მათ ხელთ არსებული მატერიალური და სოციალური რესურსები, და სხვა. როგორც პორტესი და რემბო აღნიშნავენ, მიგრანტთა უმრავლესობას შეადგენენ ყველაზე მოტივირებული და ენერგიული ადამიანები, რომლებსაც აქვთ სურვილი გაიუმჯობესონ საკუთარი პირობები. როგორც წესი, მათ უფრო მაღალი განათლების დონე და განსაკუთრებული უნარ-ჩვევები აქვთ, ვიდრე მათ თანამოქალაქეებს, ვინც, გაჭირვების მიუხედავად, სამშობლოში რჩება. შესაბამისად, ისინი, ვინც ყველაზე

[44] Ibid., p. 434-435.
[45] A. Portes, R. G. Rumbaut, *Immigrant America: A Portrait,* p. 8-9.

გაჭირვებულები არიან, ისინი, ვინც *ყველაზე ღარიბები, უღატაკესები არიან* (“*the poorest of the poor*”), როგორც წესი, იშვიათად მიდიან ემიგრაციაში, იმიტომ კი არა, რომ მათ არა აქვთ იმის სურვილი, რომ გაიუმჯობესონ ცხოვრების პირობები, არამედ იმიტომ, რომ მათ არა აქვთ არც საკმარისი მატერიალური რესურსები, რათა დააფინანსონ საკმაოდ ძვირადღირებული მოგზაურობა, და არც სოციალური კავშირები, რომლებიც დაეხმარებოდათ ემიგრაციის სხვადასხვა ეტაპზე.[46] ამის საფუძველზე იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ მიგრაცია ხასიათდება *შერჩევითობით*, და ემიგრანტთა შორის *შეფარდებით დეპრივირებული*[47] პიროვნებები უფრო ხშირად გვხვდებიან, ვიდრე აბსოლუტურ სიღარიბეში მყოფნი[48]. ამრიგად, თავისთავად, ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა შეიძლება საკმაოდ მაღალიც კი იყოს როგორც უღატაკესი ფენის მდგომარეობასთან, ასევე ამა თუ იმ ქვეყანაში არსებულ სასიცოცხლო მინიმუმთან შედარებით, მაგრამ მისი წევრები გრძნობდნენ თავს შეფარდებითად დეპრივირებულად როგორც სხვა ოჯახების მიმართ, რომლებმაც გაიუმჯობესეს თავიანთი მდგომარეობა, ასევე თავისსავე მდგომარეობის მიმართ, რომელიც წარსულში, შესაძლოა, უკეთესი იყო. სწორედ ასეთ ვითარებაში, როგორც წესი, იღებენ გადაწყვეტილებას ემიგრაციის შესახებ მოსახლეობის იმ ფენების წარმომადგენლები, რომლებსაც ჯერ კიდევ აქვთ საშუალება მოახდინონ ემიგრაციისათვის საჭირო რესურსების აკუმულირება.

---

[46] Ibidem.

[47] შეფარდებითი დეპრივაცია (relative deprivation) არის ტერმინი, რომელიც ასახავს ინდივიდის, ოჯახის, ან სოციალური ჯგუფის მდგომარეობას სხვა ინდივიდების, ოჯახების ან სოციალური ჯგუფების მდგომარეობასთან შეფარდებით. შესაბამისად, შეფარდებითი დეპრივაცია ყოველთვის სუბიექტურ ხასიათს ატარებს და დაკავშირებულია რეფერენტულ ჯგუფთან – ამ კონტექსტში, ის, თუ რომელი ჯგუფი ხდება რეფერენტული, გადამწყვეტ როლს თამაშობს შეფარდებითი დეპრივაციის დონის განსაზღვრებისას. იხ.: G. Marshall, *Dictionary of Sociology* (Oxford Unviersity Press, Oxford, New York 1998), p.152.

[48] O. Stark, E. J. Taylor, “Migration incentives, migration types: the role of relative deprivation”, in: *Economic Journal* 101(408): 1163-1178, (1991).

2.1.2. ახალი ეკონომიკური თეორია

ქართული შრომითი ემიგრაციის შესწავლისას მიგრაციის ახალი ეკონომიკური თეორია უფრო მისაღებ პერსპექტივას გვთავაზობს. ახალი ეკონომიკური თეორია მიკრო დონის თეორიებს მიეკუთვნება, და მიიჩნევს, რომ მიგრაცია არ არის განპირობებული მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის ინდივიდუალური არჩევანით, რომელიც ეფუძნება მიგრაციის შედეგად მოსალოდნელი მოგების რაციონალურ გამოთვლებს (ნეოკლასიკური თეორია), არამედ წარმოადგენს ოჯახურ სტრატეგიას. ამრიგად, ინდივიდი ერთპიროვნულად კი არ იღებს გადაწყვეტილებას ემიგრაციის შესახებ, არამედ ოჯახი ახდენს არსებული რესურსების (ამ შემთხვევაში – მუშახელის) დივერსიფიკაციას, რითაც ამცირებს შესაძლო საფრთხეს, რომელიც მის კეთილდღეობას დაემუქრება იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის შემოსავლები სხვადასხვა მიზეზის გამო შემცირდება[49]. ამრიგად, გადამწყვეტი აქტორი აქ ინდივიდი კი არა, ოჯახია, ხოლო ინდივიდი, გარკვეულწილად, ოჯახის "ნების" შემსრულებელი ხდება, რადგანაც მისი ემიგრაციის მიზანს არა პირადი მოთხოვნილებების და სურვილების დაკმაყოფილება, არამედ სამშობლოში დარჩენილი ოჯახის წევრების მატერიალური უზრუნველყოფა წარმოადგენს.

ოჯახების მიგრაციული სტრატეგია შემოსავლების დივერსიფიკაციას ისახავს მიზნად, და, როგორც წესი, ყველაზე ხშირად სოფლის მეურნეობით დაკავებულ შინამეურნეობებს ახასიათებთ, რომლებიც ამგვარად ცდილობენ დაიზღვიონ თავი იმ შემთხვევაში, თუ ცუდი ბუნებრივი პირობების გამო ვერ მოახერხებენ საკმარისი ოდენობის მოსავლის აღებას. შესაბამისად, მიგრაციის ახალი ეკონომიკური თეორია უფრო უკეთ ხსნის მიგრაციას ტრადიციული აგრარული საზოგადოებებიდან, სადაც უფრო ძლიერია ნათესაური ურთიერთობები.

[49] D. S. Massey et al., "Theories of International Migration: A review and Appraisal", p. 436.

2.1.3. დუალური / სეგმენტირებული მუშახელის ბაზრის თეორია (Dual / Segmented Labor Market Theory)

სეგმენტირებული მუშახელის ბაზრის თეორია ჯონ სტიუარტ მილის და აშშ-ში XX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ინსტიტუციონალისტ-ეკონომისტების მოსაზრებებს ეფუძნება, და თავდაპირველად, შრომის ბაზარზე სხვადასხვა სოციალური კლასების მდგომარეობას ასახავდა. ამ თეორიის მისადაგება მიგრაციულ პროცესებთან და მიგრანტების როლთან მუშახელის ბაზარზე მხოლოდ გასული საუკუნის 80-იან წლებში მოხდა[50].

როგორც წესი, მიმღებ ქვეყნებში იმიგრანტებთან გარკვეული დაბალანაზღაურებადი სამუშაოები ასოცირდება და ადგილობრივი მოსახლეობა ფაქტობრივად, უარს აცხადებს ამ სამუშაოების შესრულებაზე. ამრიგად, სოციალური კლასის საფუძველზე აგებული სტიგმატიზაცია ორად ყოფს ქვეყნების ეროვნულ მუშახელის ბაზარს, ანუ, ახდენს მის სეგმენტირებას, და, შესაბამისად, მიმღებ ქვეყნებში არსებობს მუდმივი მოთხოვნა იმიგრანტ მუშახელზე. მაიკლ პიორე მიიჩნევს, რომ საერთაშორისო მიგრაცია არ არის გამოწვეული მიგრანტების ქვეყნებში არსებული დაბალი ხელფასებითა თუ უმუშევრობის მაღალი დონით, არამედ გამოწვეულია მიმღებ ქვეყნებში არსებული მოთხოვნით სპეციფიკური ხასიათის მუშახელზე, რომელიც თანახმაა დაიკავოს შრომის ბაზარზე ის ადგილები და იმ ფასად, რაზეც ადგილობრივი მოსახლეობა არ თანხმდება[51]. ნეოკლასიკური თეორიისგან განსხვავებით, სეგმენტირებული შრომითი ბაზრის თეორია ამტკიცებს, რომ ქვეყნებს შორის არსებული განსხვავებები ხელფასების დონეებს შორის არ თამაშობს "*მიმზიდველი*" ფაქტორის როლს საერთაშორის მიგრაციის პროცესში.[52]

---

[50] M. J. Piore, *Birds of Passage: Migrant Labor in Industrial Societies*. (Cambridge University Press, Cambridge 1979).
[51] D. S. Massey et al., "Theories of International Migration: A review and Appraisal", p. 441.
[52] Ibid., p. 444.

სეგმენტირებული შრომის ბაზრის თეორიის მიხედვით, სტრუქტურული ინფლაციის გამო დამქირავებლები მიმღებ ქვეყანაში ნაცვლად იმისა, რომ გაზარდონ ხელფასები, რათა ადგილობრივი მოსახლეობა მიიზიდონ დაბალანაზღაურებადი და დაბალპრესტიჟული თანამდებობების დასაკავებლად, გამოსავალს უცხოური მუშა-ხელის იმპორტში ხედავენ[53]. ის თუ რატომ თანხმდებიან იმიგრანტები ისეთი სამუშაოს შესრულებაზე, რაზეც ადგილობრივი მოსახლეობა უარს აცხადებს, მარტივი ასახსნელია – როგორც წესი, იმიგრანტები არ განიხილავენ თავს მიმღები ქვეყნის საზოგადოების წევრებად, მათთვის არ არის მნიშვნელოვანი ამა თუ იმ სამუშაოსთან დაკავშირებული იერარქიული დატვირთვა. ამით იხსნება ის თავსატეხი, თუ რატომ შეიძლება მიგრანტმა უარი თქვას რომელიმე სამუშაოს შესრულებაზე საკუთარ სამშობლოში და იგივე, ან შეიძლება უფრო მძიმე და ნაკლებად პრესტიჟული სამუშაოთი იყოს დაკავებული საზღვარგარეთ – საზღვარგარეთ ყოფნისასაც მიგრანტები კვლავ საკუთარი სამშობლოს საზოგადოების წევრად აღიქვამენ თავს, და მათთვის უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ისინი საზღვარგარეთ მუშაობენ და ფინანსურად ეხმარებიან საკუთარ ოჯახებს.

2.1.4. მსოფლიო სისტემების თეორია

მსოფლიო სისტემების თეორია მაკრო-დონის თეორიათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც გადამწყვეტ ფაქტორად საერთაშორისო მიგრაციის დროს არა ინდივიდს, არა ოჯახს, არამედ მსოფლიოში არსებულ ეკონომიკურ სისტემას მიიჩნევს. მსოფლიო სისტემების თეორია ეფუძნება ემანუილ ვალლერშტაინის ნაშრომებს და იმპერიალიზმის ადრეულ მარქსისტულ კრიტიკას, რომლის მიხედვითაც, საერთაშორისო მიგრაცია გამოწვეულია "მსოფლიო ბაზრის სტრუქტურით, რომელიც განვითარდა და გაფართოვდა XVI საუკუნის შემდეგ"[54]. ადამიანები, რომლებიც

[53] Ibid., p. 441-442.
[54] D. S. Massey et al., "Theories of International Migration: A review and Appraisal", p. 444.

ტრადიციულ საზოგადოებებში ცხოვრობენ, რაც არ უნდა ღარიბები იყვნენ, როგორც წესი, არ მიდიან ემიგრაციაში. მხოლოდ მას შემდეგ იწყებს ამ ქვეყნის მოსახლეობა საზღვარგარეთ გამგზავრებას, რაც "პერიფერიული" ქვეყანა გლობალიზაციურ პროცესებში და მსოფლიო სავაჭრო ურთიერთობებში ერთვება, რასაც, თავისთავად, თან სდევს გარკვეული კულტურული და სოციალური ცვლილებები.

ამრიგად, მიგრაცია არის იმ მოვლენების ბუნებრივი შედეგი, რომელიც თან სდევს კაპიტალისტურ განვითარებას – როგორც წესი, აქ იგულისხმება კოლონიალიზმის პერიოდი, როდესაც მეწარმეები განვითარებული ქვეყნებიდან ხსნიდნენ საწარმოებს "პერიფერიულ" ქვეყნებში, რათა იაფი მუშახელის, ნედლეულისა და რესურსების საშუალებით გაეზარდათ მოგება. სწორედ ამიტომ, ხშირად პირველ ხანებში ემიგრაცია ყოფილი კოლონიებიდან მიმართულია იმ ქვეყნებისკენ, რომლებთანაც კავშირები "კოლონიალურ" პერიოდში დამყარდა – მაგალითად, პაკისტანელები და ინდოელები ტრადიციულად დიდ ბრიტანეთში მიდიან ემიგრაციაში, ალჟირელები – საფრანგეთში, ფილიპინელები – ამერიკის შეერთებულ შტატებში და ა.შ.

მსოფლიო სისტემების თეორიის მიმდევრები თვლიან, რომ, როდესაც ემიგრაცია ტრადიციული და ნაკლებად განვითარებული ქვეყნებიდან მდიდარი და განვითარებული ქვეყნებისკენ მიემართება, ხოლო მიგრანტები იწყებენ სამშობლოში ფულადი დახმარებების გაგზავნას, მიგრანტების სამშობლო ქვეყანა უფრო მეტად ერთვება საბაზრო ურთიერთობებში, რაც კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს მიგრაციის დონის ზრდას.

2.1.5. სოციალური კაპიტალის თეორია

მიგრაციის ნეოკლასიკური თეორიისგან განსხვავებით სოციალური კაპიტალის თეორია ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ გადაწყვეტილების მიღება ემიგრაციის შესახებ არ ხდება მხოლოდ და მხოლოდ

რაციონალური გამოთვლების საფუძველზე, რომლებსაც პოტენციური ემიგრანტი ინდივიდუალურ დონეზე იღებს, ოჯახის წევრებისა და ახლობლების აზრისა და ჩარევის გათვალისწინების გარეშე. სოციალური კაპიტალის თეორია ასევე ეჭვქვეშ აყენებს «push and pull» ფაქტორების როლს საზღვარგარეთ გამგზავრების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

სოციალური კაპიტალის თეორიის თანახმად, ემიგრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება იმ სოციალური კავშირების ზემოქმედების ქვეშ, რომლებიც აკავშირებთ საზღვარგარეთ წასულ ემიგრანტებს და მათ სამშობლოში დარჩენილ ოჯახის წევრებს, ნათესავებსა და მეგობრებს. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ემიგრაციის ყველა ფაქტი განპირობებულია ემიგრაციული ქსელების არსებობით – თავდაპირველად ემიგრაცია გამოწვეულია ეკონომიკური, პოლიტიკური ანდა სოციალური ფაქტორებით. მაგრამ სოციალური კაპიტალის თეორიის თანახმად, მიგრაციის თითოეული ფაქტი ხელს უწყობს ემიგრაციული ქსელების ჩამოყალიბებასა და განვითარებას[55], ხოლო ემიგრაციული ქსელები კი უკვე გვევლინებიან როგორც დამოუკიდებელი აქტორები ემიგრაციის პროცესში.

სანათესაო ქსელების როლის შესახებ საერთაშორისო მიგრაციის პროცესში ჯერ კიდევ თომასი და ზნანეცკი წერდნენ თავის ნაშრომში "პოლონელი გლეხი ევროპასა და ამერიკაში" (1918). სოციალურ ქსელებს ზოგი მეცნიერი მიგრაციის "მფარველებს" უწოდებდა, ზოგი – "ჯაჭვურ მიგრაციას", ზოგი – "ოჯახის და მეგობრების ეფექტს" და ზოგიც – "მიგრაციულ კაპიტალს"[56]. მაგრამ მხოლოდ 1987 წელს დუგლას მეისიმ

[55] I. Light, P. Bhachu, S. Karageorgis, "Migration Networks and Immigrant Entrepreneurship". <http://repositories.cdlib.org/issr/volume5/1> (1989). (მოძიებულია 03/21/2006).
[56] I. Light, P. Bhachu, S. Karageorgis, "Migration Networks and Immigrant Entrepreneurship".

და მისმა თანაავტორებმა განიხილეს ემიგრაციული ქსელები როგორც სოციალური კაპიტალის სპეციფიკური ფორმა[57].

როგორც ბურდიე და ვიკონი განმარტავენ, სოციალური კაპიტალი წარმოადგენს როგორც არსებული, ასევე ვირტუალური რესურსების ჯამს, რომელიც ახასიათებს ინდივიდს ან ჯგუფს და მოიცავს გარკვეულწილად ინსტიტუციონალიზირებულ ურთიერთობებს, რომლებიც ეფუძნება ორმხრივ ნაცნობობას და აღიარებას[58]. სოციალური კაპიტალის თეორია ხსნის, თუ როგორ ხდება, რომ ზოგიერთი ადამიანი უფრო მეტ წარმატებას აღწევს გარკვეულ ვითარებაში იმის გამო, რომ მას შედარებით უფრო მყარი კავშვირები აქვს სხვა ადამიანებთან. ამასთანავე, გასათვალისწინებელია სოციალური კაპიტალის ერთ-ერთი ძირითადი თვისება, რომ ის ადვილად შეიძლება გარდაიქმნას კაპიტალის სხვა სახეობად, მაგალითად, ფინანსურ კაპიტალად.

დუგლას მეისის განმარტებით, "ემიგრაციული ქსელები არის ადამიანებს შორის არსებული კავშირების კრებული, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებს მიგრანტებს, ყოფილ მიგრანტებს, და არამიგრანტებს მშობლიურ და მიმღებ ქვეყნებში ნათესაობის, მეგობრობის და საერთო წარმომავლობის საშუალებით"[59]. ასეთ კონტექსტში მიგრანტები განიხილებიან არა როგორც "თავგადასავლების მარტოხელა მაძიებელნი, არამედ, როგორც აქტორები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან საზოგადოებებთან როგორც მიმღებ, ასევე მშობლიურ ქვეყანაში, ხოლო მათი სოციალური კავშირები ხელს უწყობენ და სტრუქტურირებენ მათ გადასვლას ერთი საზოგადოებიდან მეორეში"[60]. ეს კავშირები, როგორც წესი, საკმაოდ ეფექტურად ფუნქციონირებენ. ისინი საკმაოდ მყარია, რადგანაც ბუნებრივად ჩამოყალიბდნენ ნათესაური და

[57] D. S. Massey, "Why Does Immigration Occur? A Theoretical Synthesis", in: Ch. Hirschman, P. Kazintz, J. DeWind (Eds), *The Handbook of International Migration: The American experience,* (Russell Sage Foundation, New York 1999), p.44.
[58] P. Bourdieu, L. Wacquant, *An Invitation to Reflexive Sociology*. (University of Chicago Press, Chicago 1992), p.119.
[59] D. S. Massey, "Why Does Immigration Occur? A Theoretical Synthesis", p. 43-44.
[60] R. Waldinger, M. Lighter, *How the Other Half Works: Immigration and the Social Organization of Labor*. (University of California Press, Berkeley 2003), p. 11.

მეგობრული კავშირების საფუძველზე ემიგრაციამდელ პერიოდში. ამრიგად, ემიგრანტების "პირველი ტალღა", რომელიც, როგორც წესი, ძირითადში შედგება ყველაზე მოტივირებული, ენერგიული და გამბედავი ადამიანებისგან, რომლებმაც გარისკეს წასვლა ისეთ ქვეყნებში, სადაც მათ არავისი დახმარების იმედი არ ჰქონდათ, სულ უფრო და უფრო მეტ მიმდევართან ხდება დაკავშირებული.

როგორც წესი, ემიგრაციის ხარჯი მაქსიმალურია მაშინ, როდესაც ემიგრანტი მიდის სრულიად უცხო ქვეყენაში, სადაც მას არანაირი გარეშე დახმარების იმედი არა აქვს. უცხო ქვეყანაში ჩასვლის შემდეგ ის იძულებულია თავად გაიკვლიოს გზა, დამოუკიდებლად იშოვოს სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი; ამასთანავე, ის აყალიბებს ახალ კავშირებს ადგილობრივ მოსახლეობასთან და სხვა ემიგრანტებთან; შეიძლება გაიცნოს მისი სამშობლოდან წასული სხვა ემიგრანტებიც. ამ პროცესში ის ეცნობა მიმღები ქვეყნის ცხოვრების წესს, ხდება სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წევრი, ასე თუ ისე მკვიდრდება ახალ ქვეყანაში. თანდათან, მას საშუალება უჩნდება, რომ მოახდინოს გარკვეული რესურსების აკუმულირება, რომლებიც შეუძლია მოახმაროს თავისი ახლობლების, ნათესავების და მეგობრების ემიგრაციას. ამიტომ შემდგომი "ტალღების" ემიგრანტების საზღვარგარეთ გამგზავრების ხარჯები საგრძნობლად მცირდება, რადგან მიმღებ ქვეყანაში უკვე დამკვირდებულ ემიგრანტს შეუძლია გაუწიოს მნიშვნელოვანი დახმარება თავის ახლობლებს, თუ მათაც ექნებათ სურვილი, რომ ემიგრაციაში წავიდნენ. მნიშნველოვანია აღვნიშნოთ, რომ აქ საუბარი არ არის მხოლოდ მატერიალური სახის დახმარებაზე – არანაკლებ მნიშვნელოვანია საინფორმაციო და ინსტრუმენტული სახის დახმარება, რომლებსაც დაწვრილებით განვიხილავთ ნაშრომის მე-4 თავში. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ საზღვარგარეთ წასულია ოჯახის წევრი, ახლო მეგობარი ან თუნდაც მეზობელი თუ თანასოფლელი, ზრდის პოტენციურ ემიგრანტთა რაოდენობას და, საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს საერთაშორისო

მიგრაციის ზრდას. მეისი საუბრობს იმის შესახებ, რომ მას შემდეგ, რაც ქსელების ოდენობა კრიტიკულ ზღვარს აღწევს, მიგრაცია "თვითწარმოქმნადი" ხდება, რადგანაც "მიგრაციის თითოეული ახალი აქტი თავად ქმნის სოციალურ სტრუქტურას, რომელიც საჭიროა მისი არსებობისათვის"[61].

რაც უფრო ვითარდება ემიგრაციული ქსელები, მით უფრო ნაკლები დანახარჯებით და მეტი ეფექტურობით შეუძლიათ მათ ფუნქციონირება. "ძალიან მალე ქსელური კონსოლიდაციის და ექსპანსიის პროცესები გარდაიქმნებიან ისეთ ფენომენად, რომელიც საკუთარ თავს ასაზრდოებს"[62]. ემიგრაციული ქსელების განვითარების ამ ეტაპზე თითქმის ყველა ადამიანს, რომელიც სამშობლოში დარჩა, აქვს საზღვარგარეთ წასულების დახმარების იმედი. შესაბამისად, შეიძლება ვისაუბროთ იმაზე, რომ ემიგრაციული ქსელების განვითარებასთან ერთად იზრდება ემიგრაციის დონეც, რადგანაც ემიგრაციის პროცესი გაცილებით იაფი, მარტივი და უსაფრთხო ხდება.

როგორც სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებლმა კვლევებმა აჩვენა, ემიგრაციის ქვეყნის შერჩევა მნიშვნელოვანადაა განპირობებული მიგრაციული ქსელების ზრდით[63]. ფრანკლინ გოზას აზრით, რომელმაც გამოიკვლია ბრაზილიელი ემიგრანტების ემიგრაციული ქსელები, "სავარაუდოა, რომ ეს ქსელები ისეთნაირად ფუნქციონირებენ, რომ პოტენციური ემიგრანტები, როგორც წესი, არც კი განიხილავენ ემიგრაციის სხვა მიმართულებებს და ამის მაგივრად მიდიან იმ ადგილებში, სადაც უკვე არსებობენ ძლიერი ქსელური კავშირები ემიგრანტების სამშობლოსთან"[64]. გარკვეულწილად ეს გასაგებიცაა –

[61] D. S. Massey et al., "Theories of International Migration: A review and Appraisal", p. 449.
[62] R. Waldinger, M. Lighter, *How the Other Half Works: Immigration and the Social Organization of Labor*, p. 11.
[63] T. Bauer, G. Epstein, I.N Gang. "What are Migration Networks?" IZA Discussion Paper № 200. (Institute for the Study of Labour, 2000), p.7.
[64] F.Goza. "Immigrant Social Networks: The Brazilian Case". <www.bgsu.edu/organizations/cfdr/research/pdf/2004/2004-02.pdf> (მოძიებულია 10/01/2005), p.17.

ადამიანს ურჩევია წავიდეს ისეთ ადგილას, სადაც ახლობლების და მეგობრების დახმარების იმედი ექნება.

ემიგრაციული ქსელების მეშვეობით ადამიანები სხვადასხვა სახის დახმარებას იღებენ – ეს შეიძლება იყოს ფინანსური დახმარება საზღვარგარეთ გასამგზავრებლად; მიმღებ ქვეყანაში ჩასვლის შემდეგ საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფა პირველ ხანებში მაინც; დახმარება სამსახურის შოვნაში, და სხვა. ფრანკლინ გოზა ამტკიცებს, რომ ბრაზილიელი ემიგრანტების სოციალური ქსელები პოტენციურ ემიგრანტებს, პირველ რიგში, ეხმარებიან ვიზის მიღებაში, სხვა შემთხვევაში, – თუ ხდება მიმღები ქვეყნის საზღვრის გადაკვეთა არაკანონიერად ან "უსაბუთოდ". სოციალური ქსელების მეშვეობით პოტენციური ემიგრანტები იღებენ ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა სიძნელეები შეიძლება შეხვდეთ საზღვარზე გადასვლისას, რა და როგორ უნდა უთხრან საიმიგრაციო სამსახურების წარმომადგენლებს, როდესაც პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვენ და ა.შ. მას შემდეგ, რაც ბრაზილიელი ემიგრანტები ჩადიან აშშ-სა და კანადაში, ისინი თავის ახლობლებთან და ნათესავებთან იწყებენ ცხოვრებას, ახლობლები და ნათესავებივე ეხმარებიან მათ სამსახურის შოვნაში, და, როგორც წესი, ის ემიგრანტები, რომლებსაც კანადაში ერთი ნათესავი მაინც ყავდა, საშუალოდ 4 დღით ადრე შოულობდნენ სამსახურს, ვიდრე ის ემიგრანტები, რომლებსაც არც ერთი ნათესავი არ ყავდა იქ. დუგლას მეისის აზრით, ქსელების მეშვეობით საერთაშორისო მიგრაცია გადაიქცა "რისკის დივერსიფიკაციის და სარგებლის მაქსიმიზაციის" უაღრესად მიმზიდველ სტრატეგიად[65], რომელსაც ოჯახები სულ უფრო ხშირად მიმართავენ.

სწორედ ემიგრაციული ქსელების მეშვეობით ხდება ინფორმაციის სწრაფი გავრცელება ახალი სამუშაო ადგილების შესახებ ემიგრანტებსა და პოტენციურ ემიგრანტებს შორის. როგორც როჯერ ვოლდინგერი და

[65] D. S. Massey. "Why Does Immigration Occur? A Theoretical Synthesis", p.44.

მაიკლ ლაითი აღნიშნავენ, მას შემდეგ, რაც ემიგრანტები შოულობენ სამსახურს, ისინი ცდილობენ რომ, როგორც კი რაიმე ვაკანსია გამოჩნდება, თავისი ახლობლები, ნათესავები და მეგობრებიც დაასაქმონ, რაც ასევე ხელს უწყობს ემიგრაციის დონის ზრდას[66].

სოციალური ქსელების თეორიის კრიტიკოსები ყურადღებას ამახვილებენ იმ გარემოებაზე, რომ თავისთავად ქსელებს არ შესწევთ იმის ძალა, რომ შექმნან სამუშაო ადგილები. ნათელია, რომ თუ სოციალური კაპიტალის თეორიის ლოგიკას მივყვებით, რა თქმა უნდა, დადგება დრო, როდესაც მიმღებ ქვეყანაში ყველა სამუშაო ადგილი დაკავებული იქნება და ახლად ჩასული ემიგრანტები საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან და შეძლებენ სამსახურის/საცხოვრებელი ადგილის შოვნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა ემიგრანტების მიერ დაკავებული ადგილები გამოთავისუფლდება. ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ სულ უფრო და უფრო მეტი ერთნაირი უნარ-ჩვევების მქონე ემიგრანტი ჩავა, ამან, შესაძლოა, ხელფასების შემცირება ან ემიგრანტებს შორის უმუშევრობა გამოიწვიოს. ლაითის და მისი თანაავტორების აზრით, "თუ ემიგრანტების შემოდინება უსწრებს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებს, დასახლებულ პუნქტებში შეიძლება სამუშაო და საცხოვრებელი ადგილების დეფიციტი შეიქმნას"[67]. შედეგად – ემიგრაციული ქსელები ლატენტურ ხასიათს იღებენ, სუსტდებიან და შეიძლება გაქრნენ. ასეთ შემთხვევაში, ემიგრაციულმა ქსელმა შეიძლება გააგრძელოს თავისი არსებობა მხოლოდ მაშინ, თუ ის შესძლებს მიმართულება შეუცვალოს მიგრაციულ ნაკადებს და მიმართოს ისინი ახალი მიმღები ადგილისკენ, თუმცა, როგორ და რანაირად მოხდება ის, რომ პირველი ტალღის ემიგრანტები გაემგზავრებიან ამ და არა სხვა ქვეყნებში, გაუგებარი რჩება[68].

---

[66] R. Waldinger, M. Lighter, *How the Other Half Works: Immigration and the Social Organization of Labor,* p. 12.
[67] I. Light, P. Bhachu, S. Karageorgis, "Migration Networks and Immigrant Entrepreneurship".
[68] I. Light, P. Bhachu, S. Karageorgis, "Migration Networks and Immigrant Entrepreneurship".

2.1.6. თეორიული სინთეზი

ბუნებრივია, რომ არც ერთი თეორია არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ყოვლის მომცველი და ყველაფრის ამხსნელი. ამრიგად, საერთაშორისო შრომითი ემიგრაციის ფენომენის შესწავლისას მიზანშეწონილად მიგვაჩნია დავეყრდნოთ არა ერთ რომელიმე ზემოთმოყვანილ თეორიას, არამედ, ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, გამოვიყენოთ განხილული თეორიების ის მიგნებები, რომლებიც დაგვეხმარება თიანეთიდან შრომითი ემიგრაციის და თიანეთიდან ემიგრაციის ხელშეწყობის პროცესში თიანეთელი ემიგრანტების ემიგრაციული ქსელების როლის უკეთ გაგებაში.

ემიგრაციის საწყისი ეტაპების შესწავლისას სოციალური კაპიტალის თეორია ნაკლებად გამოყენებადია, მაშინ, როდესაც ახალი ეკონომიკური თეორია მნიშვნელოვან მიგნებებს გვთავაზობს, მით უმეტეს – იმ გერემოების გათვალისწინებით, რომ ჩვენი კვლევა სოფლის მეურნეობაზე დამოკიდებულ ადგილას ჩატარდა. ამავდროულად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ისეთ ვითარებაში, როდესაც შრომითი ემიგრაცია საკმაოდ გავრცელებულ "გადარჩენის სტრატეგიად" იქცა თიანეთში, შეფარდებითი დეპრივაციის ფაქტორი სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი გახდება ემიგრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

სეგმენტირებული შრომის ბაზრის თეორია დაგვეხმარება იმის ახსნაში, თუ რატომაა მოთხოვნა სხვადასხვა ტიპის მუშახელზე ამა თუ იმ ქვეყანაში, და რატომ თანხმდებიან ემიგრანტები შეასრულონ საზღვარგარეთ ის სამუშაო, რომელზეც სამშობლოში უარს აცხადებენ.

ის ფაქტი, რომ საერთაშორისო შრომითი ემიგრაცია საქართველოდან დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის მიმართულებით არც თუ ისე დიდი ხნის წინ დაიწყო, გარკვეულწილად აიხსნება მსოფლიო სისტემების თეორიით – მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველოს საზღვრები გაიხსნა, რაც საქართველო ჩაერთო მსოფლიო

ბაზრის სისტემაში, რაც მოხდა უცხოური კაპიტალის შემოდინება, ხდება ქართული მუშახელის ჩართვა მუშახელის მსოფლიო ბაზარში და ემიგრაციის მიმართულების შეცვლა რუსეთიდან დასავლეთ ევროპისა და აშშ-სკენ[69].

სოციალური კაპიტალის თეორიის მეშვეობით საშუალება გვეძლევა ავხსნათ ის, თუ როგორ ხდება საქართველოდან საზღვარგარეთ გამგზავრება ისეთ ვითარებაში, როდესაც ემიგრაცია სულ უფრო და უფრო სერიოზულ სირთულეებთან და ფინანსურ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ჩვენი აზრით, სწორედ ემიგრაციული ქსელები თამაშობენ გადამწყვეტ როლს საქართველოდან ემიგრაციის სტიმულირებაში, რადგანაც ეს ქსელები სხვადასხვა სახის დახმარებას უწევენ პოტენციურ ემიგრანტებს, რაც საგრძნობლად ამარტივებს ემიგრაციის პროცესს.

[69] საბჭოთა კავშირის დროს სეზონური შრომითი მიგრაცია რუსეთში საკმაოდ გავრცელებული იყო საქართველოს მოსახლეობის ერთ ნაწილში, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ იმ დროს საქართველო, თავისთავად, ჩართული იყო საბჭოთა კავშირის ეკონომიკური სისტემის ფარგლებში და სეზონური მიგრაცია გამოწვეული იყო არსებული მოთხოვნით სპეციფიკურ მუშახელზე. ხოლო ის ფაქტი, რომ დღესდღეობით საქართველოდან ემიგრაციის მიმართულება შეიცვალა, მიუთითებს არა მარტო იმაზე, რომ ემიგრაცია დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებისკენ გამოწვეულია რუსეთის შრომის ბაზრის "ჩაკეტვით", არამედ იმაზეც, რომ საქართველო ჩაერთო მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში.

თავი III. შრომითი ემიგრაცია თიანეთიდან

3.1. თიანეთიდან შრომითი ემიგრაციის გამომწვევი ეკონომიკური მიზეზები

3.1.1. სიღარიბე

იმას, რომ თიანეთის მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა მართლაც ძალიან მძიმეა, ამტკიცებს 2003 წელს საქართველოში ჩატარებული სიღარიბის კვლევა, რომელმაც აჩვენა, რომ 2003 წელს მცხეთა-მთიანეთის მხარე და, კერძოდ, თიანეთის რაიონი საქართველოს ყველაზე ღარიბ მხარეებსა და რაიონებს შორის იყო.

ცხრილი 2.

საქართველოს ყველაზე ღარიბი რაიონები[70]

რაიონი	**Poverty Headcount**	**Poverty Gap**	**Severity of Poverty**
ხულო	0.97	0.64	0.45
ქედა	0.95	0.56	0.37
შუახევი	0.83	0.39	0.22
ბორჯომი	0.73	0.33	0.19
ხელვაჩაური	0.71	0.28	0.15
კასპი	0.66	0.29	0.16
ნინოწმინდა	0.66	0.28	0.15
მცხეთა	0.66	0.28	0.16
ახალგორი	0.66	0.28	0.16
დუშეთი	0.65	0.28	0.16
ასპინძა	0.65	0.27	0.15
ახალქალაქი	0.64	0.26	0.14
ახალციხე	0.63	0.26	0.14
თიანეთი	**0.63**	**0.26**	**0.14**
ხაშური	0.61	0.25	0.14

[70] G. Labbate, L. Jamburia, G. Mirzashvili, *Poverty Mapping in Georgia*. (UNDP, Tbilisi 2003), p. 6-18.

ადიგენი	0.60	0.24	0.13
გორი	0.60	0.24	0.13
რუსთავი	0.56	0.20	0.10
საქართველო	**0.47**	**0.16**	**0.08**

როგორც ამ ცხრილიდან ვხედავთ, 2003 წელს თიანეთის რაიონის მოსახლეობის 63% იმყოფებოდა სიღარიბის ზღვარს მიღმა – ეს 16%-ით მეტია, ვიდრე საშუალოდ საქართველოში. თუ გავითვალისწინებთ, რომ მას შემდეგ საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობა საგრძნობლად არ გაუმჯობესებულა, ჩვენ გვაქვს ყველა საფუძველი იმისათვის, რომ მივიჩნიოთ თიანეთი ერთ-ერთ ყველაზე ღარიბ მუნიციპალიტეტად საქართველოში[71]. ამასთანავე, ამ მუნიციპალიტეტში წარმოების არარსებობა, მიწების დაბალმოსავალიანობა და მძიმე კლიმატური პირობები ხელს უწყობს თიანეთში სიღარიბის გავრცელებასა და შენარჩუნებას.

სიღარიბის სუბიექტური აღქმა თიანეთის მაცხოვრებლებს შორის მნიშვნელოვნად განსხვავდება იქიდან გამომდინარე, არის თუ არა ამა თუ იმ ოჯახში ემიგრანტი და ეხმარება თუ არა ის თავის ოჯახს. ყველაზე უარყოფითად თავიანთ ეკონომიკურ მდგომარეობას ის ოჯახები აფასებენ, სადაც არ არიან ემიგრანტები – მათი 70% აცხადებს, რომ მათი ოჯახის მდგომარეობა "ცუდია" ან "ძალიან ცუდია", მაშინ, როდესაც იმ ოჯახებიდან, რომლის წევრებიც საზღვარგარეთ არიან წასულები და ეხმარებიან მათ, ასეთ თვითშეფასებას მხოლოდ ოჯახების 30% აკეთებს. მეორე მხრივ, ყველა ჩვენს მიერ გამოყოფილ ჯგუფში პრაქტიკულად არავინ არ აფასებს თავისი ოჯახის მდგომარეობას როგორც "ძალიან

[71] მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში საქართველოში საკმაოდ მაღალია ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები, ეს, სამწუხაროდ, არ აისახება სიღარიბის დონის შემცირებაზე. 2004 წელთან შედარებით, 2005 წელს სიღარიბის დონე ქალაქად 34.3%-დან 37.1%-მდე, ხოლო სოფლად – 37.1%-დან 41.7%-მდე გაიზარდა. ასევე მაღალია შემოსავლებისა (0.44) და მოხმარების (0.39) უთანასწორობის კოეფიციენტი (Gini coefficient). ix.: Country Programme Action Plan 2006-2010 between The Government of Georgia and UNDP. (Tbilisi 2006), p. 4.

კარგს” და მხოლოდ 1-დან 7%-მდე თვლის, რომ ის “კარგია” (იხ. ცხრილი 3).

შედარებისთვის, 2003 წელს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიური კვლევის ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების თანახმად, თელავის რაიონში გამოკითხულთა მხოლოდ 9% აფასებდა თავისი ოჯახის მატერიალურ მდგომარეობას როგორც “ძალიან ცუდს”, 22% - როგორც “ცუდს”, მაშინ, როდესაც 57% თვლიდა, რომ ის იყო “საშუალო”, 11% - “კარგი”, და 1% - “ძალიან კარგი”[72].

ცხრილი 3.

საკუთარი ოჯახების მატერიალური მდგომარეობის შეფასება თიანეთის მოსახლეობის მიერ (% შესაბამისი ჯგუფის მიხედვით)

	ყველა ოჯახი	ოჯახები ემიგრანტების გარეშე	ოჯახები ემიგრანტებით	ოჯახები ემიგრანტებით, რომლებიც იღებენ დახმარებას	ოჯახები ემიგრანტებით, რომლებიც არ იღებენ დახმარებას
ძალიან კარგი	0	0	1	1	0
კარგი	2	1	5	7	1
საშუალო	37	29	55	62	38
ცუდი	46	51	33	29	44
ძალიან ცუდი	15	19	6	1	17
სულ:	100	100	100	100	100

ოჯახები ემიგრანტებით ყველაზე ხშირად აფასებენ ოჯახის მატერიალურ მდგომარეობას როგორც “საშუალოს” (55%), მაშინ როდესაც ოჯახებში ემიგრანტების გარეშე დომინანტური შეფასებაა “ცუდი” (51%). ამასთან, იმ ოჯახების თვითშეფასება, რომლებიც არ იღებენ დახმარებას თავისი ემიგრანტებისგან და იმ ოჯახების თვითშეფასება, რომლებსაც არ ყავთ ემიგრანტები, თითქმის იდენტურია. ორივე შემთხვევაში შეფასებები

[72] T. Zurabishvili, T. Zurabishvili, “Georgia: Persistent Paternalism” in: *Sociological Research*, vol. 43, no. 6 (2004). p. 92.

“ცუდი” და “ძალიან ცუდი” რამდენჯერმე აღემატება დადებით შეფასებებს.

გამოკითხულები თიანეთის სხვა ოჯახების მდგომარეობას უფრო პესიმისტურად აფასებენ, ვიდრე საკუთარი ოჯახების მდგომარეობას – მნიშვნელოვანია, რომ არც ერთი ჯგუფის მიერ არ იქნა ის შეფასებული, როგორც “ძალიან კარგი”. ამ შემთხვევაში შეფასებები მსგავსია იმისდა მიუხედავად, არის თუ არა ოჯახში ემიგრანტი – გამონაკლისს ის ოჯახები წარმოადგენენ, რომლებიც არ იღებენ დახმარებას – თიანეთის მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის მათი შეფასებები განსაკუთრებით უიმედოა (ცხრილი 4).

ცხრილი 4.

თიანეთის მაცხოვრებლების მატერიალური მდგომარეობის შეფასება (% შესაბამისი ჯგუფის მიხედვით)

	ყველა ოჯახი	ოჯახები ემიგრანტების გარეშე	ოჯახები ემიგრანტებით	ოჯახები ემიგრანტებით, რომლებიც იღებენ დახმარებას	ოჯახები ემიგრანტებით, რომლებიც არ იღებენ დახმარებას
ძალიან კარგი	0	0	0	0	0
კარგი	1	1	1	1	0
საშუალო	27	27	27	30	18
ცუდი	57	56	58	58	59
ძალიან ცუდი	15	16	14	11	23
სულ:	100	100	100	100	100

როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილებიდან ჩანს, რესპონდენტები უფრო უარყოფითად აფასებენ სხვა ოჯახების მატერიალურ მდგომარეობას, ვიდრე საკუთარი ოჯახების მატერიალურ მდგომარეობას.

ჩვენ აგრეთვე ვთხოვეთ რესპონდენტებს, რომ მოეთავსებინათ საკუთარი თავი ჰიპოთეტურ 10-საფეხურიან კიბეზე, რომელიც ასახავდა მათ დღევანდელ საზოგადოებრივ მდგომარეობას დღესდღეობით; მათ მდგომარეობას 1990 წელს და მათ მდგომარეობას 10 წლის შემდეგ.

ქვემოთ ცხრილში მოყვანილია საშუალო მაჩვენებლები შესაბამის ჯგუფებთან მიმართებაში; მაქსიმალური შესაძლო შეფასება შეადგენდა 10-ს (“ყველაზე მაღალი სოციალური მდგომარეობა”), ხოლო მინიმალური – 1-ს (“ყველაზე დაბალი სოციალური მდგომარეობა”).

ცხრილი 5.

სოციალური მდგომარეობის შეფასება

	ყველა ოჯახი	ოჯახები ემიგრანტების გარეშე	ოჯახები ემიგრანტებით	ოჯახები ემიგრანტებით, რომლებიც იღებენ დახმარებას	ოჯახები ემიგრანტებით, რომლებიც არ იღებენ დახმარებას
1990 წელს	5.25	5.24	5.26	5.19	5.44
დღესდღეობით	3.18	2.94	3.8	4.05	3.19
10 წლის შემდეგ	4.32	3.98	5.18	5.68	3.96

ამ ცხრილში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება. 1990 წელს არსებული მდგომარეობის შეფასებისას პრაქტიკულად არ არის განსხვავება ჩვენს მიერ გამოყოფილი ჯგუფების შეფასებებს შორის, მაგრამ ამჟამინდელი და სამომავლო მდგომარეობის შეფასებისას განსხვავებები თვალშისაცემია იქიდან გამომდინარე, არის თუ არა ოჯახში ემიგრანტი და იღებს თუ არა ოჯახი მისგან დახმარებას.

ახლანდელი მდგომარეობის შეფასებისას რესპონდენტების უმრავლესობამ საშუალოზე დაბალი მაჩვენებლები დაასახელა, თუმცა ოჯახები ემიგრანტების გარეშე თავს უფრო დაბალ საფეხურებზე აყენებენ, ვიდრე ემიგრანტიანი ოჯახები. შეიძლება ითქვას, რომ ოჯახები ემიგრანტების გარეშე და ოჯახები ემიგრანტებით, რომლებიც არ იღებენ მათგან მატერიალურ დახმარებას, ძირითადში ერთნაირად აფასებენ როგორც თავიანთ ახლანდელ მდგომარეობას, ასევე იმას, თუ რომელ საფეხურზე იქნებიან 10 წლის შემდეგ – მათი შეფასებები განსაკუთრებით პესიმისტურია. აღსანიშნავია, რომ იმ ოჯახების შემთხვევაში, რომლებსაც ჰყავთ ემიგრანტები, მაგრამ არ იღებენ მათგან დახმარებას, არც ერთმა რესპონდენტმა არ დაასახელა 6-ზე მაღალი საფეხური, როდესაც

ცდილობდა წარმოედგინა, თუ რომელ საფეხურზე იქნებოდა ის 10 წლის შემდეგ.

იმ ოჯახების ახლანდელი მდგომარეობის და სამომავლო მოლოდინების შეფასებები, რომლებიც იღებენ დახმარებას თავისი ემიგრანტებისგან, უფრო ოპტიმისტურია – სწორედ ამ ოჯახებში დაფიქსირდა მაქსიმალური შეფასებები.

როგორც ვხედავთ, ის ფაქტი, რომ ოჯახში არის ემიგრანტი და ის მატერიალურად ეხმარება თავისი ოჯახის წევრებს, მნიშვნელოვნად ზრდის მათ თვითშეფასებას და ისინი უფრო იმედიანად უყურებენ მომავალს.

3.1.2. შემოსავლები და ხარჯები

თიანეთის ოჯახების 98%-ს ხარჯების უდიდესი ნაწილი მოდის პირველადი მოხმარების საგნების (პროდუქტები, პირადი ჰიგიენის საგნები, ტანსაცმელი) შეძენაზე. სიხშირის მიხედვით მეორე კატეგორიას შეადგენენ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ხარჯები (ოჯახების 51%), რასაც მოსდევს ვალების დაფარვასთან (18%) და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ხარჯები (17%).

არ უნდა იყოს გასაკვირი ის, რომ შემოსავლების და ხარჯების ოდენობის მიხედვით ლიდერობენ ის ოჯახები, რომლებიც იღებენ დახმარებას ემიგრანტებისგან, და პირიქით, ყველაზე დაბალი შემოსავლები (აბსოლუტური მნიშვნელობით) აქვთ იმ ოჯახებს, სადაც არ არიან ემგირანტები ან რომლებიც არ იღებენ დახმარებას.

ცხრილი 6.

თიანეთის ოჯახების საშუალო თვიური შემოსავლები და ხარჯები

	შემოსავლები (ლარი, საშუალო მნიშვნელობა ყველა ჯგუფში)	ხარჯები (ლარი, საშუალო მნიშვნელობა ყველა ჯგუფში)
ყველა ოჯახი	165	210

ოჯახები ემიგრანტების გარეშე	131	135
ოჯახები ემიგრანტებით	256	286
მათ შორის:		
ოჯახები ემიგრანტებით, რომლებიც იღებენ დახმარებას	297	319
ოჯახები ემიგრანტებით, რომლებიც არ იღებენ დახმარებას	156	203

ფულადი გზავნილები საზღვარგარეთიდან თიანეთის მაცხოვრებლების შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, განსაკუთრებით კი იმ ოჯახების, სადაც ემიგრანტები არიან[73] (დიაგრამა 1). უფრო მეტიც, ემიგრანტების ოჯახების შემთხვევაში ხელფასი ძირითადი სამუშაო ადგილიდან შედარებით უმნიშვნელო როლს თამაშობს ოჯახურ ბიუჯეტში.

დიაგრამა 1.

თიანეთის ოჯახების და ემიგრანტების ოჯახების შემოსავლების ძირითადი წყარო (%)



ჩვენი აღწერის შედეგად, რესპონდენტების მიერ დასახელებული

[73] ოჯახების ნაწილი, ვისაც არ ჰყავს "თავისი" ემიგრანტი, მიუხედავად ამისა, მაინც იღებს დახმარებას საზღვარგარეთ მყოფი ნათესავებისგან ან მეგობრებისგან, თუმცა, როგორც წესი, ნაკლები ოდენობით.

შემოსავლების ოდენობამ თიანეთის ერთ მაცხოვრებელზე საშუალოდ თვეში 52 ლარი შეადგინა, მაშინ, როდესაც სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ განსაზღვრული საარსებო მინიმუმი "2006 წლის პირველი ნახევრის ბოლოსათვის შეადგენდა 97,4 ლარს ($55,0). <…> უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებელი, ანუ, ეგრეთწოდებული სასურსათო ზღვარი (რომელიც არ ითვალისწინებს შინამეურნეობების არასასურსათო ხარჯებს ან მოხმარებას) დაფიქსირებული იყო 68,2 ლარის ($38,6) დონეზე"[74]. ამრიგად, თიანეთის მაცხოვრებლების შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე ოფიციალურზე თითქმის ორჯერ, ხოლო უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებელზე – 1.3-ჯერ დაბალია.

ემიგრანტების ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობა უკეთესია, ვიდრე არაემიგრანტი ოჯახების, ხოლო ემიგრანტების ოჯახებიდან ყველაზე კარგ მდგომარეობაში ის ოჯახები არიან, რომლებიც იღებენ მატერიალურ დახმარებას საზღვარგარეთიდან. მაგრამ მათ შემთხვევაშიც კი საშუალო თვიური შემოსავალი ერთ სულზე ვერ უტოლდება ოფიციალურ მაჩვენებლებს. ყველაზე მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან ოჯახები ემიგრანტებით, რომლებიც არ იღებენ არანაირ დახმარებას – მათი ყოველთვიური შემოსავალი ოჯახის ერთ წევრზე თითქმის 2.5-ჯერ არის საარსებო მინიმუმზე და 1.7-ჯერ უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებელზე დაბალი (ცხრილი 7).

ცხრილი 7.

თიანეთის ოჯახების საშუალო თვიური შემოსავლები და ხარჯები ერთ სულზე

	შემოსავლები ერთ სულზე (ლარი)	ხარჯები ერთ სულზე (ლარი)
ყველა ოჯახი	52	68
ოჯახები ემიგრანტების გარეშე	49	68
ოჯახები ემიგრანტებით	61	69

[74] «Уровень бедности в Грузии сократился на 3,6%» <http://www.regnum.ru/news/697379.html> (მოძიებულია 22/12/ 2006).

მათ შორის:		
ოჯახები ემიგრანტებით, რომლებიც იღებენ დახმარებას	70	76
ოჯახები ემიგრანტებით, რომლებიც არ იღებენ დახმარებას	40	53
ოჯახები ვალების გარეშე	67	75
ოჯახები ვალებით	43	64

თუმცა, აბსოლუტური მნიშვნელობით, ყველაზე დაბალი შემოსავლები იმ ოჯახებს აქვთ, რომლებსაც არ ყავთ ემიგრანტები, ოჯახის ერთ სულზე შემოსავლების მიხედვით ყველაზე დაბალი შემოსავლები იმ ემიგრანტების ოჯახებს აქვთ, რომლებიც არ იღებენ დახმარებას. და პირიქით, როგორც ვივარაუდეთ, ყველაზე მაღალი საშუალო თვიური შემოსავლები ერთ სულზე იმ ოჯახებშია, რომლებიც იღებენ დახმარებას საზღვარგარეთიდან.

ის, რომ იმ ოჯახების მდგომარეობა, რომლებიც იღებენ დახმარებას, გაცილებით უკეთესია, ვიდრე იმ ოჯახების, რომლების ვერ იღებენ ასეთ დახმარებას, ქმნის "შეფარდებითი დეპრივაციის" შეგრძნებას თიანეთის მოსახლეობაში, რაც ახალი ეკონომიკური თეორიების მიხედვით, შეგვიძლია განვიხილოთ როგორც ემიგრაციის გამომწვევი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი.

3.1.3. ვალები

ჩვენს მიერ ჩატარებული აღწერის შედეგების მიხედვით, ყველა ჩვენს მიერ გამოყოფილი ჯგუფის შემთხვევაში (ცხრილი 6-7) თიანეთელი ოჯახების ხარჯები მათ შემოსავალზე მეტია. შესაბამისად, თიანეთის მაცხოვრებლებისათვის ვალი, ფაქტობრივად, "ცხოვრების წესად" იქცა და

თავის გატანის ერთ-ერთ აუცილებელ საშუალებას წარმოადგენს – ისინი რეგულარულად იღებენ და “ისტუმრებენ” ვალებს.

გამოკითხული თიანეთის ოჯახების 61%-მა აღიარა, რომ კვლევის ჩატარების დროს, ე.ი. 2006 წლის აგვისტოს ბოლოს – სექტემბრის დასაწყისში, მათ ვალი ჰქონდათ. ყველაზე ნაკლებად ვალი მაინც იმ ოჯახებს აქვთ, სადაც არიან ემიგრანტები და რომლებიც იღებენ მათგან მატერიალურ დახმარებას (ასეთი ოჯახების 53%-მა აღნიშნა, რომ აქვს ვალი); პირიქით, ყველაზე მეტი ვალი აქვთ იმ ოჯახებს, რომლებსაც ყავთ ემიგრანტები, მაგრამ არ იღებენ მათგან დახმარებას (70%).

ვალის კოეფიციენტი, ანუ, შეფარდება იმ ოჯახებს შორის, რომლებსაც ჰქონდათ და არ ჰქონდათ ვალი ჩვენი კვლევის ჩატარების დროს, შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი 8.

თიანეთის ოჯახების ვალის კოეფიციენტი

	ვალის კოეფიციენტი
ყველა ოჯახი	1.62
ოჯახები ემიგრანტების გარეშე	1.70
ოჯახები ემიგრანტებით	1.43
მათ შორის:	
ოჯახები ემიგრანტებით, რომლებიც იღებენ დახმარებას	1.16
ოჯახები ემიგრანტებით, რომლებიც არ იღებენ დახმარებას	2.48

როგორც ვხედავთ, ყველა ჯგუფში ჭარბობს იმ ოჯახების რაოდენობა, ვისაც აქვთ ვალები. ყველაზე რთულ მდგომარეობაში ისევ და ისევ ის ოჯახები იმყოფებიან, რომლების წევრებიც არიან საზღვარგარეთ, მაგრამ არ ან ვერ ეხმარებიან თავიანთ ოჯახებს. როგორც ჩანს, სწორედ მათ აქვთ ყველაზე მეტი ვალები, რადგანაც, როგორც შეგვიძლია ვივარაუდოთ, მათ უწევთ ვალების აღება არა მარტო ყოველდღიური ხარჯების დასაფარად, არამედ მათი ოჯახის წევრის

საზღვარგარეთ გასამგზავრებლადაც[75]. იმ ოჯახებში, სადაც იღებენ მატერიალურ დახმარებას თავისი ემიგრანტებისგან, მდგომარეობა გაცილებით უკეთესია, მაგრამ მათ შემთხვევაშიც კი იმ ოჯახების რაოდენობა, ვისაც აქვს ვალი უფრო მეტია ვიდრე იმ ოჯახების, ვისაც არა აქვს ვალი.

თუ გავაანალიზებთ ოჯახების ხარჯებს და შემოსავლებს იმის მიხედვით, აქვთ თუ არა მათ ვალები, ვნახავთ, რომ იმ ოჯახების შემოსავლები, რომლებსაც აქვთ ვალები თითქმის ერთნახევარჯერ ნაკლებია (1.47-ჯერ), ვიდრე იმ ოჯახების, რომლებსაც არა აქვთ ვალები. შემოსავლებში მნიშვნელოვანი განსხვავების მიუხედავად, ხარჯების შემთხვევაში განსხვავება ნაკლებად შესამჩნევია იქიდან გამომდინარე, აქვს ოჯახს ვალი თუ არა (1.12-ჯერ).

შეიძლება დავასკვნათ, რომ "ვალით ცხოვრება" თიანეთის ეკონომიკური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. სიღრმისეული ინტერვიუებიც ამას ადასტურებს და გვიჩვენებს, თუ რა გავლენას ახდენს ამგვარი მდგომარეობა რესპონდენტებზე. ზოგ შემთხვევაში, სწორედ ვალების გამო მიდიან თიანეთელები ემიგრაციაში:

> *სულ გულზე მედო ხელი, ჩემი მეუღლეც მთელი ღამე გმინავდა, სულ ასე, ვალი, სულ ვალი, ავიღებდით ვალს, ვიყიდიდით ამ ფქვილს, მერე საიდან უნდა ჩაგვესესხებინა? მეც, საერთოდ, პატიოსანი გადამხდელი ვიყავი, მაგრამ რო არ გამოდიოდა, სხვა გზა არ მქონდა, უნდა წავსულიყავი, რომ ოჯახი გადამერჩინა.*
>
> გ. ქალი, 49 წლის, ისრაელი

> *შ: და ძირითადად თქვენი ოჯახი, სოფლის მეურნეობით* [საზრდოობდა]?
> *პ: სოფლის მეურნეობით, მაგრამ ვალებიდან ვალებზე რომ ვიყავით, რო ვიმუშავებდით და მერე ისევ ვალებით რომ ვიყავით, და ბოლოს ისე გაჭირდა, რომ წასვლა გადავწყვიტეთ, არანაირი ფინანსური* [საშუალება არ იყო], *იმიტომ რომ მამამთილი და დედამთილი იყვნენ ინვალიდები, ინვალიდი დედამთილი მყავს დღესაც, იმათ რომ მოვლა სჭირდებოდათ, და ის, უბრალოდ, ჩვენ კისერზე იყო. არანაირი სახსარი და საშუალება არა გვქონდა.*
>
> ი. ქალი, 37 წლის, საბერძნეთი, ისრაელი

[75] სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია ვალის ოდენობის შესახებ.

დაბალი შემოსავლები, ეკონომიკური განვითარების მწირი შესაძლებლობები აიძულებს თიანეთის მაცხოვრებლებს, რომ აიღონ ვალები, ხოლო ვალების დაფარვის რესურსების არარსებობა, ხშირ შემთხვევაში, უბიძგებს მათ ემიგრაციისკენ.

თუმცა, თიანეთიდან ემიგრაციის მაღალი დონე არ აიხსნება მხოლოდ თიანეთში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით – როგორც ჩვენ ქვემოთ ვეცდებით ვაჩვენოთ, ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს თიანეთელი ემიგრანტების ემიგრაციული ქსელების მიერ შეთავაზებული რესურსები თამაშობს, რომლებიც ისეთ ვითარებაში, როდესაც მოსახლეობას ნაკლებად მიუწვდება ხელი ფორმალურ საბანკო მომსახურებაზე და ემიგრაციასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, საშუალებას აძლევენ თიანეთის მაცხოვრებლებს შეამცირონ ემიგრაციასთან დაკავშირებული ხარჯები, უფრო უსაფრთხო და მიმზიდველი გახადონ ემიგრაციის პროცესი.

3.2 თიანეთიდან შრომითი ემიგრაციის საერთო დახასიათება

თიანეთში ჩატარებული აღწერის შედეგად შეგროვდა ინფორმაცია 1062 ოჯახის შესახებ. დაბის მუდმივი მოსახლეობის რაოდენობამ, მათი ჩათვლით, ვინც კვლევის ჩატარების დროს საზღვარგარეთ იმყოფებოდა, შეადგინა 3097 ადამიანი[76].

1062 ოჯახიდან 301 ოჯახში (28%) არის თუნდაც ერთი ემიგრანტი, მაგრამ არის ოჯახები, საიდანაც საზღვარგარეთ ერთ ადამიანზე მეტია წასული. სულ ჩვენ მოვაგროვეთ ინფორმაცია 413 ემიგრანტის შესახებ, რაც შეადგენს თიანეთის მუდმივი მოსახლეობის 13.5%. თიანეთის მუდმივი მაცხოვრებლებისა და ემიგრანტების შეფარდება 7.43:1 შეადგენს.

---

[76] 2002 წლის საყოველთაო აღწერის შედეგად თიანეთში დაფიქსირდა 3598 მაცხოვრებელი (იხ.: http://www.statistics.ge/_files/georgian/census/2002/mosaxleobis%20ricxovnoba%20da%20gansaxleba.pdf (მოძიებულია: 05/12/2006), გვ. 47.

საქართველოში ჩატარებული კვლევები სხვადასხვა ინფორმაციას იძლევა იმის შესახებ, თუ საქართველოს ოჯახების რამდენი პროცენტია ჩართული მიგრაციულ პროცესებში. მაგალითად, ირინა ბადურაშვილი 2003 წელს ჩატარებული კვლევის საფუძველზე ამტკიცებს, რომ საქართველოს შინამეურნეობების 7-8%-ის ერთი წევრი მაინც იმყოფებოდა საზღვარგარეთ[77]. Save the Children და IPM ერთობლივი კვლევის მიხედვით (2004 წელი) საქართველოში ემიგრანტი ყოველ მე-10 შინამეურნეობაშია[78]. თუმცა, ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საქართველოს ზოგი რაიონი უფრო აქტიურად იქნება ჩართული მიგრაციულ პროცესებში, სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს ამის დამადასტურებელი მონაცემები საქართველოს სხვადასხვა რეგიონების მიხედვით. მიუხედავად ამისა, ჩვენ შეგვიძლია შევადაროთ ჩვენს მიერ მიღებული მონაცემები ფილიპინებს და მექსიკას, რომლებიც ცნობილია როგორც ემიგრაციის მაღალი დონის მქონე ქვეყნები. მაგალითად, მექსიკის შტატ პუებლას შინამეურნეობების 4%-ის ერთი წევრი მაინც მუშაობს და ცხოვრობს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხოლო შინამეურნეობების 3% იღებს მათგან მატერიალურ დახმარებას[79]. 2000 წელს ფილიპინების შინამეურნეობების 17%-ში ერთი ემიგრანტი მაინც იყო, ხოლო შინამეურნეობების 6%-სათვის ემიგრანტების მატერიალური დახმარება ოჯახური ბიუჯეტის ძირითად წყაროს წარმოადგენდა[80]. შესაბამისად, ჩვენ გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ თიანეთის ოჯახების 28%, რომელთა წევრებიც საზღვარგარეთ არიან, საკმაოდ მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს. ანალოგიურად მაღალ მაჩვენებლად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ თიანეთის ოჯახების 20% და ემიგრანტების ოჯახების 71% იღებს დახმარებას თავისი ემიგრანტებისგან.

---

[77] I. Badurashvili, "Illegal migrants from Georgia: labor market experiences and remittance behavior".
[78] L. Dershem, T. Khoperia, The Status of Households in Georgia, p. 10.
[79] C. Pollock, "A Snapshot of Migration: How one Mexican village is benefiting from its impacts." <http://www.ag.ohio-state.edu/~news/story.php?id=3687> (2006). (მოძიებულია: 05/12/2006).
[80] I. F. Bagasao, "Migration and Development: The Philippine Experience", in: S. M. Maimbo, D. Ratha (Eds.), *Remittances: Development Impact and Future Prospects*. (World Bank Publications, Washington, D.C. 2005), p. 136-137.

თიანეთელი ემიგრანტების უმრავლესობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებშია წასული სამუშაოდ, განსაკუთრებული პოპულარობით კი საბერძნეთი სარგებლობს, რაც გამოწვეულია საბერძნეთში ემიგრაციასთან დაკავშირებული შედარებით დაბალი ხარჯებით, ლეგალური სტატუსის მიღების შესაძლებლობით და ემიგრაციული ქსელების განვითარებით (ცხრილი 9):

ცხრილი 9.

თიანეთელი ემიგრანტების განაწილება ემიგრაციის ქვეყნების მიხედვით

(%)

ემიგრაციის ქვეყანა	*%*
საბერძნეთი	59
ირლანდია	9
გერმანია	8
ისრაელი	5
რუსეთი	4
აშშ	4
იტალია	4
ესპანეთი	2
საფრანგეთი	2
სხვა ქვეყნები (აზერბაიჯანი, ბელგია, დიდი ბრიტანეთი, კვიპროსი, ჩინეთი, თურქეთი, შვეიცარია, შვედეთი, უკრაინა)	3
სულ:	100

ინფორმაციას, რომელიც ამ ცხრილშია მოყვანილი, ნაწილობრივ ადასტურებს არსებული სტატისტიკური მონაცემები, რომლის მიხედვითაც ემიგრაცია მცხეთა-მთიანეთის რეგიონიდან ძირითადად დასავლეთ ევროპისა და აშშ-სკენაა მიმართული[81]. ჩვენი მონაცემების თანახმად, თიანეთელი ემიგრანტების მხოლოდ 4% ცხოვრობს და მუშაობს რუსეთში, არადა, როგორც ამას სხვადასხვა კვლევების შედეგები მოწმობენ, ბოლო დრომდე ემიგრაცია საქართველოდან სწორედ

[81] გ. წულაძე, *ემიგრაცია საქართველოდან 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით,* გვ. 45.

რუსეთისკენ იყო მიმართული[82] და 2004 წლისთვის საქართველოდან ემიგრირებულთა 50% სწორედ რუსეთში ცხოვრობდა და მუშაობდა[83].

თიანეთელ ემიგრანტებს შორის უმრავლესობას ქალები შეადგენენ – 68%, რაც ასევე მნიშვნელოვნად განსხვავდება საქართველოდან ემიგრირებულთა გენდერული შემადგენლობისგან. დერშემისა და ხოფერიას მონაცემების მიხედვით, საქართველოდან ემიგრირებულთა შორის მამაკაცები 65% შეადგენენ[84]. ანუ, თიანეთის შემთხვევაში ჩვენ გვაქვს საფუძველი ვისაუბროთ ემიგრაციის "ფემინიზაციაზე". აღნიშნული გენდერული დისბალანსი განპირობებულია ემიგრაციის ქვეყნებში არსებული მოთხოვნით სამუშაოს ამა თუ იმ ტიპზე – ამრიგად, საბერძნეთში, გერმანიაში და იტალიაში წასულ ემიგრანტთა უმრავლესობას ქალები შეადგენენ, მაშინ როდესაც ირლანდიაში ძირითადად მამაკაცები მიდიან.

თიანეთელი ემიგრანტების 40%-ს უმაღლესი, 7%-ს – არასრული უმაღლესი, 30%-ს – საშუალო-სპეციალური და 22%-ს – საშუალო განათლება აქვს.

ცხრილი 10.

თიანეთელი ემიგრანტების ძირითადი საქმიანობა საზღვარგარეთ (%)

საქმიანობა	%
მუშაობს ოჯახში/შინამოსამსახურე	23
უვლის მოხუცს	21
მუშაობს მშენებლობაზე/რემონტებზე	14
მუშა/ფიზიკურად შრომობს	10
სწავლობს	7
უვლის ბავშვებს	7
უმუშევარი	5
სხვა	13
სულ	100

[82] L. Dershem, T. Khoperia, *The Status of Households in Georgia*, p. 48.
[83] Ibid., p. 44.
[84] იხ., მაგ.: L. Dershem, T. Khoperia, *The Status of Households in Georgia,* p.44-45.

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, ემიგრანტების უმრავლესობა არაკვალიფიციურ შრომას ეწევა – თითქმის ნახევარი ან შინამოსამსახურედ მუშაობს, ან მოხუცებს და ბავშვებს უვლის. 7% რომელიც სწავლობს – ეს, ძირითადად გერმანიაში მცხოვრები ემიგრანტები არიან. მამაკაცები ძირითადად მუშაობენ მშენებლობებზე, რემონტებზე, ფერმებში და ფაბრიკებში.

თიანეთის მაცხოვრებლებთან ინტერვიუებისა და არაფორმალური შეხვედრების შედეგად იქმნება შთაბეჭდილება, რომ დაბაში არ დარჩა არც ერთი ოჯახი, რომლის წევრიც არ იქნებოდა საზღვარგარეთ წასული. უფრო მეტიც, რომ ძალიან ბევრია ოჯახი სადაც ორი, სამი და მეტი ემიგრანტია. ზოგი ოჯახიდან თიანეთში აღარავინ არ დარჩა და მათი ბინები დაკეტილია. როგორც თიანეთის მაცხოვრებლები ამბობენ, დაბა ფაქტობრივად "დაცარიელდა":

პ: აი, წინ როა [სახლი], *ორი ბიჭი ყავს წასული, ქმარი რუსეთშია, ბიჭები ირლანდიაში, ერთი საბერძნეთშია, ნინა*[85] *ამერიკაშია. აი, იქ,* [ოჯახი] *– საბერძნეთშია, ციცინო თავისი 2 ბავშვით საბერძნეთშია, მარო თავისი შვილით – საბერძნეთშია, რა ვიცი, როგორ გითხრა, ყველა ოჯახში თითო კაცია საშუალოდ, ზოგში ხო ორია, მაგრამ თითო მაინც გამოდის საშუალოდ, აი, მე და ციცოც რო წავიდეთ, აი, აქ* [უბანში] *ქალი აღარ იქნება.*
მ: ძირითადად ქალები არიან წასულები?
პ: ძირითადად ქალები არიან, გასვენებაში სუ კაცები არიან, ქალი აღარ არი. ამ უბანში ნაირა წავიდა იქ, გათხოვდა, ქმარიც იქ წავიდა, რა ვიცი, ლია ჩამოვიდა, დაროს ბიჭი საფრანგეთშია, ცოლიც იქა ყავს და ბავშვიც იქ ეყოლა, თითქმის რა, ისე, გული მწყდება.

მ. ქალი, 49 წლის, საბერძნეთი

პ: საავადმყოფოს ქვევით ჩემი ახლობლის დედამთილი დაიღუპა, წავედი და ამხელა გზაზე ერთი ქალი არ შემხვდა – მამაკაციც აქა-იქაა, დაიცალა თიანეთი ....

ნ. ქალი, 58 წლის, საბერძნეთი

ჩემს მეზობლად, სადაცა ვცხოვრობ, 1, 2, 3, 4 სახლში არ არი ქალი, მერეა ქალი – ასევე ჩემი ძმის უბანში, ჩემი მამის სახლის უბანში, მთელი ოჯახებია წასული, მარტო კაცია სახლში. ზოგი არი ასე: დედა და შვილი, კიდევ დედა და შვილი. ჩემი რძალი და შვილები

[85] რესპონდენტების მიერ დასახელებული ყველა სახელი შეცვლილია.

[წასულები არიან] *და ა.შ. <...> ქალები, ქალები* [მიდიან], *კაცები უფრო სახლებში არიან. იქ კაცების სამუშაო ნაკლებად არი და კაცებს უფრო მეტი დევნა აქვთ. პოლიცია რო დაინახავს კაცებს, უფრო აჩერებენ, ახალგაზრდა ბიჭებს. აი, ჩემ ახლობლობაში კაცი არავინ არ არი წასული, ყველა არი ქალი* [წასული].

ნ. ქალი, 50 წლის, საბერძნეთი

ასეთი შეფასებების მიუხედავად, ჩვენს მიერ ჩატარებული აღწერის მიხედვით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხოლოდ 301 შინამეურნეობის (ე.ი. თიანეთის ოჯახების 28%) ერთი წევრი მაინც იმყოფება საზღვარგარეთ. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ემიგრანტების საშუალო ასაკი 39 წელია, ყოველდღიურ ცხოვრებაში მათი საზღვარგარეთ გამგზავრება შესაძლოა მართლაც აღიქმებოდეს როგორც მოსახლეობის გარკვეული "გაქცევა", მით უმეტეს, რომ თიანეთში მაღალია მარტოხელა და ხანდაზმული მოსახლეობის პროცენტული წილი, რომლებიც ნაკლებად აქტიურად არიან ჩამბულნი დაბის საზოგადოებრივ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

2000 წლიდან, მას შემდეგ, რაც რუსეთმა სავიზო რეჟიმი დააწესა საქართველოს მიმართ, ქართველი ემიგრანტების მიგრაციული ნაკადის მიმართულებები მკვეთრად შეიცვალა[86]. თუმცა ემიგრაცია საქართველოდან დასავლეთ ევროპისა და აშშ-ს მიმართულებით 2000 წელზე ადრე დაიწყო, მაგრამ რუსეთის მხრიდან სავიზო რეჟიმის შემოღებამ გარკვეულწილად ბიძგი მისცა იმ ემიგრანტების რაოდენობის ზრდას, რომლებმაც რუსეთის მაგივრად დასავლეთ ევროპაში და აშშ-ში დაიწყეს გამგზავრება.

ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ნაწილობრივ, თიანეთიდან ემიგრაციის მიმართულება დასავლეთისკენ გამოწვეულია იმითაც, რომ საქართველოს სხვა რეგიონებისგან განსხვავებით თიანეთიდან შედარებით უფრო გვიან დაიწყო შრომითი ემიგრაცია. დაიწყო სწორედ მაშინ, როდესაც ემიგრაცია რუსეთში უკვე გარკვეულწილად შეიზღუდა სავიზო რეჟიმის შემოღების შედეგად. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში თავმოყრილია ინფორმაცია

[86] International Organization for Migration (IOM). *Labor Migration from Georgia*, p. 26.

როგორც ამჟამინდელი ემიგრანტების, ასევე დაბრუნებული ემიგრანტების საზღვარგარეთ გამგზავრების წლების შესახებ. ამ ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ თიანეთელ ემიგრანტთა რაოდენობა მკვეთრად იწყებს ზრდას სწორედ 2000 წლიდან, და მათი მაქსიმალური რაოდენობა 2004 წელს გვხვდება (77 ადამიანი). ჩვენს მონაცემებს ნაწილობრივ ადასტურებს 2004 წლის თებერვალში ჩატარებული კვლევა, რომლის შედეგადაც დადგინდა, რომ მცხეთა-მთიანეთის რეგიონიდან ემიგრირებულთა 44.8% საზღვარგარეთ სწორედ 2002-2003 წლებში წავიდა[87].

ცხრილი 11.

თიანეთელი ემიგრანტების საზღვარგარეთ გამგზვრების წლები (სიხშირე)

	ამჟამინდელი ემიგრანტები	დაბრუნებული ემიგრანტები	სულ
1992	1	1	1
1994	-	2	2
1995	1	-	1
1996	6	1	7
1997	8	4	12
1998	19	2	21
1999	10	6	16
2000	48	12	60
2001	45	10	55
2002	39	20	59
2003	63	12	75
2004	68	9	77
2005	59	11	70
2006[88]	39	1	40
სულ	406[89]	91	497

ის, რომ თიანეთიდან ემიგრაცია შედარებით გვიან იწყება, ვიდრე საქართველოს სხვა რეგიონებში, სიღრმისეული ინტერვიუებიდანაც ჩანს:

შ: თავიდანვე რატომ გადაწყვიტეთ საბერძნეთში წასვლა? რატომ სხვა ქვეყანაში არა?

[87] L. Dershem, T. Khoperia, *The Status of Households in Georgia*, p. 44.

[88] 2006 წლის მონაცემები მოიცავს პერიოდს იანვრიდან აგვისტოს ჩათვლით.

[89] ამჟამინდელი ემიგრანტების რაოდენობა 413-ზე ნაკლებია, რადგან ცხრილში არ არიან მოყვანილები ის ემიგრანტები, რომლებიც 1992 წლამდე გაემგზავრნენ საზღვარგარეთ.

პ: საბერძნეთში იმიტომ, რომ მაშინ ხალხი საბერძნეთში მიდიოდა. მაშინ არ იყო, როგორც ეხლა, ისრაელი და ამერიკაში ლაპარაკი ზედმეტი იყო. თანაც, თანხას ვერ შევწვდებოდი და ადრე ამერიკაზე ლაპარაკიც არ იყო. ისე, რომ ჩემ დროს იყო საბერძნეთი. თიანეთიდან ალბათ ვიყავით რამდენიმე ადამიანი. <...> პირველად მე წავედი [ნათესავებიდან] *საბერძნეთში, მაშინ იყო მარტო 3-4 ადამიანი წასული თიანეთიდან* [1996 წელი].

ა. ქალი, 56 წლის, საბერძნეთი, ისრაელი

მე რო წავედი, მაშინ წასვლა საბერძნეთში იმ მიზნით რო ოჯახი გერჩინა, იყო ახალი და იყო რამოდენიმე თიანელი, მაგრამ ისეთი ახლობელი მე არავინ არა მყავდა, რო იმედი მქონოდა, რომ მე იქ ჩავალ, ის დამხვდება, ხელს მომკიდებს და რამე, ძალიან დიდი შიშით ვიყავი, მეგონა, რო მე საერთოდ აღმოვჩნდებოდი ქუჩაში, მაგრამ იმდენად დიდი იყო გაჭირვება, რო მე ამაზეც წავედი, ოღონდ როგორმე მეშველა ჩემი თავისთვის და ჩემი ოჯახისთვის და ჩემი შვილისთვის. <...> თიანელები, იყვნენ ცოტა, შეიძლება თიანელები 20-ზე მეტი არ იყვნენ, მე რო წავედი, მაგრამ მერე, უკვე ჩემს შემდეგ ბევრი ჩამოვიდა. ცოტანი იყვნენ მაშინ. [1996 წელი]

ო. ქალი, 49 წლის, საბერძნეთი

თიანეთელი ამჟამინდელი და დაბრუნებული ემიგრანტთა უმრავლესობა – თითქმის 90% – საზღვარგარეთ იმიტომ წავიდა, რომ ემუშავა და დახმარებოდა საკუთარ ოჯახებს. პოტენციურ ემიგრანტთა უმრავლესობაც – 57-დან 50 ადამიანი – სწორედ ამ მიზნით აპირებს საზღვარგარეთ წასვლას (მხოლოდ 2 ადამიანი აპირებს სწავლას, 4 – მოგზაურობას და 1 ადამიანი "სხვა" მიზეზს ასახელებს). ამრიგად, ჩვენ გვაქვს ყველა საფუძველი მივიჩნიოთ, რომ ემიგრაციას თიანეთიდან შრომითი ხასიათი აქვს.

ცხრილი 12.

რა იყო ემიგრანტის საზღვარგარეთ გამგზავრების მიზანი?

	ამჟამინდელი ემიგრანტები	დაბრუნებული ემიგრანტები
მუშაობა	90	88
სწავლა	9	3
მოგზაურობა	0	7
სხვა	1	2

ეს მონაცემები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ თიანეთელ ემიგრანტებს საზღვარგარეთ წასვლას დაბაში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, უმუშევრობა და თიანეთში განვითარების პერსპექტივების არარსებობა უბიძგებთ. ქვემოთ ჩვენ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ იმას, თუ როგორ ხდება გადაწყვეტილების მიღება ემიგრაციის შესახებ, რა როლს თამაშობენ ემიგრაციის პროცესში ემიგრაციული ქსელები და როგორ გავლენას ახდენს ემიგრანტების მიერ გაწეული მატერიალური დახმარება არა მარტო ემიგრანტების ოჯახებზე, არამედ მთელი დაბის ეკონომიკაზე.

3.2.1. რატომ მიდიან

იმ საწარმოებიდან, რომლებიც თიანეთში საბჭოთა პერიოდში ფუნქციონირებდა და სადაც დაბის მაცხოვრებლების უდიდესი ნაწილი მუშაობდა, დღეს არც ერთი აღარ მუშაობს.

ესე იგი, როგორ შეიძლება საქართველოში ფაბრიკა-ქარხნების განადგურება, საწარმოების, ობიექტების, ფერმების, ამდენი იმის განადგურება! ყველაფერი მოსპეს აბსოლიტურად. ჯერ თიანეთში ფაბრიკა იყო, 700 კაცი მაინც მუშაობდა, მეფრინველეობაში, 500 კაცი მეურნეობაში მუშაობდა, საკონსერვოში მუშაოდა, ადგილობრივ მრეწველობაში მუშაობდა, მთელი თიანეთი დასაქმებული იყო. პარკეტის ქარხანა იყო – ეს ყველაფერი მოსპეს.

ლ. ქალი, 52 წლის, საბერძნეთი, ისრაელი

პ: მე ადრე, იცი, რატომ არ მიჭირდა? არ მიჭირდა იმიტო, რო ქარხანაშიცა ვმუშაობდი, ლაბორატორიაში ხო ვმუშაობდი ქარხანაში, პლიუს მერე ცეხში დავდიოდი და იქაცა ვმუშაობდი.

შ: რა ქარხანა იყო?
პ: პარკეტის ქარხანა, საშრობი იყო, იმ საშრობში ხო ვმუშაობდი 8-10 საათი, ვიყავით 5 ქალი, მერე გავდიოდი საპარკეტე იმაში, ცეხში, და ვმუშაობდი, მერე მივდიოდი იმაში, საკონსერვო ქარხანა იყო, იქა ვმუშაობდი კიდე. <...> აი, რა არი, არაფერი აღარ არი [თიანეთში] *– პარკეტის ქარხანაც იყო, საკონსერვოც იყო, სამკერვალოც იყო, მეფრინველეობა იყო. ქვეყნის სამუშაო იყო, არ იტყოდი იმასა, თუ არ ითაკილებდი ადამიანი, თავისუფლად შეგეძლო, რო გემუშავა. ღამის 12 საათზე ვამთავრებდით საკონსერვოში მუშაობას, მოვდიოდი, დილით მერე იქ მივდიოდი კიდე. ეხლა რა...*

ა. ქალი, 56 წლის, საბერძნეთი, ისრაელი

ძირითადი მიზეზი არის აქაური ცხოვრება, პრობლემები, რომლებიც აქ არის, ყველასთვის არ არის მისაღები, მით უმეტეს – ახალგაზრდებისთვის. სწავლობ, ამთავრებ, სამუშაო არ არი, არანაირი პერსპექტივა არ არი ახალგაზრდობაში. ყველა ფიქრობს, რომ საზღვარგარეთ წავიდეს. ცხოვრებისეული იქნება თუ ფინანსურად გაიუმჯობესოს ცხოვრება, თავისი მომავალი, ერთ-ერთი წასვლის მიზეზი ყველასთვის ეს არი. <...> რომ გადახედოთ თიანეთიდან და მით უმეტეს ახალგაზრდა, ჩემი ასაკის ხალხი ყველა გასულია და რაღაც ისეთი სიტუაცია იქმნება, რომ აქ ყოფნა აღარავის აღარ უნდა. ძირითადი მიზეზი კი ის არის, რომ არანაირი საწარმო აქ არ არის რაიონში, უმუშევრობაა.

დ. მამაკაცი, 24 წლის

თიანეთის მაცხოვრებლების ეკონომიკური მდგომარეობა იმითაც მძიმდება, რომ კლიმატური პირობები იქ საკმაოდ მძიმეა, მიწა ნაკლებად ნაყოფიერია და ზოგ შემთხვევაში მოსახლეობა ვერ ასწრებს მოსავლის აღებას ზამთრის დადგომამდე, რომ თავი პროდუქტებით მაინც უზრუნველყოს.

როგორც წესი, ყველასათვის საერთო ეკნომიკურ გაჭირვებას, რაც ემიგრაციაში წასვლის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენს, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში სპეციფიკური დეტალები ემატება. ზოგჯერ ეს შეიძლება იყოს ფინანსური რესურსების არარსებობა იმისათვის, რომ მისცე შვილებს კარგი განათლება, რომ გაიუმჯობესო საცხოვრებელი პირობები, რომ იხსნა ოჯახი შიმშილისგან:

პ: მიზეზი იყო, პირველ რიგში ფინანსური, რა თქმა უნდა, არანაირი საშუალება, არანაირი სამუშაო, და ორი ბავშვი კისერზე. მაგან გადაგვაწყვეტინა. სოფელში ვცხოვრობდით და იქ სახლი იყო უკვე

სადღაც ერთი ჩემი მამათილის დროინდელი აშენებული, ჩემი მეუღლე არის მე-10, მე-9 შვილი, 9 შვილის დედ-მამა იყო, და ამიტომ არანაირი საშუალება არა გვქონდა, სახლი გვენგრეოდა, ისე რომ ამჟამად რომ სოფელში ვინმე გადადის, ყველაზე ისეთი სახლი არის, რომ ვერ იცხოვრებ.

შ: ეგ რომელ სოფელში?

პ: აქვე არის, თიანეთის რაიონი არი, თეთრახევა. იმან გადაგვაწყვეტინა, რომ აღარც ჭერი გვქონდა, არც საშუალება გვქონდა, და პრინციპში ქუჩაში ვრჩებოდით.

ი. ქალი, 37 წლის, საბერძნეთი, ისრაელი

ძირითადი მიზეზი იყო გაჭირვება, აბა, ჩემი გოგო ძალიან კარგად სწავლობდა, აქ აბარებდა, ფასიანზე მოხვდა, ვერ მოხვდა უფასოზე, იმის საშუალება მე არა მქონდა, რომ ბავშვისთვის მესწავლებინა, ამიტომ იძულებული გავხდი ბავშვი გერმანიაში გამეგზავნა [Au-Pair-ს პროგრამით]. *ესე იგი, გოგო გავგზავნე გერმანიაში და ბიჭისთვისაც უნდა მესწავლებინა და იძულებული გავხდი, რომ მეც მენახა გზა და წავედი ისრაელში. <...> მიზეზი გაჭირვება, მისი* [შვილის] *გამოგზავნილი თითოეული კაპიკი ყელში არ მეყლაპებოდა და სულ ვტიროდი, იმის შრომას რომ ვჭამდი და გადავწყვიტე, მე წავალ მეთქი და მე ვიშრომებ, მე ვიწვალებ და ჩემი შვილის იმედზე ხომ არ ვიქნებოდი. მეუღლე არ მუშაობდა, მეორე შვილს მიხედვა უნდოდა და მთელი სიმძიმე იმ ბავშვს ხომ არ დააწვებოდა? ეს დედის ვალია და მე უნდა მეტვირთა.*

ბ. ქალი, 49 წლის, ისრაელი, იტალია

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგ შემთხვევაში დაგროვილი ვალები და მათი გადახდის შესაძლებლობის არარსებობა უბიძგებთ თიანეთელებს, რომ სამუშაოდ საზღვარგარეთ წავიდნენ.

გ.-მ საზღვარგარეთ წასვლა გარკვეულწილად ვალების გამო გადაწყვიტა – მისი შვილი, რომელიც თბილისში სწავლობდა, შეეცადა აშშ-ში სასწავლებლად წასულიყო, რამაც ოჯახი საკმაოდ დიდ ვალებში ჩააგდო:

> *ამ პერიოდში რომ დარბოდა* [შვილი] *ამ საქმეზე, ცოტა დიდი თანხა დაიხარჯა, წადი თბილისში, მერე იქ ბინა არა გვქონდა ჩვენ, წამოდი, მერე ბინას ქირაობდა, რომ ისა, აი, კომპიუტერი სახლში არ გვქონდა, აქაც კომპიუტერი არავის არ ქონდა, იქიდან ბევრი ფული წავიდა და კაპიკი კაპიკს ემატება და ბევრი ფული შეგროვდა, მერე ვალი გვქონდა და მე რომ წავედი, ესეც იყო გარკვეულწილად მიზეზი.*
>
> გ. ქალი, 49 წლის, ისრაელი

ნ.-ს ახლობლებმა აიღეს ვალები, რომლებიც შემდეგ ნ.-ს გადასახდელი გახდა, რამაც ის აიძულა, რომ საბერძნეთში წასულიყო:

რომ შეიცვალა ეს ცხოვრების პირობები, ჩემმა ახლობელმა აიღო ვალი, ისე რო მე არ ვიცოდი, ძალიან დიდი ის იყო, დაპირისპირება მოვალეებთან და უშოვე მე, უფრო სწორად, არც ვიცოდი, ჩემი ახლობლებისგან იშოვა და მერე მითხრა. მერე უკვე შეიცვალა სიტუაცია და მოიტანეს იერიში ჩემზე. მხოლოდ და მხოლოდ ერთი სახლი გავყიდეთ, მეტით ვერაფრით ვერ დავფარეთ [ვალი]. *მე კლინიკაში ვმუშაობდი ექთნად და პაციენტი იყო შემოსული და იმან თქვა, რო უნდა წახვიდე და ასე იხსნათ თავი.* [წავიდა საბერძნეთში პირველად] *სიტუაციამ გამიკვლია გზა და ის ვალი მოვიცილე. მერე ვიფიქრე, ჩემ შვილებს პატარა რაღაცით შევეშველები ლუკმა-პურის ფულით, გავბედე და კიდევ წავედი* [წავიდა საბერძნეთში მეორედ].

ნ. ქალი, 58 წლის, საბერძნეთი

დაბრუნებულ ემიგრანტთა უმრავლესობა, რომლებიც ჩვენ გამოვკითხეთ, აღნიშნავს, რომ მათი საზღვარგარეთ გამგზავრება გამოწვეული იყო მათი ოჯახების უმძიმესი ეკონომიკური გაჭირვებით, როდესაც შეუძლებელი იყო ელემენტარული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაც კი:

ძირითადად გამოწვეული იყო ეკონომიკური გაჭირვებით. დიდი გაჭირვებით, იმიტომ რომ ხელფასები არ იყო, მარტო ჩვენთან კი არა, რესპუბლიკის მასშტაბით, ასეთი პრობლემა იყო [2000 წელი]. *და მე, რომ წავედი, მგონი 1 წლის შემდეგ მიიღეს ჩემი ხელფასი ჩემებმა. 1 წლის განმავლობაში რომ ადამიანი მშიერი იქნება, ხომ არ შეიძლება? მეუღლეს უნდოდა წასვლა, მაგრამ მე ვუთხარი, რომ.... საერთოდ, არის ინვალიდი, მარჯვენა ხელი და ფეხი ნორმალურად არ უმუშავებს და შენს წასვლას ჯობია მეთქი ისევ მე წავიდე, რადგანაც ჯანმრთელობა არ უწყობდა ხელს, არც მე ვიყავი ისა, რა ქვია, დიდი ჯანმრთელი, მაგრამ მეტი გზა არ გვქონდა. შვილი მეუბნებოდა, ჩემი შვილი, რომ თუ აი, ასე ვიცხოვრებთ და აი ასე ვიცოცხლებთო, მეცოდინებაო, ბოლომდეო, სიკვდილი მირჩევნიაო ასეთ სიცოცხლესო, და, აბა, აი, როგორი დედა უნდა იყო, რომ ეს ბავშვის ის აიტანო.*

გ. ქალი, 49 წლის, ისრაელი

პ: გაჭირვება, ოჯახს უჭირდა, არ იყო არანაირი შემოსავალი, სამუშაო არ იყო, კი, რაღაცას გავიდოდი, ერთ-ორ შაურს ვშოულობდი, მაგრამ ბავშვი რომ დახეულ ტანსაცმელს გაჩვენებს და არა აქვს არაფერი, უნდა წახვიდე, გაინძრე მშობელი, მაშ რისთვი გინდა შვილები?

შ: თქვენ არ მუშაობდით – თქვენი მეუღლე?
პ: მე უმუშევარი ვიყავი და მეუღლეც უმუშევარი იყო.
შ: და რეალურად შემთხვევითი შემოსავლებით ცხოვრობდით?
პ: შემთხვევითი – რა არი, გვყავდა რაღაც ძროხები, ღორი, თუ მაგას გავყიდიდით, ეგ იყო. იყო ერთი პერიოდი, ცხენის კორმა შემოიტანეს და ცხენის კორმა აჭამეს ხალხს, და რომ არ დამიავადმყოფდეს შვილები, წავედი. აბა, რა მექნა, ორი კაპიკი მეშოვა და მომეწოდებინა ოჯახისთვის.

ვ. მამაკაცი, 42 წლის, შვედეთი

პ: როცა საბერძნეთში წავედი, მაშინ მყავდა ერთი შვილი, ბიჭი მყავდა, 6 წლის ხდებოდა და უნდა წასულიყო სკოლაში იმ წელს, მაგრამ ეს იყო 96 წელი, იყო ძალიან დიდი კრიზისი, აი, პირველი დასაწყისი დიდი კრიზისისა და რო არ ვიცოდით ვინ რას გააკეთებდა და როგორ მოვქცეულიყავით. ოჯახს ძალიან უჭირდა ეკონომიურად, იმიტომ რომ მეუღლესაც არანაირი შემოსავალი არა ჰქონდა, იმ პერიოდში ხელფასსაც არ გვაძლევდნენ, 6-7 თვეში ერთხელ მოგვცემდნენ, თან ძალიან ცოტა ხელფასი იყო.
შ: რამდენი იყო მაშინ ხელფასი?
პ: მაშინ, არ ვიცი, 17 ლარი მქონდა, თუ რაღაც, ძალიან ცოტა და იმასაც არ მაძლევდნენ თვეების განმავლობაში. და იძულებული გავხდი, რო წავსულიყავი, დამეტოვებინა ეს ერთი შვილი, იმიტომ რომ მეყიდა სასწავლო ნივთები და რვეულები, წარმოიდგინეთ, რვეული რო მეყიდა, მარტო რვეული, იმის ფული არა მქონდა, ბავშვი უკვე სკოლაში უნდა წასულიყო და ყველაფერი სჭირდებოდა, მაგიტომ წავედი საბერძნეთში.
<...> თებერვალში ჩემს შვილს გაუკეთეს გლანდების ოპერაცია და ისე ძალიან გამიჭირდა, რომ იმის ფულს ვერ ვსესხულობდი, არავის არ ჰქონდა მეზობელს და თებერვალში გადავწყვიტე, რო რადაც არ უნდა დამჯდომოდა, მე წავსულიყავი და ოჯახს რამენაირად ეკონომიურად შევშველებოდი და წავედი მაისში [1996 წელი].

ო. ქალი, 49 წლის, საბერძნეთი

თუმცა ზოგ შემთხვევაში შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ ემიგრაცია გამოწვეული იყო შეფარდებითი დეპრივაციით. მიუხედავად იმისა, რომ სხვა ოჯახებისგან განსხვავებით, ლ.-ც და მისი მეუღლეც მუშაობდნენ, მათ ყავდათ ორი ძროხა, და ჰქონდათ გარკვეული შემოსავალი სოფლის მეურნეობიდან, ის მაინც არ იყო საკმარისი ოჯახის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად:

ჩემი თანამშრომლები ჩემზე მეტად გაჭირვებულები იყვნენ, მე კიდე 2 ძროხა მყავდა, ქმარი მუშაობდა და რაღაცას ვახერხებდით. და გ.

[ერთ-ერთო თანამშრომელი] *რომ მოვიდოდა, ჩავარდნილი დედა ყავდა და ეს კაცი ავადმყოფი* [იყო] *და მოდის და ხელფასს არ აძლევ, და ესე იგი, ზამთარში რომ ვაშლი შეენახა, იმასა ხარშავდა და იმასა ჭამდა ეს და იმით გადიოდა* [იოლას]. *ხან მე რაღაცას მოვიჭარბებდი ხოლმე, შუა ზამთარში მოდიოდა ხოლმე კეტებით, სულ სველი ჰქონდა ხოლმე ფეხები. წავედი მერე 20 ლარიანი სომხების შეკერილი ბათინკები ვუყიდე, არც მითქვია ჩემი ოჯახისთვის, რომ არ მითხრან მეთქი, ჩვენ თვითონ არა გვაქვს და იმისთვის რასა ყიდულობ. აი, ნუ, ესე იგი, ჩემს გარშემო ისეთი გაჭირვებული იყო სუ ყველა, რომ ამის ყურება ნამდვილად არ შემეძლო და არც არაფრის პერსპექტივა არ იყო. არანაირი პერსპექტივა შევარდნაძის დროს არ იყო. იძულებული გავხდი, რომ... ეს ბავშვები სტუდენტები იყვნენ, ოჯახს რჩენა უნდოდა და უნდა ვიღაცამ არჩინოს აბა, იძულებული ვიყავი.*

ლ. ქალი, 52 წლის, საბერძნეთი, ისრაელი

თიანეთის ზოგიერთი მაცხოვრებელის მიერ ემიგრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია იმან, რომ მათი ნათესავები, მეგობრები და ნაცნობები წავიდნენ საზღვარგარეთ, ხოლო მათ მიერ გაწეული დახმარების საშუალებით, ემიგრანტების ოჯახების მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. სავარაუდოა, რომ ამ შემთხვევაშიც ემიგრაცია გამოწვეულია შეფარდებითი დეპრივაციით: იმ ოჯახებმა, რომლებსაც არ ყავდათ ემიგრანტები, თავი დეპრივირებულად იგრძნეს იმ ოჯახებთან შედარებით, რომლებიც დახმარებას იღებდნენ თავისი ემგირანტებისგან და, შედეგად, გაიუმჯობესეს ეკონომიკური მდგომარეობა.

გადაწყვეტილებას ემიგრაციის შესახებ თიანეთელი ემიგრანტები იშვიათად იღებენ ინდივიდუალურად – როგორც წესი, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მთელი ოჯახი მონაწილეობს. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც ოჯახის წინააღმდეგობის მიუხედავად, ემიგრანტი მაინც მიემგზავრება საზღვარგარეთ:

პ: ჩემგან, ჩემგან [მოდიოდა ინიციატივა საზღვარგარეთ წასვლის შესახებ], *იმიტომ რომ მე ვიყავი მამაკაცი და რახან ოჯახი მქონდა და შვილები მყავდა, მე უნდა გამეკეთებინა ეს ყველაფერი, ცოლს ხომ არ გავუშვებდი, შენ წადი მეთქი, და მე მაჭამე მეთქი?*
შ: და ოჯახში იყო ვინმე წინააღმდეგი?

პ: ესე იგი, ოჯახში წინააღმდეგნი [იყვნენ], *მაგრამ მე მაინც ჩემი იმით წავედი რო, "იქ არაფერი მოგივიდეს, შვილო", დედაჩემი* [ეუბნებოდა], *ჩემი ცოლი* [იყო წინააღმდეგი], *მაგრამ მე მაინც გავრისკე.*

ვ. მამაკაცი, 42 წლის, შვედეთი

გ.-ს შემთხვევაში მისი გაშვება მის მეუღლეს არ უნდოდა, მაგრამ ბოლოს გ.-მ მოახერხა მისი გადარწმუნება:

პ: დიდი წინააღმდეგი იყო მეუღლე, რომ წავსულიყავი. რადგანაც არ უნდოდა, არ ვემეტებოდი სამუშაოდ სხვის მოსამსახურედ. ასე იყო თუ ისე იყო, ნორმალური პედაგოგი, ნორმალურ <...> მასწავლებლად ვითვლებოდი, ბავშვებს ვამეცადინებდი და პატარა შემოსავალი მაინც იყო. მაგრამ მერე არც მშობლებს აღარ ჰქონდათ იმის საშუალება, რომ ბავშვები ემეცადინებინათ, და ეს მოგვეშალა, 2 კაპიკი შემოსავალი ესეც აღარ იყო. იძულებული ვიყავი წავსულიყავი.
შ: და, აი...
პ: მაგრამ ძალიან დიდი ფიქრის შემდეგ, ძალიან დიდი დარდის შემდეგ, ძალიან, რა ვიცი, იძულებული ვიყავი, რა, დამთანხმდა [ქმარი], *მეტი გზა არ ქონდა, თვითონაც, რა არის, იცით? კაცებს იჭერდნენ და უშვებდნენ უკან და ქალები კიდევ შევიდოდნენ ბინებში და ბინებში აღარ ეძებდნენ. ეხლა კი ქუჩებშიც და სახლებშიც შედიან და გამოყავთ. მაშინ სახლებში არავინ არ შედიოდა.*

გ. ქალი, 49 წლის, ისრაელი

აბსოლუტურად ყველა წინააღმდეგი იყო, ის კი არა და, ყოველ დარეკვაზე, დედა, არაფერი არ გვინდა, არ გვინდა. არ გინდა – დედა ხარ, მოითმენ? იმას ფეხსაცმელი არა აქვს, იმას – წიგნის ფული არ აქვს, ვერა კვებავ.

ლ. ქალი, 52 წლის, საბერძნეთი, ისრაელი

როგორც ვხედავთ, ძირითადად, თიანელი ემიგრანტები საზღვარგარეთ თიანეთში არსებული მძიმე ეკონონომიკური მდგომარეობის და მისი გაუმჯობესების უპერსპექტივობის გამო მიდიან. თუმცა, ემიგრაციის ამ ეპატზე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება შეფარდებითი დეპრივაციის გავლენაც საზღვარგარეთ წასვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

3.2.2. რა მიზნით მიდიან

თიანეთელი ემიგრანტების უმრავლესობა საზღვარგარეთ სამუშაოდ იმისათვის მიდის, რომ ეკონომიკურად დაეხმაროს თავის ოჯახებს და ცხოვრების ნორმალური პირობები შეუქმნას მათ – როგორც ჩვენმა

კვლევამ უჩვენა, საზღვარგარეთ წასული ემიგრანტების 70%-ზე მეტი სხვადასხვა რეგულარობით და სხვადასხვა ფორმით, მაგრამ მაინც ეხმარება თავის ოჯახებს, და ემიგრანტების მიერ გამოგზავნილი ფინანსური დახმარება თიანეთელი ოჯახების შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

მაგრამ, როგორც წესი, როგორც კი ხდება პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ბევრი იწყებს ფიქრს იმაზეც, რომ დააგროვოს განსაზღვრული თანხა, რათა შეიძინოს ბინა – თბილისში თუ არა, თიანეთში მაინც; გაიუმჯობესონ საცხოვრებელი პირობები, გაარემონტონ ბინა, იყიდონ ავტომობილი, წამოიწყონ საკუთარი ბიზნესი და ა.შ.

ორივეჯერ ოჯახებში ვცხოვრობდი და მერე ბოლოს უკვე, ხელფასი არ მყოფნიდა, 800 დოლარი მქონდა ხელფასი და მერე, მაგ ოჯახში დამატებით ვმუშაობდი დასვენების დღეებშიც, რომ როგორმე, როგორმე ერთი ბინა ვიყიდო მეთქი თბილისში, და გოგო სწავლობდა. მოგეხსენებათ, სტუდენტს რამდენი უნდა და როგორმე, არ ვიცი, ერთი დღე დასვენება არ მქონდა, იმდენად ვიღლებოდი, რომ მოვდიოდი იქიდან სამუშაოდან, არა, ვგრძნობდი, სისხლი როგორ მოძრაობდა სხეულში, იმდენად დაღლილი მოვდიოდი, არაფრის თავი არ მქონდა, არც ჭამის, არც არაფერი, ძალიან დიდი, აი, ისიც გადავიტანე, დამატებით სახლებს ვალაგებდი რა...

გ. ქალი, 49 წლის, ისრაელი

გ.-მ მოახერხა ბინის ყიდვა თბილისში, თუმცა ისრაელიდან რომ ჩამოვიდა, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა იმდენად ცუდი იყო, რომ სასწრაფო ოპერაციის გაკეთება დასჭირდა – დღეს გ. წუხს, რომ ბინის რემონტისათვის საკმარისი თანხის მოგროვება ვეღარ შეძლო, რადგანაც ისრაელში ის პოლიციამ დააკავა და დეპორტაცია გაუკეთა.

ნ.-ს (ქალი, 59 წლის, ისრაელი) ემიგრაცია უფრო წარმატებული აღმოჩნა – მან ორივე თავის შვილს ბინები უყიდა თბილისში, გაარემონტა თიანეთის ბინა. ლ.-მ (ქალი, 52 წლის, საბერძნეთი, ისრაელი) თავისსავე ეზოში მეორე ბინა ააშენა, ი.-მ (ქალი, 37 წლის, საბერძნეთი, ისრაელი) ისრაელიდან დაბრუნების შემდეგ იყიდა ბინა თიანეთში; ო.-მ

(ქალი, 49 წლის, საბერძნეთი) იყიდა ბინა თბილისში, რომელსაც ეხლა აქირავებს, რაც მისი ოჯახის დამატებითი შემოსავლის წყაროს შეადგენს – გარდა ამისა, ო.-ს მეუღლემ იყიდა მანქანა, რომლითაც მგზავრები გადაჰყავდა თიანეთი-თბილისის მარშრუტით, რაც ასევე ოჯახის შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა.

ბ.-მ (ქალი, 49 წლის, ისრაელი, იტალია) ის-ის იყო მოასწრო ბინის ყიდვა, როდესაც ისრაელის პოლიციამ დააკავა და დეპორტაცია გაუკეთა – მან ვერ მოახერხა ვერანაირი დანაზოგის ჩამოტანა, ვერც ბინის გარემონტება. ამიტომ, ბ.-მ გადაწყვიტა კიდევ ერთხელ წავიდეს საზღვარგარეთ – ამჟამად, იტალიაში, რათა კიდევ იმუშაოს რამდენიმე წელი და ჩანაფიქრი განახორციელოს.

ზოგ შემთხვევაში ემიგრაციაში წასვლა არ არის გამოწვეული ოჯახის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით, არამედ, კონკრეტული მიზნის მისაღწევად თანხების არარსებობით. ერთ-ერთი ემიგრანტი საბერძნეთში წავიდა სამუშაოდ, რადგანაც სურდა ბავშვი ეშვილა, მაგრამ არ ჰქონდა ამისათვის საჭირო ფინანსური რესურსები:

> *მე გათხოვილი ვიყავი, ერთი 15 წლის გათხოვილი. გვიან გავთხოვდი და შვილი არ მყავდა, შვილის ასაყვანად თანხა მჭირდებოდა და იძულებული გავხდი, აი, მაგის გამო, თორემ ჩვენ ორივე, ცოლი და ქმარი, თავს შევინახავდით რამენაირად და ამის გამო გადავწყვიტე საბერძნეთში წასვლა. იქ, აი, თანხის გულისთვის, რო ბავშვის შენახვასაც რო უნდოდა.*
>
> ნ. ქალი, 50 წლის, საბერძნეთი

ნ.-მ ორი წელი იმუშავა საბერძნეთში, მოაგროვა აუცილებელი თანხა, და თიანეთში ჩამოსვლის მერე იშვილა ბავშვი – საზღვარგარეთ წასვლას აღარ აპირებს და ემიგრაციის შედეგებით უაღრესად კმაყოფილია.

რა თქმა უნდა, ემიგრანტები ყოველთვის ვერ ახერხებენ ყველა თავისი ჩანაფიქრის განხორციელებას, თუმცა, ზოგ შემთხვევაში ემიგრანტები ყიდულობენ არა ერთ, არამედ ორ ბინას, მანქანას, არემონტებენ ბინებს და ა.შ.. თიანეთში საკმაოდ ადვილია იმის დადგენა, თუ რომელი ბინა ეკუთვნის "წარმატებულ" ემიგრანტს – ახლად

გარემონტებული ბინები მეტალოპლასტმასის ფანჯრებით, მანსარდებით და ა.შ. გამოირჩევიან თიანეთში ჯერ კიდევ, როგორც წესი, საბჭოთა დროს აშენებული ბინებისგან. ნათელია, რომ ის მატერიალური წარმატება, რასაც ზოგიერთი ემიგრანტი აღწევს საზღვარგარეთ, გარკვეულ სტიმულს წარმოადგენს თიანეთში დარჩენილებისათვის, რათა ისინიც წავიდნენ საზღვარგარეთ. როგორც ქვემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ვნახავთ, თიანეთელი ემიგრანტები არალეგალურ და ზოგ შემთხვევაში საშიშ გზებსაც კი არ ერიდებიან, რათა საზღვარგარეთ გაემგზავრნენ.

3.2.3. როგორ მიდიან

როგორც თიანეთში ჩატარებული ინტერვიუებიდან ჩანს, საქართველოში წარმატებით ფუნქციონირებს ნახევრადლეგალური, და ზოგ შემთხვევაში კი არალეგალური ბიზნესი, რომელიც დაკავებულია ადამიანების იმ ქვეყნებში გადაყვანით, რომლებიც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ემიგრანტებს შორის. როგორც სტეფან კასტელსი და მარკ მილერი აღნიშნავენ, "საემიგრაციო ინდუსტრია" წარმოადგენს "სოციალური ქსელების და ტრანსნაციონალური კავშირების განუყოფელ ასპექტს, რომლებიც მიგრაციული პროცესების ნაწილს შეადგენენ"[90]. რადგანაც საქართველოში უფრო ხშირად საქმე გვაქვს არალეგალურ შრომით ემიგრაციასთან, მოთხოვნა "საემიგრაციო ინდუსტრიის" მიერ შეთავაზებულ მომსახურებაზე განსაკუთრებით მაღალია.

საქართველოში ემიგრაციის რამდენიმე სქემა არსებობს. ის, თუ რომელი სქემის გამოყენება ხდება თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში, დამოკიდებულია როგორც მიმღებ ქვეყანაზე, ასევე პოტენციური ემიგრანტის ფინანსურ შესაძლებლობებზე. ჩვენს მიერ ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების საფუძველზე ჩვენ შევძელით გამოგვეყო

[90] S. Castles, M. J. Miller, *The Age of Migration: International Population Movements in the Modern World*. (The Gulford Press, New York 2003), p. 114-115.

ემიგრაციის შემდეგი სქემები, რომლებითაც ყველაზე ხშირად სარგებლობენ თიანეთელი ემიგრანტები.

<u>სქემა №1:</u> **ტურისტული ვიზა.** ბევრი თიანეთელი ემიგრანტი იღებს მოკლევადიან ტურისტულ ვიზას. ზოგ შემთხვევაში მათ მართლა უწევთ ტურისტული მარშრუტის გავლა, რათა მიმღები ქვეყნების საიმიგრაციო სამსახურების ყურადღება მოადუნონ:

პ: მარშრუტი... თბილისიდან თურქეთის გავლით სტამბულამდე, დღენახევარი დაახლოებით; სტამბულში ერთი ღამე. სტამბულიდან მეორე დღეს დაახლოებით შუადღისით – პარიზში, იმიტომ რომ ჩვენ ვიყავი ევროვიზით და ჩვენ გვქონდა საფრანგეთის ვიზა, ამიტომ პირდაპირ საბერძნეთში ვერ შევიდოდით და რადგანაც ევროკავშირის წევრი იყო საფრანგეთი, ამიტომ გვქონდა ჩვენ იმ ვიზის ვადაში, ორ კვირაში თუ ჩავეტეოდით, შეგვეძლო წავსულიყავით ნებისმიერ ევროკავშირის ქვეყანაში. ჩავფრინდით პარიზში, პარიზში ორი ღამე, მქონდა ბედნიერება მენახულებინა ეიფელიც ... პარიზიდან წამოვედით გერმანიაში.
შ: ისევ თვითმფრინავით?
პ: არა, ავტობუსით, და ვიმგზავრეთ მთელი ღამე და ჩამოვედით ბერლინში, მიუნხენშიც კარგად ვისიამოვნე, და ერთი ღამე იქაც დავრჩი; მე საერთოდ მოგზაურობა ძალიან მიყვარს და ბრწყინვალე მოგზაურობა გამომივიდა ცხრა დღიანი. ...

ც. ქალი, 49 წლის, საბერძნეთი

ც.-სთან ერთად ჯგუფში დაახლოვებით 18 ადამიანი იყო. მთელი საქართველოდან, მათ შორის, ც.-ს ამხანაგიც. ისინი ყველანი ერთად მოგზაურობდნენ და ყველამ იცოდნენ, რომ მათი მიზანი ერთ-ერთ ევროპულ ქვეყანაში დარჩენა იყო. ამ ჯგუფიდან, ნაწილი ესპანეთში გადავიდა, ნაწილიც – საბერძნეთში.

ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, სატრანსპორტო საშუალებად იყენებენ ან თვითმფრინავს, ან ავტობუსს, საზღვრის გადაკვეთა ხდება ლეგალურად, თუმცა, ზოგ შემთხვევაში ემიგრანტები საკუთარი პასპორტებით კი არა, სხვისი პასპორტებით მიემგზავრებიან:

პ: იცით, რა არის? მე ეს ჩემი საბუთები, რომ ჩავაბარე [შუამავლებს], *იმათ მე* [უთხრეს] *"შენ აეროპორტში, რომ მიხვალო, ამას ყველაფერს აიღებო რა, პასპორტსაო", ამა და ამ საათზე დამიბარეს. ცოტა ადრე და, რომ ვნახე პასპორტი, მერე უკვე ჩემი სახელი და გვარი კი არ იყო ჩაწერილი, სხვა სახელი და გვარი ეწერა. უკვე გამზადებული*

ჩემოდნებით ყველაფრით და სხვა სახელი და გვარი იყო ჩაწერილი. ხოდა [იცინის] ალბათ, ისე გაკეთდა, მე არ ვიცი, როგორ, მე სულაც არ მინდოდა სხვა სახელით და გვარით.
შ: თქვენ იცოდით, რომ ასე იქნებოდა?
პ: არა, რა ვიცოდი, მე გავაკეთებო, მარტო ასე მითხრა გავაკეთებო, და დამთავრდა მაგით.
შ: მერე მიხვედით აეროპორტში ...
პ: მივედი აეროპორტში და აი, ეს იქნები, ეს იქნები ამ სახელით და გვარით, იმიტომ, რომ პრობლემა შეიქმნა შენი სახელით და გვარით, ვიზა არ მოგვცეს, და ამ სახელით და გვარით გავაკეთეთ. და ჩემი სურათი იყო, ტურისტული ვიზა, 3-თვიანი.
შ: და თვითმფრინავით ჩახვედით?
პ: კი, თვითმფრინავით წავედი, იქ რომ ჩავედი, რა ვიცი, არაფერი ეჭვი არ შეუტანიათ არაფერში, არც უკითხიათ არაფერი, აი, ან ვინა ხარ, რა ხარ, ან რისთვის მიდიხარ, არაფერი აბსოლუტურად, არანაირი პრობლემა არ შემხვედრია, გავედი და გავედი.

გ. ქალი, 49 წლის, ისრაელი

გასაგებია, რომ ამ შემთხვევაში პოტენციური ემიგრანტი იხდის დამატებით გადასახადს, რაც ფარავს ყალბი პასპორტის გაკეთების ხარჯებს, და რეალურად, არაკანონიერი საქმიანობის თანამონაწილეც ხდება, თუმცა, ეს, როგორც გ.-ს მაგალითიდან ჩანს, შეიძლება გაუთვითცნობიერებლადაც კი მოხდეს.

<u>სქემა №2:</u> **Au-pair-ის პროგრამა**[91]. ამ პროგრამას, როგორც წესი, გერმანიაში გამგზავრების მსურველები ირჩევენ. ძირითადად ეს არიან ახალგაზრდა გოგონები, რომლებიც გერმანიაში ჩასვლის შემდეგ ცხოვრობენ გერმანულ ოჯახებში, უვლიან ბავშვებს და სწავლობენ ენის კურსებზე. მათი ხელფასი საშუალოდ თვეში 300 ევროს შეადგენს და ისინი ფაქტობრივად ვერ ახერხებენ თავიანთი ოჯახების დახმარებას. ზოგ შემთხვევაში ისინი აბარებენ უნივერსიტეტებში, შოულობენ დამატებით სამუშაოს, მაგრამ, როგორც წესი, მათი სტატუსი გერმანიაში

[91] Au pair (ფრ. ნიშნავს "თანაბარ პირობებზე") – საერთაშორისო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდა ადამიანები მიემგზავრებიან უცხო ქვეყნებში, რათა იმუშაონ ოჯახებში ბავშვების მომვლელებად და პარალელურად, სწავლობენ მიმღები ქვეყნის ენას. როგორც წესი, ისინი უზრუნველყოფილნი არიან საცხოვრებლით, საკვებით, მათ აქვთ დაზღვევა და იღებენ ჯიბის ფულს.

ლეგალური რჩება. ამ პროგრამის ფარგლებში წასული თიანეთელი ემიგრანტები გარკვეულწილად განსხვავდებიან სხვა თიანეთელი ემიგრანტებისგან, რადგან მათი საზღვარგარეთ წასვლის მიზანს ალბათ უფრო სწავლა და უცხო ენის შესწავლა წარმოადგენს, ვიდრე მუშაობა და ოჯახების მატერიალური დახმარება. თუმცა როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს, არც თუ იშვიათად გერმანიაში ყოფნის ერთწლიანი ვადის გასვლამდე ემიგრანტები გადადიან სხვა ქვეყნებში, მაგალითად, საბერძნეთში, იტალიაში, ესპანეთში, სადაც უკვე არალეგალურად რჩებიან სამუშაოდ. ასევე, არის შემთხვევები, როდესაც Au-Pair პროგრამით წასული შვილების მოსანახულებლად ჩასული თიანეთელი ემიგრანტები გერმანიიდან ასევე გადადიოდნენ სამუშაოდ სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში, რადგანაც, როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, გერმანიაში არალეგალურად მუშაობა ფაქტობრივად შეუძლებელია.

<u>სქემა №3.</u> "**გადაპარვა**". ეს ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო და გარკვეულწილად, ხელაღებული ვარიანტია, რომელსაც მიმართავენ, როდესაც ემიგრაციის არც ერთმა სხვა ვარიანტმა არ გაამართლა. ყველაზე ხშირად საზღვრის არალეგალური (და ხშირად სახიფათო) გადაკვეთის სქემა დასახელებული იყო საბერძნეთისა და ისრაელის შემთხვევაში.

ისრაელში ეგვიპტიდან გადადიან – უდაბნოს გავლით. ი.-ს მეუღლე სწორედ ასე, "გადაპარვით" გადავიდა ისრაელში:

პ: ნუ, ჩადიან. თბილისში ვიღაც პიროვნებები არიან, მე არ მინახიან თვალით, ეგ ჩემმა მეუღლემ ნახა ვიღაცის ვიღაცის ვიღაცით, რომლებმაც გადაიყვანეს ეგვიპტეში და ეგვიპტედან გადაჰყავთ.
შ: ანუ, ეგვიპტეში ჩავიდა ოფიციალურად.
პ ოფიციალურად.
შ: და მერე...
პ: მერე საზღვარს არღვევ იქიდან. "გადაპარვას" ეძახიან, იმიტომ რომ ისრაელში შედიხარ.
შ: და ხომ არ უთქვია, რომ სახიფათო იყო.
პ: რა თქმა უნდა, ძალიან სახიფათო, მაგრამ ხალხი რისკავს, იმიტომ რომ უჭირთ.

ი. ქალი, 37 წლის, საბერძნეთი, ისრაელი

ი.-ს ქმრის ორი და ასევე უდაბნოს გავლით გადავიდა ისრაელში და მათ ეს მხოლოდ მე-11 ცდაზე მოახერხეს, რადგანაც ისრაელის საზღვარს დღისით და ღამითაც გაძლიერებულად იცავდნენ. მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფის გამცილებელმა ბედუინებმა გადაწყვიტეს საზღვრის დღისით გადასვლა, მათ გაუღიმა ბედმა. აი როგორ აღწერს ი.-ს მული, ა., საზღვრის გადასვლის პროცესს:

წაგვიყვანდნენ მანქანით, შემდეგ – ფეხით, ხან გაგვაქცევდნენ, ხან დავიმალებოდით, უდაბნოში პატარა ბუჩქები და გორებია, იქ დავიმალებოდით, თვითონ მიდიოდნენ წინ, დაზვერავდნენ იმ გასასვლელს და უყურებდნენ აბა, იქ პოლიცია იდგა, არ იდგა და იდგა პოლიცია – დღეს გადასვლა არ შეიძლება და მოვბრუნდებოდით და ვღრიალებდით, მაგრამ ვინ გაღრიალებდა, ხმის ამოღება კი არა, დასვენებაც არ შეიძლებოდა. ბოლოს, მე-11 გადასვლაზე გვითხრეს, დღე უნდა გადავიდეთ და 100%-იანი გავალთო, წაგვიყვანეს დღე. ჩვენ ვხედავდით რაღაცა მანძილს, სადაც პოლიციის მანქანა იდგა და ჩამალულები ვართ ბუჩქებში და კიდევ უკან გვაბრუნებენ. მე ვეუბნები ჩემს დას, ვსიო, ლია [და], *დავიღუპეთ, ვსიო, ჩიტი რო ჩიტია, ისიც არ დაგვინახია, ბუზიც კი არ გაფრენილა, ვიკარგებით უგზო-უკვლოდ <...> ვსიო, მე უთხარი, ლია, აი აქ ვიღუპებით მეთქი. ალბათ, სადმე სილაში ჩაგვფლავენ და კარგად იყავით მეთქი. არაო, ვერც დღეს ვერ გადავალთო და აეს უკან მობრუნებულები დაახლოებით 50 მეტრი გვქონდა გამოვლილი, დამალულები მოვდივართ და უცბად რაღაც ნიშანი მისცეს, შეიძლებაო, ტელეფონით დაურეკეს, აბა, ჩქარა, პოლიცია გავიდაო, აბა, ჩქარაო და ის იყო... ვაიმე, პირველად მე ვტიროდი, სუ მეტირებოდა, რაღაცა სისასტიკე გადავიტანეთ* [რომ ვიხსენებდი], *ალბათ, რომ არ მეწერა სიკვდილი, თორე, აბა, ცოტაც-ცოტაც რო აღარა მაქ თავი და მაინც გაწვებიან ზურგზე, უნდა გადახვიდე, უნდა გადახვიდე და ცვივდება ამდენი ხალხი, აღარა მაქ თავი, აღარა მაქ თავი. აი, სეტკა, სეტკა, და აიმ სეტკაში რო გაძვრები, უკვე იმათია* [ისრაელია], *მე ველარ მივდივარ იმ სეტკამდე, ჰა, ეგენი უკვე რჩებიან, თავიანთ საზღვარზე ეს არაბები, ეხლა უკვე შევდივართ, იმ სეტკას რო გავძრებით იმას რა ქვია, როგორღაც, როგორღაც იმ სეტკაშიც რო გავძვერი, ველარა ვდგები ფეხზე. ამ დროს ატყდა სროლა. როგორღაც ამ სროლამ წამომაყენა ისევ ფეხზე, ვაიმე, ანო,* [თავის თავს ეუბნებოდა], *ან ეხლა მოგხვდება ტყვია, ან ეხლა, რაღაც გორებია, იქ, ამ დროს ელვის სისწრაფით ტელევიზორში რო გვინახია, მოვარდა მანქანა, ვინც ისროდა ისინი გაიქცნენ, რა ვიცი, ბულგარელები ყოფილან, ჩემი დაც, როგორც იქნა, მილასლასდა მანქანასთან და მეღა ვარ. სროლა ატეხეს, რომ ვითომ რაღაც მოხდა, მეღა ვარ იქ. გავიხედე და მორბის არაბი ახალგაზრდა ბიჭი, კინოებში რო არი, თითქოს მოფრინავენ, ეგრე, გაწეწილი თმები*

და რო დამავლო ხელი, მიმათრია კოლხოზნიკთან და პირდაპირ შემაგდო და დავიჟეჟე, ძალიან. ვაიმე დედა, წარმოიდგინე, აემ უბედურებას რო გადაიტან ადამიანი, ისე ვიყავი დაჟეჟილი, დალურჯებული, აბა, რა ვიქნებოდი, ისე ვეგდე მანქანაში, მანქანა კი ელვის სისწრაფით მიქროდა, იმას თავისი დრო აქვს, იმ დროში უნდა ჩაეტიოს, რომ იქ სხვა მანქანა ხვდება, რომელშიც უნდა გადავსხდეთ, მიდის მანქანა, მიდის და რო ახტება, ავხტები და დავეცემი, ვაიმე, და ნუ ყვირიხარ, იქვე ზის ბულგარელი გოგო, ერთხელ რომ ავხტი, ამ გოგოს კალთას დავასკდი და წამსკდა კბილებიდან სისხლი, კბილები დამეძრა, ენა ხომ მქონოდა, ალბათ, ენა მომეგლიჯებოდა. მერე რო მხედავენ რო ამ მდგომარეობაში ვარ, აი, როგორი ის არი, არა, <...> ხო მხედავენ, ხო ასეთ მდგომარეობაში ვარ, რაღაცა, უცბად, აი, წუთიც არა, გააჩერეს მანქანა, ერთი ბულგარელი ბიჭი გადმოიყვანეს თავისი ადგილიდან, მე იქ მიმაჩოჩეს მძღოლისკენ ისე, რომ სადღაც რაღაცაზე ხელის მოკიდების საშუალება მომეცა, მეორე ხელით არაბმა ახალგაზრდამ დამიჭირა, ცოტა ხანში რო ეს ბიჭიც ახტა და დაეცა და ვაიმეო, რო დაიძახა რუსულად, ისევ მე შემეცოდა, ნუ, ვაი, ვაი-ვაით, როგორღაც რო მოგვიყვანეს, გვითხრეს ეხლა ჯიპში ჩაჯდებით, რა ჭირად მინდოდა იმ ჯიპში ჩაჯდომა. შემდეგ გადაგვიყვანეს ჯიპში, მერე სადღაც მიგვიყვანეს, პალატკებში ცხოვობდნენ არაბები, დამიგეს ლეიბიც, დამიგეს, დამაწვინეს, ჩაიც დამალევინეს, რაღაცაც გვაჭამეს, რა ვიცი, ჭინჭრის მსგავსი რაღაცა იყო, ვინ უყურებდა რა იყო, მერე მოვიდნენ და წაგვიყვანეს. ცოტა მანძილი ავტობუსით, მერე პატარა მანქანით, გადაჯექი – გადმოჯექი, ვაი და ვაი, ვაი და ვაი. ერთი რუსი ბიჭი იყო, ისე გვეხმარებოდა, გორა რო უნდა აგვევლო, ხელს გამოწევდა, ჩავავლებდი და ავიდოდა, მეორე ბიჭი კი ჩემს დას ეხმარებოდა, ნუ გეშინია, ნუ გეშინია, დედას მეძახდა ხოლმე, ეხლა მალე ჩავალთ, წამალიც იქნება, ექიმიც და, როგორც იქნა, ჩავედით, ჩავედით.

ა. ქალი, 56 წლის, საბერძნეთი, ისრაელი

რაც შეეხება საბერძნეთს, იმისათვის, რომ პოტენციური ემიგრანტები მოხვდნენ ათენში, ისინი ბულგარეთში ან რუმინეთში მიემგზავრებიან და იქიდან ფეხით კვეთენ საზღვარს მთებისა და ტყეების გავლით. მეორე გზა საბერძნეთში თურქეთის გავლით არსებობს – ამ შემთხვევაში ემიგრანტები გადაჰყავთ სპეციალური ავტობუსებით, რომელსაც სამალავი აქვს გაკეთებული, სადაც საზღვრის გადაკვეთისას იმალებიან ემიგრანტები. ასეთ შემთხვევაში ემიგრანტებს ტურისტული ვიზაც კი არა აქვთ, რომელიც მიმღებ ქვეყანაში ლეგალური შესვლის უფლებას იძლევა.

საზღვრის გადალახვის პროცესი, აი, პირველად რო წავედი [მ. ორჯერ იყო წასული საბერძნეთში], *ხო, ეხლა გამახსენდა, მაშინ მოსკოვის ვიზები გაგვიკეთა იმან, ვინც წაგვიყვანა, და არ იყო საშიშროება და მეორედ რო წავედი, რაღაც ჩანთების უკან დამმალეს, ბაგაჟნიკში. <...> ბევრნი ვიყავით, 15-ამდე და ავტობუსის წინ ჩანთები ჩამოგვაფარეს და აი, ესე იყო. როგორ მეშინოდა, ხველა არ ამიტყდეს მეთქი.*

მ. ქალი, 49 წლის, საბერძნეთი

თვითონ ნ. (ქალი, 50 წლის, საბერძნეთი) საბერძნეთში არალეგალურად, ავტობუსში ჩამალული, თურქეთის გავლით გაემგზავრა, თუმცა მისი მული 2001 წელს ფეხით გადავიდა საბერძნეთში. როგორც ნ.-მ აღნიშნა, ფეხით დღეს საბერძნეთში ფაქტობრივად აღარავინ აღარ გადადის, თუმცა რამდენიმე წლის წინ ეს საკმაოდ პოპულარული მარშრუტი იყო.

<u>სქემა №4.</u> **ტრანზიტი**. ზოგ შემთხვევაში ემიგრანტი დანიშნულების ქვეყანაში "ტრანზიტით" ხვდება – მაგალითად, ნიკარაგუის ან მექსიკის ვიზის მქონე პოტენციური ემიგრანტი შეიძლება დარჩეს ამერიკის შეერთებულ შტატებში თვითმფრინავის გამოცვლისას და მოითხოვოს პოლიტიკური თავშესაფარი. თუმცა ასეთი მარშრუტები მალევე ხდება ცნობილი მიმღები ქვეყნების საიმიგრაციო სამსახურებისთვის და მათ მალევე "ხურავენ" ხოლმე.

<u>სქემა №5.</u> **"ექსკლუზიური ვარიანტი"**. არსებობს ეგრეთწოდებული "ექსკლუზიური ვარიანტიც" – მაგალითად, ემიგრანტი თიანეთიდან შეიძლება წავიდეს საზღვარგარეთ როგორც ერთ-ერთი ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის წარმომადგენელი, რომლის ოჯახიც 90-იანი წლების შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დაიღუპა. ამასთანავე, არ არის აუცილებელი, რომ ეს ადამიანი მართლაც იყოს ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის წევრი – ამის დამადასტურებელ საბუთებს, როგორც წესი, აყალბებენ. ეს სქემა მოითხოვს არა მარტო საკმაოდ დიდ ფინანსურ დანახარჯებს, არამედ, საკმაოდ დიდ დროსაც, რადგანაც, როგორც წესი,

ყველა საბუთის გამზადებას რამდენიმე თვე, ზოგჯერ კი წელიც სჭირდება. მეორე მხირვ, ასეთი საბუთებით არსებობს იმის საკმაოდ დიდი ალბათობა, რომ ემიგრანტი უპრობლემოდ მიიღებს პოლიტიკურ თუ სხვა სახის თავშესაფარს ემიგრაციის ქვეყანაში.

როგორც კვლევამ აჩვენა, თიანეთელი ემიგრანტების უმრავლესობა საზღვარგარეთ გამგზავრების არალეგალურ საშუალებებს მიმართავს, რაც აიხსნება სამუშაო ვიზის მიღებასთან დაკავშირებულ სიძნელეებით და საქართველოსა და მიმღებ ქვეყნებს შორის სამუშაო ძალის ექსპორტის შესახებ ხელშეკრულებების არ არსებობით. სწორედ ამიტომ, პოტენციური ემგირანტები იძულებულები არიან, რომ საკმაოდ სერიოზული თანხები გადაუხადონ "შუამავლებს", რომლებიც მათ ხშირად არანაირ გარანტიებსაც კი არ აძლევენ, რომ ისინი ნამდვილად შესძლებენ საზღვრის გადაკვეთას, და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ მათ სიცოცხლეს საფრთხე არ დაემუქრება. უფრო მეტიც, ქვეყანაში არალეგალური ყოფნა სერიოზულ ფსიქოლოგიურ პრობლემებს უქმნის ემიგრანტებს, რადგანაც მათ მუდმივად ეშინიათ, რომ მათ პოლიცია დააკავებს და დეპორტაციას გაუკეთებს – როგორც თიანეთში დაბრუნებული ემიგრანტები ყვებიან, ასეთი შემთხვევისათვის, მათ წინასწარვე ჰქონდათ გამზადებული ჩალაგებული ჩანთები.

3.2.4. რა ჯდება ეს

თიანეთელი ემიგრანტებისათვის ყველაზე "ძვირ" ქვეყანას ამერიკის შეერთებული შტატები წარმოადგენს. აშშ-ს ვიზის "გაკეთება" ყველაზე ძვირი ჯდება, რაც, გარკვეულწილად გამოწვეულია იმით, რომ აშშ-ში ემიგრნატების შემოსავლები გაცილებით მაღალია, ვიდრე საბერძნეთსა თუ ისრაელში. ამასთანავე, აშშ-ს მიმზიდველობა ემიგრანტებისათვის იმითაც აიხსნება, რომ სხვა მიმღებ ქვეყნებთან შედარებით ბოლო დრომდე აშშ-ში დამოკიდებულება ემიგრანტების მიმართ საკმაოდ ლოალური იყო.

ერთ-ერთი რესპონდენტის მეუღლემ 2005 წლის ზაფხულში 12000 ამერიკული დოლარი გადაიხადა იმისათვის, რომ აშშ-ში წასულიყო – ამისათვის, ოჯახმა გაყიდა ბინა თბილისში. შედარებისათვის – 2005 წელს ისრაელში წასვლა "ღირდა" 3500, ხოლო ირლანდიაში – 4500 ევრო.

იმისათვის რომ საზღვარგარეთ წავიდნენ, თიანეთელები იძულებულნი არიან აიღონ ვალები, გაყიდონ, ან დააგირაონ ბინები:

თვითონ, ბიჭსა ჰქონდა, შვილო, თავისი სახლი, ორი გაუთხოვარი მამიდა ყავდა და აჩუქეს სახლი. რო გაუჭირდა ძალიან, "რათ მინდა ის სახლი, მაინც დაკეტილიაო", სულ ჩვენთან იყო თვითონ ნახევარჯერ და გაყიდა ის სახლი და იმ ფულით წავიდა.

თ., ქალი, 67 წლის

ბინა თ.-ს შვილმა 7000 ამერიკულ დოლარად გაყიდა, და თუმცა მაშინ, 2000 წელს, ირლანდიაში წასვლა 3500 დოლარი ჯდებოდა, დამატებით 1200 დოლარი მას სჭირდებოდა იმისათვის, რომ ირლანდიაში ჩასვლისას ადვოკატი აეყვანა, და თანხის ნაწილიც სახარჯოთ წაიღო ირლანდიაში, რომ პირველ ხანებში არ გასჭირვებოდა.

იმისათვის რომ მგზავრობისათვის საჭირო თანხა ეშოვათ, ი.-ს ძმამ თავისი ბინა დააგირავა – თავად ი.-ს ბინის დაგირავება ვერ მოხერხდა, რადგანაც მისი ბინა ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბევრი პოტენციური ემიგრანტი იძულებულია აიღოს ვალები, ხშირად – საკმაოდ მაღალი პროცენტით – 10-20% თვეში, რის გამოც ისინი ვალების გადახდას რამდენიმე თვეს, და ზოგჯერ წელსაც კი ანდომებენ, რადგანაც ვალების გადახდასთან ერთად მათ ოჯახების რჩენაც უწევთ:

<...> ვამბობდი, რომ რაღაც ერთი-ორი წელი დავრჩები და ჩამოვალ. ეგ არც მიფიქრია, რომ ბავშვები, 5 წელი თუ დავტოვებდი, ეგ ჩემთვის იმაში [ბეგმებში] *არც შედიოდა. მაგრამ მოხდა ისე, რომ მე იმხელა ვალით ვიყავი წასული, პროცენტიანი, რომ ფაქტიურად 2 წელი ვიმუშავე მარტო ვალზე. ეგ იყო, რომ სადღაც მე-11 თვეს გამოვგზავნე ჩემი წასვლიდან 50 დოლარი, ეგ იყო პირველი, რომ მე გამომეგზავნა, რომ მშივრები არ ყოფილიყვნენ.*

ი. ქალი, 37 წლის, საბერძნეთი, ისრაელი

მსგავსი სიტუაცია შეექმნა ც.-ს მეუღლესაც, რომელიც ისრაელში 1997 წელს წავიდა:

სექტემბერში ვისესხე 10 პროცენტიანი, მოვიტანე სახლში, ჩავდე უჯრაში და იმ ოთახში შესვლისაც მეშინოდა, იმიტომ რომ 1000 დოლარი მე ხელში არა მქონდა მანამდე დაჭერილი და ... მოკლედ, დიდი განცდებით გადავიტანეთ, რაა. სექტემბერში ნასესხები ფულით ვერ მიდიოდა ოთხი თვე, როგორც ხდება ხოლმე წესით, გადაგვიდეს-გადმოგვიდეს [წასვლა]. *იზდრებოდა პროცენტები და როგორც იქნა, წავიდა დეკემბერში. კიდევ თუ გაინტერესებთ დაწვრილებით, მოგვივიდა ახალი წელი, ძალიან მძიმე, არა გვქონდა არც ერთი კაპიკი ფული, ამას დაემთხვა ის, რომ იქიდან წამოვიდნენ ახალ წელს ბიჭები და აქედან წაღებული რაღაც მისალოცი გამოგვიგზავნა ჩემმა მეუღლემ, რომელიც შენახული გვაქვს და იმ მისალოცზე დაკრული 20 დოლარი... ეს მოგვიტანეს 31 დეკემბერს, საღამოთი. მანამდე მე უკვე ბავშვებს რაღაც განწყობა შევუქმენი, უფრო პატარები იყვნენ და იმდენად ვერ განიცდიდნენ, მწერს, "ც., ეს ის ფულია, რომელიც მანდედან წამოვიღე, ჯერ არ მიმუშავია, არაფერი შანსი არ არის".*

ც., ქალი, 49 წლის, საბერძნეთი

ც.-ს მეუღლემ სამსახური ისრაელში ჩასვლიდან ორი თვის შემდეგ დაიწყო, და ვალი, რომელიც იმ დროისათვის უკვე 5000 დოლარამდე გაიზარდა, მან დაახლოებით ერთი წლის მანძილზე დაფარა, რადგანაც მას საკმაოდ მაღალი ხელფასი ჰქონდა – 1100 დოლარი თვეში.

იმ რესპონდენტების გამოცდილებით, რომლებიც დაბრუნდნენ თიანეთში და რომლებიც იძულებულები იყვნენ ვალით წასულიყვნენ საზღვარგარეთ, მათ საუკეთესო შემთხვევაში ერთი წელი მაინც დასჭირდათ იმისათვის, რომ ვალები დაეფარათ – და ეს შესაძლებელი მხოლოდ მაშინ იქნებოდა, თუ ისინი მალევე მოახერხებდნენ სამსახურის შოვნას:

პ: წელიწადი და 9 თვე კი არა, 2-3 წელიც არაფერი არ არი, როცა ვალით მიდიხარ, ისევ პროცენტიანი, თ. ა.-სგან მქონდა აღებული [ვალი], *რომელიც ძირი მივეცი მარტო, პროცენტი არ მიმიცია, ვერა მთხოვს, იმიტომ რომ დამიჭირეს და გამომიშვეს. შეგნებულად, ალბათ, არა მთხოვს, შეგნებულად, თან, ეხლა, ხო იცი, პროცენტზე რა ამბავია? ისე, მართლაც მიუხედავად იმისა, რომ მე ძალიან მიჭირდა, აი, ხო ხედავთ, ამაზე მეტი გაჭირვება, მარტო პურს რო ჭამ და ტიტველი არა ხარ, ეს ხო არ არის ცხოვრება? ეგ ხო არ არის მარტო არა? მიუხედავად ამისა, ეხლა ვნანობ, მაგრამ რაღა უშველო.*

შ: ორივეჯერ წასვლას ნანობთ თუ[92]?
პ: ორივეჯერ ვნანობ, იმიტომ რო მე ვერაფერი ვერ გავაკეთე, ვერაფერი. აი, არი ხალხი, რომ არ ვიცი, ალბათ, გამართლებაც არი. ხალხი არი, სახლი, კარი, ქონება – ღმერთმა ყველას მშვიდობაში მოახმაროს, ღმერთმა ყველას მოახმაროს. საბერძნეთში იქნება, ისრაელში თუ ამერიკაში რო წავა ადამიანი, 1-2 წელი გავა და ყველას გონია, რომ იმას ფული აქვს. ვინც დიდი ხანია – ის სხვაა. მაგალითად, ჩემი და 6 წელია იქ არის და მე რა ვიცი, როგორ უნდა თქვას იმან, რომ მე იქიდან არაფერი. წელიწად-ნახევარი, წელიწადი 9 თვე, 2 წელი – არაფერი არ არი <...>

ა. ქალი, 56 წლის, საბერძნეთი, ისრაელი

1 წელი და 4 თვე ვიხადე მე ეს ვალები, ისე რო, წელიწადი და 4, 5 თვე ისე მხოლოდ 50 დოლარს თუ ვუგზავნიდი [ოჯახს] *ხოლმე სახარჯოდ, მეტს ვერა.*

გ. ქალი, 49 წლის, ისრაელი

იმ შემთხვევაში, თუ ახლად ჩასულ ემიგრანტებს "პირველი ტალღის" ემიგრანტები ფინანსურ დახმარებას უწევენ და ეხმარებიან საქართველოში აღებული ვალების დაფარვაში, მათი საზღვარგარეთ ყოფნა გაცილებით უფრო წარმატებული ხდება. ისინი ვალებს გაცილებით ოპერატიულად იხდიან და საშუალება ეძლევათ, რომ ოჯახსაც უფრო მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინონ და დანაზოგიც გააკეთონ.

3.2.5. ემიგრაციის ქვეყნები

საინტერესოა, რომ ემიგრაციის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე პოტენციური ემიგრანტები თავისებურ "ბაზრის შესწავლას" ახორციელებენ, ცდილობენ მოაგროვონ რაც შეიძლება დაწვრილებითი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ტიპის სამუშაოზეა მოთხოვნა ამა თუ იმ ქვეყანაში, რა დაჯდება ვიზის "გაკეთება", რამდენი დრო დასჭირდება ამას; ცდილობენ იპოვონ ნაცნობები, მეგობრები და ნათესავები ამ ქვეყნებში და უზრუნველყონ მათგან დახმარების მიღება.

[92] ა. ორჯერ იყო საზღვარგარეთ – პირველად საბერძნეთში და მეორედ ისრაელში, საიდანაც ის დეპორტირებული იქნა.

ზოგ შემთხვევაში ემიგრანტები მიდიან იმ ქვეყნებში, სადაც მოხერხდება ვიზის "გაკეთება", ან სადაც მას "შუამავლები" ურჩევენ წასვლას:

შ: თქვენ, როცა გადაწყდა, რომ უკვე მიდიოდით სადმე სამუშაოდ, რომელ ქვეყანაზე ფიქრობდით?
პ: სადაც გამოჩნდებოდა, საბერძნეთი, ან ისრაელი, რადგან იქ მიდიოდა უფრო ხალხი და სადაც გამოჩნდებოდა, მნიშვნელობა არ ქონდა, სადაც რაიმე გამოვიდოდა.
შ: და ძირითადად ამ ორ ქვეყანაზე იყო ლაპარაკი?
პ: ამ ორ ქვეყანაზე ვფიქრობდი, დიახ, უფრო, იმიტომ რომ აქედან [თიანეთიდან] *იქით მიდიოდა უფრო ხალხი, სადაც გახსნილი იყო თიანეთში გზა, საითაც გამოვიდოდა, და ისრაელი მაინტერესებდა, რადგანაც იერუსალიმი ყველას აინტერესებს და ამ წმინდა ადგილის დათვალიერება მეც მინდოდა. და არანაკლებ მაინტერესებდა საბერძნეთიც, რადგანაც ძველი კულტურის ქვეყანაა და თუ რაიმე ტერმინია, ყველაფერი ბერძნულიდან წარმოსდგება...*

გ. ქალი, 49 წლის, ისრაელი

ეგ უკვე არ იცოდა [შვილმა] *სად უნდა წასულიყო, რო ჩავედით* [თბილისში] *და ვნახეთ ის გამგზავნი ვინც იყო, იმან ურჩია, ირლანდია ჯობიაო. ეხლა კმაყოფილია* [შვილი].

თ. ქალი, 67 წლის

ემიგრაციის ქვეყნის შერჩევისას იქ ნაცნობების და ახლობელის ყოლასთან ერთად ზოგი ემიგრანტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ანაზღაურების ოდენობას მიმღებ ქვეყანაში და იქ არსებულ მოთხოვნას მუშახელის გარკვეულ ტიპზე:

პ: მერე, რომ შევხედეთ, ერთი წავიდა, მეორე წავიდა, მესამე წავიდა ... ზუსტად იმ წელს [1997 წელი] *წავიდნენ თიანელი ქალები და გავიგეთ, რომ კარგად არიან, ესე, ისე, და იქ გვეგულებოდა კიდე ნაცნობები, ჩემი ნათესავები არიან და აი, ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ წასულიყო* [ც.-ს მეუღლე].
შ: და ... მაინც ისრაელი რატომ?
პ: იმიტომ რომ ისრაელში იყო ყველაზე კარგი ანაზღაურება, შედარებით და კაცების სამუშაო, ის იყო განსაზღვრული.

ც. ქალი, 49 წლის, საბერძნეთი

ლ.-მ (ქალი, 52 წლის) საბერძნეთიდან დაბრუნების შემდეგ გადაწყვიტა ისრაელში წასვლა რადგან "*მაღალი ანაზღაურება იყო და იმიტომ, აქ* [საბერძნეთში] *400-500 დოლარი იყო და იქ* [ისრაელში] *700-*

800 დოლარი მაინც". ბ.-მაც სწორედ ამიტომ გადაწყვიტა ისრაელში გამგზავრება, თუმცა სინამდვილეში მას აშშ-ში უნდოდა წასვლა, მაგრამ "*ვერც გავბედე, დიდი თანხა უნდოდა, თანაც იქ არავინ არ იყო რომ დაგვხვედროდა და მაშინებს ამერიკა მაინც*". ისრაელიდან ჩამოსვლის შემდეგ ბ.-მ გადაწყვიტა იტალიაში გამგზავრება, და ინტერვიუს ჩატარებიდან ერთ თვეში წავიდა კიდეც იტალიაში:

მ.-ს შემთხვევაში ემიგრაციის ქვეყნის შერჩევა განპირობებული იყო არა მარტო იმით, რომ იქ მისი ახლობლები იყვნენ, არამედ იმითაც, რომ საბერძნეთში გამგზავრება გაცილებით იაფი "ჯდებოდა" ვიდრე სხვა ქვეყნებში:

> *რა ვიცი, ბევრი იყო ქვეყნები, მაგრამ რადგანაც თიანელები უფრო იქ* [საბერძნეთში] *იყვნენ და იქ მყავდა მეგობრები, ნათესავები, იქ გადავწყვიტე, თორემ, ეხლა, ისრაელი და ამერიკა და ისინი ძვირი ღირდა, ეს უფრო შედარებით იაფი ღირდა. პირველად 1600 დოლარი* [1999 წელი] *მივეცი და ეხლა უკვე ძალიან ძვირი ღირს. მაშინ ცოტა ფული რო უნდოდა და თან ახლობლები მყავდა, მაგიტო წავედი.*
>
> მ. ქალი, 49 წლის, საბერძნეთი

ამასთან ერთად, ის, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში ახლო ნათესავი ანდა მეგობრია უკვე წასული, რესპონდენტების აზრით, არც თუ იშვიათად გადამწყვეტ როლს თამაშობს ემიგრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. უცხო ქვეყანაში ახლობლების ყოლა, ვისი დახმარების იმედიც აქვს პოტენციურ ემიგრანტს, მნიშვნელოვან სტიმულს აძლევს მას, რომ ემიგრაციისათვის სწორედ ის ქვეყანა შეარჩიოს, სადაც მან იცის, რომ გაჭირვების შემთხვევაში ყურადღებას მიაქცევენ. ის, თუ კონკრეტულად როგორ ეხმარებიან თიანეთელი ემიგრანტები მიმღებ ქვეყანაში ახლად ჩასულ და პოტენციურ ემიგრანტებს თიანეთიდან, ჩვენ დაწვრილებით მე-3 თავში განვიხილავთ.

3.2.6. რატომ ბრუნდებიან

ნეოკლასიკური თეორიის მიხედვით, ემიგრაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს წარმატებულად, თუ ემიგრანტი სამუდამოდ მკვიდრდება ემიგრაციის ქვეყანაში, და ასეთი პარადიგმის

ფარგლებში, სამშობლოში დაბრუნება ყოველთვის წარუმატებელი ემიგრაციის მაგალითს წარმოადგენს. თუმცა, შრომითი მიგრაციის ახალი ეკონომიკური თეორია, საპირისპიროდ ამტკიცებს, რომ დაბრუნება, ემიგრაციის პროცესის ისეთივე ნაწილია, როგორც გამგზავრება და მისი გამომწვევი მიზეზებიც სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ, თუ რატომ ბრუნდებიან თიანეთში ემიგრანტები და როგორ აფასებენ ისინი თავიანთ ემიგრაციულ გამოცდილებას.

ჩვენი კვლევის შედეგად დაბრუნებული ემიგრანტი თიანეთის 77 ოჯახშია – სულ კი თიანეთში 93 დაბრუნებული ემიგრანტია. დაბრუნებული ემიგრანტების საშუალო ასაკი 40 წელია. დაბრუნებული ემიგრანტების 48%-ს მამაკაცები, ხოლო 52%-ს – ქალები შეადგენენ. როგორც ვხედავთ, დაბრუნებულთა შორის გენდერული შეფარდება განსხვავდება ამჟამინდელ ემიგრანტების გენდერული შეფარდებისგან. სავარაუდოდ, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს შემდეგი მიზეზით: მიმღები ქვეყნებიდან, განსაკუთრებით კი ისრაელიდან დეპორტაციის რაოდენობის ზრდით, რაც განსაკუთრებით მამაკაც ემიგრანტებს შეეხო. ამ ვარაუდს გარკვეულწილად ადასტურებს ცხრილი 13-ში მოყვანილი მონაცემები, სადაც ისრაელიდან დაბრუნებული ემიგრანტების წილი გაცილებით მაღალია, ვიდრე ისრაელში წასული ემიგრანტების წილი. მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთში თიანეთელ ემიგრანტთა 59% იმყოფება, საბერძნეთიდან მხოლოდ 38%-ია დაბრუნებული, მაშინ, როდესაც ისრაელიდან, სადაც ემიგრანტების მხოლოდ 5%-ია, დაბრუნებულ ემიგრნტთა 20%-ია ჩამოსული.

ცხრილი 13.

დაბრუნებული ემიგრანტების ემიგრაციის ქვეყნები

ქვეყანა	*სიხშირე*
საბერძნეთი	35
ისრაელი	19
რუსეთი	6
საფრანგეთი	6
გერმანია	5
აშშ	5

კვიპროსი	4
ირლანდია	3
შვედეთი	3
პორტუგალია	2
დიდი ბრიტანეთი	2
სხვა ქვეყნები (აზერბაიჯანი, ბულგარეთი, ნორვეგია)	3
სულ	93

როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, ბოლო წლებში ისრაელმა გაამკაცრდა ბრძოლა არალეგალური ემიგრანტების წინააღმდეგ და გახშირდა მათი დეპორტაციის ფაქტები:

პ: ისრაელში ჩემი მეუღლე მეორედ წავიდა გადაპარვით. რომ გაგვიჭირდა, რომ ჩამოვედით, ეს სახლი ვიყიდეთ და ეგ იყო, და რომ შევატყვეთ, რომ აღარც პურის ფული იყო, არანაირი. გვეგონა, რომ ჩამოვიდოდით, ან მუშაობას დაიწყებ, ან რაღაცას გააკეთებდი, მაგრამ აქ არანაირი შანსი არა გვქონდა ჩვენ რომ გვემუშავა. გადაწყვიტა ისევ წასვლა და სადღაც თვე-ნახევარში დეპორტით ჩამოვიდა.
შ: ეს როდის მოხდა?
პ: ეს, 2004, არა 2005 წელში. <...> მერე ჩამოვიდა თვენახევრის მერე, მაგას თითის ანაბეჭდები დატოვილი ჰქონდა, დეპორტირებული იყო, რა თქმა უნდა, იქიდან რომ დაიჭირეს და გამოუშვეს, არანაირად სხვა ქვეყანაში გასვლის ის არა ჰქონდა.

ი. ქალი, 37 წლის, საბერძნეთი, ისრაელი

აი, როგორ აღწერს ერთ-ერთი რესპონდენტი ისრაელიდან თავისი და თავისი დის დეპორტაციის ამბავს:

ჩემი და რომ გავიდა [სახლიდან] *5 წუთის წინ და გაჩერებაზე იდგა, მე გამოვედი სახლიდან, რაღაც 1 კვირის გადასულები ვიყავით სხვა ბინაში, იმიტომ რომ რომელ ბინაშიც ვიყავით, ჩვენი ბინიდან ბევრები დაიჭირეს და უკვე ფაქტიურად ბინა დაიშალა და პატარა ბინაში გადავედით, სადაც 4-ნი ვიყავით. იქ ერთი კვირის გადასულები ვიყავით, ტერიტორიულად კარგად არ ვიცნობდით, აი, რა პერიოდში უნდა მივსულიყავი იმ გაჩერებაზე და ვჩქარობდი, არ დამაგვიანდეს მეთქი, გავრბოდი და დავინახე გაჩერებაზე მილიციის ფორმით კაცი და შევჩერდი, აღარ ვაპირებდი გზის გაგრძელებას. შიგნით გადაცმული ბიჭი შემომივარდა იმ ადგილას, მომთხოვა საბუთები და რო გავედი, ჩემი და დავინახე, ფორმიანს კიდევ ჩემი და ყავდა გაჩერებული. დედა, კინაღამ გადავირიეთ. ვაიმე, იძულებული გავხდი ჩემი პასპორტი მეჩვენებინა, საბუთი ყალბად გვქონდა გაკეთებული, იმის გულისთვის, რომ იქ ორგანიზაციებია და საღამოს სამუშაოები გვქონდა, ჯერ იქ ვმუშაობდი, მერე პოლიკლინიკაში და არ*

გამუშავებდნენ, თუ ის პასპორტი არ გქონდა. იმათი საბუთი და ეს ვანახე, ჩემმა დამაც ის საბუთი აჩვენა და ერთად რომ მოვდიოდით ბოლო-ბოლო გვითხარით, ვინები ხართო, ორივემ რომ ვუთხარით, დები ვართ, გადაირივნენ ერთდროულად. აი, ის რუსის ბიჭი [პოლიციელი] *ძალიან ღვთისნიერი ადამიანი იყო, იმდენად კარგი, რომ ისაც კი გავბედე, მიდი, გაგვიშვი მეთქი. ის ორი ებრაელი იყო და იმათ უთხრა, რომ ერთი ზედმეტიო, ზედმეტი სიტყვა არ უთხრათო. მართლაც ძალიან თავაზიანად გვექცეოდნენ, მაგრამ რათ გინდოდა იმათი თავაზიანობა, არაფერი არ უკადრებიათ. იმ მომენტში ყველაფერზე ფიქრობ, მაინც შეურაცხოფაა. აი, უკვე არიან ისინი, რომ გცნობენ შეხედულებით, აი, რანაირი ხარ. რო შემეკითხა, სადაური ხარო, რუსი მეთქი – რუსის ის მქონდა საბუთი და რა რუსი, ქართველი ხარო, იმდენად გცნობენ უკვე შეხედულებით ქართველი ხარ, რუსი ხარ, ებრაელი ხარ.*

ბ. ქალი, 49 წლის, ისრაელი

უფრო მეტიც, როგორც რესპონდენტები ამბობენ, ადრე თუ ისრაელის პოლიცია საბუთებს მხოლოდ ქუჩაში ამოწმებდა, ბოლო დროს გახშირდა შემოწმებები ბინებშიც, და შესაბამისად, გაიზარდა დეპორტირებულ ემიგრანტთა რიცხვიც:

ისრაელში, იქ თუ შემთხვევით მილიციამ გაგაჩერა, მაშინვე დეპორტს გიკეთებენ, და თითქმის 90% გამოუშვეს უკან ასე. 2% აღარ არის ქართველი დარჩენილი ისრაელში, უშვებენ, იმიტომ რომ თავის ხალხს ჰქონდეთ სამსახურები.

ლ. ქალი, 52 წლის, საბერძნეთი, ისრაელი

ის, რომ თიანეთში დაბრუნებული ემიგრანტების დიდი ნაწილი შესაძლოა მართლაც გამხდარიყო დეპორტაციის მსხვერპლი, გარკვეულწილად შემდეგ ცხრილში მოყვანილი მონაცემებიც ადასტურებს:

ცხრილი 14.

დაბრუნებული ემიგრანტების ემიგრაციის ხანგრძლივობა (%)

	%
ერთ წელზე ნაკლები	13
1 წელი	26
2 წელი	21
3 წელი	15
4 წელი	9
5 წელი	10
6 წელი	4

7 წელი	1
8 წელი	1
სულ	100

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, ემიგრანტების საკმაოდ დიდი ნაწილი მოკლევადიან ემიგრაციაში იმყოფებოდა, ხოლო ემიგრაციის ხანგრძლივობის საშუალო მნიშვნელობა ყველა დაბრუნებული ემიგრანტისათვის ორ წელს და 4 თვეს შეადგენს. ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის ემიგრანტები, რომლებმაც საზღვარაგრეთ ერთ წელიწადზე ნაკლები დაჰყვეს, ან დეპორტირებულნი იყვნენ, ან დაბრუნდნენ თიანეთში პირადი ან ოჯახური მიზეზების გამო. დაბრუნებული ემიგრანტების თითქმის ნახევარი (47%) საზღვარგარეთ ერთიდან ორ წლამდე იყო, რაც, რესპონდენტების აზრით, როგორც წესი, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ გადაიხადო ემიგრაციასთან დაკავშირებული ვალები, ანდა მოაგროვო საჭირო თანხა ბინის/მანქანის შესაძენად ანდა რემონტის გასაკეთებლად – რაც, როგორც წესი, ემიგრაციის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან შედეგად აღიქმება.

ისევე, როგორც საზღვარგარეთ წასვლის სხვადასხვა მიზეზი არსებობს, ასევე ემიგრანტების თიანეთში დაბრუნების მიზეზებიც განსხვავდება ერთმანეთისგან. ზოგ შემთხვევაში დაბრუნება მართლაც წარუმატებელი ემიგრაციის შედეგია, მაგრამ ზოგ შემთხვევაში – იმ გადაწყვეტილების შედეგი, რომელსაც ემიგრანტი გაცნობიერებულად იღებს და საკუთარი ნების თანახმად ბრუნდება თიანეთში. ამრიგად, ჩვენ გამოვყოფთ დაბრუნებული ემიგრანტების ორ დიდ კატეგორიას:

1. **იძულებით** დაბრუნებული ემიგრანტები, ანუ ისინი, ვინც დეპორტაციის, ჯანმრთელობის გაუარესების, ოჯახური პრობლემების გამო გახდნენ იძულებულნი დაბრუნებულიყვნენ თიანეთში, თუმცა ფიქრობდნენ და დაგეგმილი ჰქონდათ საზღვარგარეთ კიდევ გარკვეული პერიოდით დარჩენა, და

2. **ნებაყოფლობით** დაბრუნებული ემიგრანტები, ანუ ის ემიგრანტები, რომლებმაც შეასრულეს თავისი "მისია", მიაღწიეს იმ მიზანს, რის გამოც წავიდნენ საზღვარგარეთ და საკუთარი სურვილით დაბრუნდენ თიანეთში.

იძულებით დაბრუნებულთა შორის ნაწილი ბრუნდება იმიტომ, რომ ვეღარ უძლებს ოჯახთან განშორებას და ვეღარ უმკლავდება ნოსტალგიას:

საბერძნეთში, ხო [ჩავიდა] *და დავიწყე მუშაობა. სხვათაშორის, მაშინ არც ენა ვიცოდი, ერთი სიტყვა არ ვიცოდი, რო მეუბნებოდა ეს ქალი, ბავშვი ტირისო, ვერ ვიგებდი რას მეუბნებოდა. მერე უცბად ლიას დავურეკავდით – ლია მე დამირეკავდა და ასეთი ისა გვქონდა, უშუალო ურთიერთობა. რაღაცა. თავიდან არ ვიცოდი, როგორ ავიტანდი, რაღაც შემართებით ვიყავი, მაგრამ მერე და მერე ისე გამიჭირდა, ისე, რომ თვითოეული 5 წუთი მახსოვდა, როგორ გავიდა. შევიდოდი კუხნაში, 5 წუთი გასულა, კიდევ 5 წუთი და აესე თენდებოდა და აესე ღამდებოდა. ერთი წელი გავძლე როგორც იქნა, ხო, და ვთქვი, რო რა ვქნა მეთქი, 3000 დოლარი ჩამოვიტანე იმ ერთ წელში, დიდი ეკონომიით ვიყავი.*

მ. ქალი, 49 წლის, საბერძნეთი

მიუხედავად ამისა, მ.-ს ჩამოსვლიდან ორ წელიწადში ისევ მოუწია საზღვარგარეთ გამგზავრება, რადგანაც მის მიერ ჩამოტანილი თანხა დაიხარჯა, მისმა შვილმა უნივერსიტეტში ფასიან განყოფილებაზე ჩააბარა და ოჯახს არ ჰქონდა იმის საშუალება, რომ მისი სწავლის ფული და თბილისში ცხოვრების ხარჯები დაეფარა. მეორედ მ.-ს საბერძნეთიდან წამოსვლა ახლობლის გარდაცვალებამ გადააწყვეტინა:

პ: ხო, მე არ მეგონა, თუ ჩემი ქმარი მანქანას იყიდიდა და ვიფიქრე, რო ცოტა ხანს გვეყოფოდა, რაღაცით ხელს მოვინაცვლებთ მეთქი, თან პატარები იყვნენ, ბიჭი სკოლაში დადიოდა ისევა, თან მუშაობდა ჩემი მეუღლე ავტობუსზე და რაღაც ასეთი, ისე ვარსებობდით და რა ვქნა, ხო არ მოვკვდებოდი? ძალიან გამიჭირდა [პირველად რომ წავიდა საბერძნეთში] *მეორედ მამიდაშვილი დამეღუპა და*
შ: აქ თუ იქ?
პ: აქ დამეღუპა, კი, მინდოდა ცოტა ხანი კიდევ დარჩენა, მაგრამ, ხოდა, ძმასავითა გვყავდა და, ისეთი კარგი იყო, ესეთი კარგი ადამიანი ჩვენ ნათესაობაში არ იყო, კარგი გვყავდა ვანო ძალიან. ხო და აი, ასე, ჩემო კარგო.

შ: და მაგიტომ გადაწყვიტეთ, რომ წამოსულიყავით?
პ: ხო, მაგიტომ, თორემ მე წამოვედი აგვისტოში და გაზაფხულამდე არ ვაპირებდი.
შ: შარშან?
პ: ხო, 2005 წელში. ხოდა, წამოვედი იმიტომ, რომ არ შემეძლო, და თან ისეთ ოჯახში არ ვიყავი, რო იმათ ჩემთვის ეთანაგრძნოთ ან რაღაცა გაეგოთ. რო მიდიხარ, რა, გააცოცხლებო? რისთვის მიდიხარო?

მ. ქალი, 49 წლის, საბერძნეთი

ზოგი ემიგრანტი ბრუნდება ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო. ლ. პირველად საბერძნეთში წავიდა, მაგრამ იძულებული იყო დაბრუნებულიყო, რადგანაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. მკურნალობის კურსის ჩატარების შემდეგ, ლ. კვლავ გაემგზავრა საზღვარგარეთ – ამჯერად ისრაელში:

იმ მოხუცთან ვიყავი [ლ. მოხუცს უვლიდა ისრაელში] *2 წელი და 4 თვე. მე ისევ ამ სახლში ვცხოვრობდი და იქიდან ვახერხებდი დამლაგებლად მუშაობას, მერე ერთ დღეში 3 ოჯახს ვალაგებდი, მიწევდა სხვადასხვა ქალაქებში სიარული, აი, დილით თუ თიანეთი დავალაგე, საღამოთი ან შუადღისას დუშეთი უნდა დამელაგებინა, საღამოთი თბილისი და თბილისიდან უნდა მოვბრუნებულიყავი ისევ აქა, და აქ 6 საათი მარტო გზაში მინდოდა და ახლა 4-4 საათი იქა და 13-14 საათი გამოდიოდა დღეში მუშაობა. ანაზღაურება კარგი მქონდა, მაგრამ ველარ შევძელი, ნაოპერაციებელი ხელი ამტკივდა, ძალა ადგებოდა. მერე ახლა მეორე ხელი ამტკივდადა, ახლა ის გამიხდა საოპერაციო, და იძულებული გავხდი წამოვსულყავი.*

ლ. ქალი, 52 წლის, საბერძნეთი, ისრაელი

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში დაბრუნების შემდეგ ლ.-მ მკურნალობის კიდევ ერთი კურსი გაირა, ის კვლავ ფიქრობს საზღვარგარეთ გამგზავრებას – ამჯერად აშშ-ში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ემიგრანტების გარკვეული რაოდენობა "*ნებაყოფლობით*" ბრუნდება სამშობლოში მას შემდეგ, რაც დასახული "მისია" შეასრულა.

მე გამოვაგზავნე ფული, ჩემმა მეუღლემ "24" მანქანა იყიდა და იმით ტაქსაობდა, მაშინ იყო ისეთი პერიოდი, რო ტაქსზე მუშაობდა და რაღაცა შემოსავალი ქონდა, გარდა ამისა, ვიყიდე კიდევ ბინა [თბილისში], *ბინა ვიყიდე და დღეს-დღეობით იმ ბინას ვაქირავებ.*

ო. ქალი, 49 წლის, საბერძნეთი

საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებიც, ზოგ შემთხვევაში, ახდენენ გავლენას ემიგრანტების გადაწყვეტილებაზე, რომ დაბრუნდნენ თიანეთში – მაგალითად, ვ.-ს ჩამოსვლაზე დიდი გავლენა იქონია "ვარდების რევოლუციამ":

ტელევიზორში ვნახე სააკაშვილი რომ ითხოვდა ჩემნაირი ხალხის დაბრუნებას და ვიფიქრე, ჩემი ქვეყანა ავაშენო, რაღა სხვისი ვაშენო და წამოვედი. დღეს ვფიქრობ, რომ სიგიჟე გავაკეთე, მაგრამ რას ვიზამ, ისიც უნდა სცადო, ესეც უნდა სცადო, ესეა.

ვ. მამაკაცი, 42 წლის, შვედეთი

ნ. პირველად საბერძნეთში წელიწადი და 2 თვე იყო – გადაიხადა ვალი, რის გამოც იძულებული იყო რომ წასულიყო საზღვარგარეთ და თიანეთში დაბრუნდა. მაგრამ იმის გამო, რომ თიანეთში ეკონომიკური მდგომარეობა კვლავ მძიმე იყო, ნ. მეორედაც წავიდა საბერძნეთში, რათა თავისი ოჯახის წევრებს დახმარებოდა. მისი გადაწყვეტილება, თიანეთში დაბრუნებულიყო, წარმოადგენს როგორც "მისიის" შესრულების, ასევე მოძალებული ნოსტალგიის სიმბიოზს:

შ: და მეორეჯერ [ნ. ორჯერ იყო წასული საბერძნეთში] *დრო რომ გავიდა, თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ რომ აი, ეხლა წავალო სახლში?*
პ: კი, კი, უკვე აღარ შემეძლო, მაინც ჩემთვის მქონდა შედგენილი, ჩემთვის კალენდარი და საღამოს 5 საათიდან უკვე გადავშლიდი ხოლმე იმ დღეს, ხო, რო ეს ერთი დღეც მოვკალი. ხო, აი, ასე შვილო, საშინელებაა.
შ: სანამ თქვენ იქ იყავით, ხო გეგმა აქვს ადამიანს, აი, ამას გავაკეთებ და დამშვიდებული წავალ – თქვენ რა გქონდათ ესეთი?
პ: ჩემი გოგოს მეუღლე წასული იყო ირლანდიაში და [შვილს] *წასვლა უნდოდა* [ირლანდიაში], *ნუ, რა თქმა უნდა, იმ კვების ფულს ზევით თუ კი რამე მრჩებოდა, ვცდილობდი, რო რაღაცით შევშველებოდი, ხო და გაუჭირდათ იმათ ძალიან, იძულებული შეიქნა ისიც* [შვილი] *რო წასულიყო* [ირლანდიაში]. *ეს გავაკეთე* [დააფინანსა]. *მეორე კიდევ, ვაჟა, ორი გოგო მყავს და ერთი ბიჭი – ის* [ბიჭი] *არის თბილისში, იქ მუშაობდა, იყო ქირით და ბინა ვუყიდე.*

ნ. ქალი, 58 წლის, საბერძნეთი

იმისათვის, რომ თავის ოჯახებს დაეხმარნენ, ემიგრანტები ძალიან ბევრს შრომობენ. ისინი ხშირად დამატებით სამუშაოსაც შოულობენ, რათა არა მარტო ყოველდღიური მოთხოვნილებები დაუკმაყოფილონ

თავიანთ ოჯახებს, არამედ შეიძინონ/გაარემონტონ ბინა თბილისში ან თიანეთში, რაც წარმატებული ემიგრაციის ერთ-ერთ ნიშნად ითვლება.

მაშინ ვიყავი ბედნიერი, როცა ფულს ავიღებდი და ამათ ვუგზავნიდი, საფულე რომ ცარიელდებოდა. <...> მერე ბოლოს უკვე, ხელფასი არ მყოფნიდა, 800 დოლარი მქონდა ხელფასი და მერე <...> დამატებით ვმუშაობდი დასვენების დღეებშიც, რომ როგორმე, როგორმე ერთი ბინა ვიყიდო მეთქი თბილისში. და გოგო სწავლობდა, მოგეხსენებათ, სტუდენტს რამდენი უნდა და როგორმე, არ ვიცი, ერთი დღე დასვენება არ მქონდა, იმდენად ვიღლებოდი, რომ მოვდიოდი იქიდან სამუშაოდან, არა, ვგრძნობდი, სისხლი როგორ მოძრაობდა სხეულში, იმდენად დაღლილი მოვდიოდი, არაფრის თავი არ მქონდა, არც ჭამის, არც არაფერი.

გ. ქალი, 49 წლის, ისრაელი

როგორც ბევრი დაბრუნებული ემიგრანტი აღნიშნავს, საზღვარგარეთ ისინი საკმაოდ დიდ ეკონომიას ეწევიან, ყველანაირად ცდილობენ რომ დაზოგონ აღებული ხელფასი – მაგალითად, შეიძლება კვირაობითაც არ გამოვიდნენ ქალაქში, არ შეხვდნენ თავისიანებს, რათა თითოეული ასეთი დასვენების დღე გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული; ანდა სახლში მხოლოდ ორ კვირაში ერთხელ დარეკონ და ა.შ.

დაბრუნებულ ემიგრანტთა ოჯახების 45% თვლის, რომ მათი ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა, მაშინ როდესაც 38%-ის აზრით, ის არ შეიცვალა და კიდევ 14% ფიქრობს, რომ ის გაუარესდა მათი ოჯახის წევრის საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდში. ბოლო შემთხვევაში, როგორც წესი, საქმე გვაქვს მოკლევადიან ემიგრაციასთან, როდესაც ემიგრანტმა ვერ მოახერხა ვერც ვალების გადახდა და ვერც ოჯახის დახმარება.

მიუხედავად იმისა, რომ ემიგრანტებს საზღვარგარეთ ბევრი სხვადასხვა სახის პრობლემის გადაჭრა უწევთ, ის ფაქტი, რომ მათ პატივისცემით ეპყრობიან, მათში კმაყოფილებას გრძნობას იწვევს.

იქ გაქვს ხელფასი და იღებ შრომის საფასურს, რითაც არავინ არ გამცირებს, სადაც მივყავდი თვითონ ოჯახს, ყველას ეუბნებოდნენ – ეს ჩვენი მეგობარია, ჩვენი ოჯახის ახლობელია. სადაცა ხარ, იქაური

ქუდი უნდა დაიხურო. შენს თავს რომ წარმოაჩენ, ეს უკვე შენი ქვეყნის წარმოჩენაა.

ლ. ქალი, 52 წლის, საბერძნეთი, ისრაელი

სამწუხაროდ, თიანეთში დაბრუნების შემდეგ ბევრმა ემიგრანტმა ვერ შეძლო საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია, ვერ მოახერხა სამსახურის შოვნა.

შ: კიდევ წასვლას ხომ არ აპირებთ?
პ: სხვათაშორის, ჯერ არ მიფიქრია – აი, ვეთრევი, ვეთრევი, იქნებ გამოსწორდეს, იქნებ რაღაცა მწყობრში ჩადგეს, თუ არ იქნება საშველი, მაინცა რო მწყობრში ჩადგეს, აბა, რა უნდა ვაკეთო აქ? აი, რა აზრი აქ აქ ცხოვრებას?
შ: რაც ჩამოხვედით, არც სამსახური, არც არაფერი?
პ: ვინ რას მოგცემს, კაცო, სად არი სამსახური, არი სამსახური საერთოდ? მშენებლობა რომ მშენებლობაა, იქ მუშაობის ადგილი არ არი. არავინ არ გაძლევს. იმასაც ისა ყავს, რა ქვია. ცოლი მინდოდა, რომ სამუშაოზე გამეშვა, ხოდა, არანაირი სამუშაო არ არსებობს, აი, ვის მივაკითხო?

ვ. კაცი, 42 წლის, შვედეთი

ზოგიერთ დაბრუნებულ ემიგრანტს აქვს სურვილი, რომ კიდევ ერთხელ გაემგზავროს საზღვარგარეთ, რათა კიდევ რამდენიმე წლის მანძილზე "წაეშველოს" თავის ოჯახებს, შვილებს, მაგრამ აფერხებთ ემიგრაციასთან დაკავშირებული ფინანსური რესურსების არქონა. ამასთანავე, უკვე აქვთ რა ემიგრაციის გამოცდილება და იციან რა, თუ რა მოელით მათ საზღვარგარეთ და რა პრობლემების გადაჭრა მოუწევთ, ისინი უფრო კარგად მომზადებულები და შემართებულები გაემგზავრებოდნენ უცხოეთში, ვალის აღებასთან და შესაძლო დეპორტაციასთან დაკავშირებული შიში რომ არა:

ეხლა, ხო გეუბნებით, რო იყოს წასვლა ერთი წელიწად-ნახევარი, წავიდოდი, ვალზე აღარა მაქვს ლაპარაკი, აი, შიში რო არ იყოს, ან წასვლისა, ან იქ დაჭერისა. წავიდოდი, იმიტომ რო აი, ხო გეუბნებით, ექიმის ფული არა მაქვს, მარტო მაგის გულისთვის, თორე არც სახლი, არც აბა, რა ვიცი, ვის ვუშენებ, რას ვაშენებ. ჩემი შვილი [მ.-ს ბიჭი საფრანგეთშია, იქ დაოჯახდა და ლტოლვილის სტატუსის მიღებას ელოდება] *აქ აღარ ჩამოვა და ამიტომ ვამბობ, თუ, რა თქმა უნდა, ცოტა უკეთესად ვიქნები, იაფად თუ წავალ და გარანტია თუ მექნება, რომ იქ ყოფნის განმავლობაში არაფერი პრობლემა არ მექნება.*

მ. ქალი, 49 წლის, საბერძნეთი

ა., რომელიც ისრაელიდან დეპორტაციის შედეგად ჩამოვიდა ისე, რომ ვერ მოასწრო აღებული ვალების დაფარვა, ვერ მოახრხა ვერც ბინის გარემონტება და ვერც ახლის შეძენა, ფაქტობრივად, თავისი ნათესავების დახმარების იმედზეა:

ყველას [ნათესავებს] *თავისი ოჯახი აქვს, იმიტო ვფიქრობ, რომ ნეტა საშუალება მქონდეს, მაგრამ %-იან ვალს ველარ ავიღებ. ნეტა საშუალება მქონდეს, რო სადმე წამიყვანა. ერთი რო ფულის პრობლემა მაქ, მეორე კიდე შიში, უკვე შიში, რო დამიჭირონ და ვალიც ვალად დამრჩეს და ვალი წამოვიკიდო, ეგეც მეშინია. სხვა რა უნდა გააკეთო ადამიანმა? ბოსტანს დავამუშავებ რაღაცას მოვიყვან, რაღაცას გავაკეთებ, მაგრამ რაღაცა ხო გინდა ადამიანს, არა?*

ა. ქალი, 56 წლის, საბერძნეთი, ისრაელი

ზოგ დაბრუნებულ ემიგრანტს კი უკვე გადაწყვეტილი აქვს საზღვარგარეთ გამგზავრება და უკვე ემზადება ამისათვის – როგორც ლ., რომელიც აშშ-დან, თავისი ახლობლებისგან ელოდება მოწვევას:

ვფიქრობ [საზღვარგარეთ წასვლას], *იმიტომ რომ სამსახური არა მაქვს და არც მაძლევენ, 52 წლის ხარ და არ შეიძლება მუშაობაო.*

ლ. ქალი, 52 წლის, საბერძნეთი, ისრაელი

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დაბრუნებული ემიგრანტი არ ნანობს თიანეთში დაბრუნებას, ის, რომ მისი შრომა საზღვაგარეთ ფასობდა, რომ ის იქ ღირსეულ ანაზრაურებას იღებდა, გარკვეული სინანულის გრძნობას იწვევს:

ჩამოსვლას ნამდვილად არ ვნანობ, მე თვითონ ძალიან ემოციური ვარ და მიუხედავად იმისა, რომ სახლში ეხლა ისეთი არავინ არ მელოდებოდა – შვილები არა მყავდა დატოვებული – თვითონ მე ბუნებითა ვარ ისეთი, რომ მამის სახლის გარეშე არ შემეძლო, ქმრის დარდი, დედის, ყველასი და ვნანობ იმ თვალსაზრისით, რო აქ, იქ რასაც ერთ თვეში ვიღებდი, აქ მთელ წელში ვერ ავიღებ.

ნ. ქალი, 50 წლის, საბერძნეთი

თუმცა, ზოგიერთი დაბრუნებული ემიგრანტი კატეგორიულად გამორიცხავს საზღვარგარეთ წასვლის შესაძლებლობას, რაც, ჩვენი აზრით გამოწვეულია, ერთი მხრივ იმით, რომ მათი ოჯახის წევრები კვლევის ჩატარების დროს იმყოფებოდნენ საზღვარგარეთ და მატერიალურად

ეხმარებოდნენ თავიანთ ოჯახებს, ხოლო მეორე მხრივ იმით, რომ თავიანთი ემიგრაციის შედეგად მათ შესძლეს საკმარისი რესურსების აკუმულირება, დააბანდეს დანაზოგები უძრავ/მოძრავ ქონებაში და შესძლეს ოჯახისათვის შემოსავლის დამატებითი წყაროს შექმნა.

3.2.6.1. კმაყოფილება ემიგრაციის შედეგებით

დაბრუნებულ ემიგრანტთა დამოკიდებულება ემიგრაციისადმი მნიშვნელოვნად განპირობებულია იმით, თუ რამდენად წარმატებული იყო მათი ემიგრაცია, და რამდენად მოახერხეს მათ დასახული მიზნების მიღწევა. არიან დაბრუნებული ემიგრანტები, რომლებიც ნანობენ იმას, რომ საერთოდ წავიდნენ საზღვარგარეთ, რადგანაც მათ არათუ ვერ მოახერხეს თავიანთი ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, არამედ ვალების გადახდაც კი ვერ შესძლეს. მეორეს მხრივ, მაშინაც კი, როდესაც ემიგრანტი ახერხებს ოჯახის დახმარებას, გარკვეული თანხის მობილიზებას და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, თიანეთში დაბრუნებულებს შეიძლება სხვა სახის პრობლემები დახვდეს, მაგალითად, შვილებისგან გაუცხოება და ა.შ.

როცა ჩამოვედი, ჩემი შვილი უკვე მე-3 კლასში იყო, ოქტომბერში ჩამოვედი, დამხვდა ძალიან ნაღვლიანი თვალებით. აი, პირველად რომ შემხვდა, ისეთი სახით შემხვდა, აი, მივიღებდი თუ არა, ისე შემეცოდა და სულ ეჭვით იყო, რომ როდისღაც მე კიდევ წავიდოდი. რო ჩამოვედი, ეხლა მე იმდენად აღარ მიჭირდა[93] და ისევ ჩემი შვილის გამო დავრჩი და აღარ წავედი.

ო. ქალი, 49 წლის, საბერძნეთი

მე, ჩემი ყველაზე დიდი გეგმა ის იყო, ჩემი შვილების კეთილდღეობა, ჩემი შვილების კეთილდღეობა იყო, მარა მე ამ გადასახედიდან რომ ვუყურებ, რა თქმა უნდა, ბინა დარჩა, კარგია, მაგრამ მე ჩემი შვილი, ბიჭი განსაკუთრებით, ველარ ვიცანი, იცი? იმდენად შეცვლილი დამხვდა. 5-ზე დაამთავრა სკოლა, მისი პირიდან ცუდი სიტყვა არ გამიგია, უნივერსიტეტი დაამთავრა <...> არც თუ უნიჭო, საკმაოდ გონიერი, აზრიანი და ამავე დროს ზრდილობიანი. რომ ჩამოვედი,

[93] ო.-მ იყიდა ბინა თბილისში, რომელსაც მისი ოჯახი აქირავებს, მისი გამოგზავნილი ფულით მისმა მეუღლემ იყიდა მანქანა და გადაჰყავდა მგზავრები თიანეთი-თბილისის მარშრუტით, რაც ასევე ოჯახის შემოსავლის ერთ-ერთი წყარო გახდა.

არა? გარდატეხის ასაკში რომ არიან ბიჭები, ბიჭები-ყოყლოჩინები, ცუდ სიტყვებს ამბობენ მასწავლებელს, ზუსტად ასეთი დავინახე ჩემი შვილი და სულ თავში ვიცემდი ხელებს, ეს რა გავაკეთე მეთქი, ნეტავი არ წავსულიყავი და ისევ მჭადი გვეჭამა მეთქი...

გ. ქალი, 49 წლის, ისრაელი

საბედნიეროდ, გ.-მ მოახერხა თავის შვილთან ურთიერთობის აღდგენა და მისი "გამოსწორება", მაგრამ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ემიგრაციის ამგვარი შედეგი ემიგრანტების ოჯახებზე და შვილებზე შეიძლება ზოგ შემთხვევაში გამოუსწორებელი აღმოჩნდეს და ჩვენი აზრით, ეს მოვლენა აუცილებლად უნდა გახდეს დამატებითი კვლევის საგანი.

მიუხედავად ამისა, ერთ რამეში ჩვენს მიერ გამოკითხული თითქმის ყველა დაბრუნებული ემიგრანტი ერთსულოვანია – ემიგრაციამ მათ ძალიან დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება შესძინა. ამიტომ, ბევრ უარყოფით მოვლენასთან ერთად, რომელიც ემიგრაციას თან სდევდა, ბევრი მას მაინც დადებითად აფასებს და სითბოთი იხსენებს ემიგრაციის ქვეყანაში გატარებულ წლებს, იმ ადამიანებს, რომლებიც იქ გაიცნეს:

რო იციან ხოლმე, საზღვარგარეთ ცივი, უგული ხალხიაო, პირიქით, ჩემთვის ძალიან თბილები იყვნენ. ადრე იცოდნენ ხოლმე ჩეჩნებზე, თუ დაგინდეს, ბოლომდე გაგიტანენო და იქაც ისევე არიან, თუ არაფერს აშავებ, ზედ გადაგყვებიან, ხოლო თუ რამეს აშავებ, ზედ არ შემოგხედავენ. დღესვე რომ ჩავიდე იქ, შემიძლია ყველა ოჯახში მივიდე, გინდა დავიძინო კიდევაც, პური შევჭამო, თუ აქვს რამე სამუშაო – ვიმუშაო კიდეც, არანაირი პრობლემა არა მაქვს მე იქ. <...> ძალიან კარგი ხალხია, მე დადებითის მეტს ვერაფერს ვიხსენებ, საქართველოში ისე არ მოგხედავენ, როგორც იქ.

ვ. მამაკაცი, 42 წლის, შვედეთი

ვ.-სათვის ასევე მნიშველოვანი იყო ყოველდღიური ცხოვრების კულტურა, რომელსაც ის შვედეთში აკვირდებოდა, სისუფთავე, შრომის ეთიკა, ზრდილობიანი მოპყრობა:

აქ რომ ჩამოვედი, სიგარეტს ვეწეოდი და რომ დავამთავრე, ურნას ვეძებდი ჩასაგდებად, ხომ არ გადავაგდებდი? მაგრამ ვერ ვნახე. ის კულტურა აქვთ რაღაც უმაღლესი, იმას ყოველ მეორე დღეს აპილასოსებენ, ბუსნოს [გაზონი] *და შვილებს გეფიცები, გერიდება,*

რომ ტუფლებით დადგე იმ ბუსნოზე. გაიხედე, ნაგავში ვცხოვრობთ, რა არი, რა ცხოვრებაა. <...> მე მრცხვენია, ბევრს უნდა ჩამოსვლა [ვ.-ს მეგობრებს შვედეთიდან], *და როგორ მოვიყვანო აქ?*

ვ. მამაკაცი, 42 წლის, შვედეთი

აი, ეხლა მე საბერძნეთიც მიყვარს და ისრაელიც მენატრება. ხალხი მენატრება, 2 კვირაში ერთხელ მირეკავენ და მეუბნებიან, მოგვენატრე, 2-3 წელი იქ ვიყავი და ცოტა ხომ არ არის? ძალიან კარგი ხალხი შემხვდა, ისეთი, რომ მე მათთან ურთიერთობას ვერ გავწყვეტ.

ლ. ქალი, 52 წლის, საბერძნეთი, ისრაელი

გარდა ამისა, ლ.-სთვისაც ბევრი რამ იყო მისაღები საბერძნეთის და ისრაელის კულტურიდან:

იქ ძალიან კარგი კულტურა და წესები აქვთ. ჩვენ ერთმანეთს ვბაძავთ ყველაფერში, ისინი კი ყველას თავისი ცხოვრების წესები აქვთ. რაც ღმერთისგან შინაგანად უნდა მოდიოდეს, ეს ჩვენს ხალხს არა აქვს. იმათი წესიდან ჩემთვის ძალიან ბევრი ცხოვრების მაგალითი იყო.

ლ. ქალი, 52 წლის, საბერძნეთი, ისრაელი

დაბრუნებული ემიგრანტების დიდი ნაწილი თვლის, რომ მათი ოჯახების მდგომარეობა უაღრესად მძიმე იქნებოდა ისინი რომ სამუშაოდ არ წასულიყვნენ საზღვარგარეთ. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა (ო., ქალი, 49 წლის, საბერძნეთი), *"დღესაც ვიტყვი ხოლმე, რო მე იქ არ წავსულიყავი და ოჯახისთვის არ მეშველა, არ ვიცი, დღეს როგორ ვიქნებოდით."* გ. (ქალი, 49 წლის, ისრაელი) საუბრობს ფსიქოლოგიურ ტრავმაზე, რომელსაც მისი ოჯახი ან გადაიტანდა, ან არა, მ.-ს (ქალი, 49 წლის, საბერძნეთი) შვილი ვერ ისწავლიდა, ხოლო ვ.-ს (მამაკაცი, 42 წლის, შვედეთი) ოჯახი კი ფიზიკური გადარჩენის საფრთხის წინაშე იქნებოდა. როგორც აღვნიშნეთ, ყველა ემიგრანტი ვერ ახერხებს დასახული მიზნების მიღწევას და ოჯახების დახმარებას. მიუხედავად ამისა, ნათელია, რომ თიანეთელი ემიგრანტების მიერ გაწეული დახმარება და ის ინვესტიციები უძრავ/მოძრავ ქონებაში, განათლებაში და ა შ. გარკვეულწილად უბიძგებთ თიანეთის მაცხოვრებლებს რომ მათაც ბედი საზღვარგარეთ ეძიონ.

3.2.7. პოტენციური ემიგრანტები

ის, რომ საზღვარგარეთ გამგზავრების მსურველთა რაოდენობა თიანეთში არ მცირდება, იქიდანაც ჩანს, რომ ჩატარებული აღწერის შედეგად 55 ოჯახის (თიანეთის ოჯახების 5%) 57 წევრმა აღნიშნა, რომ აპირებს უახლოესი 12 თვის მანძილზე საზღვარგარეთ გამგზავრებას. პოტენციურ ემიგრანტთა შორის 33 ქალია, და 24 – მამაკაცი; მათი საშუალო ასაკი კი 38 წელია. საინტერესოა, რომ 21 პოტენციურ ემიგრანტს უკვე აქვს ემიგრაციის გამოცდილება და მათ შემთხვევაში საუბარია განმეორებით ემიგრაციაზე. რაც არანაკლებ საინტერესოა, 24 პოტენციური ემიგრანტის ოჯახში ამჟამად უკვე არის "მოქმედი" ემიგრანტი. ამრიგად, პოტენციური ემიგრანტების მქონე შინამეურნეობების თითქმის ნახევარი უკვე აქტიურადაა ჩართული ემიგრაციულ პროცესებში.

ქვემოთ მოყვანილია იმ ქვეყნების სია, სადაც თიანეთელ პოტენციურ ემგირანტებს სურთ გამგზავრება. როგორც ვხედავთ, დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში წასვლის მსურველი გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე რუსეთში, სადაც მხოლოდ 2 პოტენციური ემიგრანტი აპირებს წასვლას[94].

ცხრილი 15.

პოტენციური ემიგრანტების სასურველი ემიგრაციის ქვეყნები (სიხშირე[95])

ქვეყანა	
ირლანდია	12
საბერძნეთი	12
აშშ	10
იტალია	6
გერმანია	5
დიდი ბრიტანეთი	2
რუსეთი	2

[94] კვლევა ჩატარდა მანამ, სანამ რუსეთი შეწყვეტდა ვიზების გაცემას 2006 წლის შემოდგომაზე.

[95] რადგან აქ ჩვენ ვაანალიზებთ შედარებით მცირე ჯგუფის პასუხებს (მხოლოდ 57 ადამიანი), მოყვანლია აბსოლუტური მონაცემები.

ისრაელი	1
კვიპროსი	1
შვედეთი	1
პორტუგალია	1
სხვა ქვეყნები (აზერბაიჯანი, "ევროპა", კანადა)	4
სულ:	57

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოტენციური ემიგრანტების უმრავლესობა საზღვარგარეთ სამუშაოდ აპირებს წასვლას (50-ი 57-დან), 2 – სამუშაოდ, 4 – სამოგზაუროდ და ერთიც – "გამოსაზამთრებლად".

როგორც პოტენციური ემიგრანტების ოჯახების შემოსავლების ანალიზიდან ჩანს, ისინი არ მიეკუთვნებიან თიანეთის ყველაზე ღარიბ ოჯახებს – პირიქით, მათი შემოსავლები მაღალია, ვიდრე იმ ემიგრანტებიანი ოჯახების შემოსავლები, ვინც იღებს ემიგრანტებისგან მატერიალურ დახმარებას, და თითქმის უტოლდება საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ დადგენილ საარსებო მინიმუმს:

ცხრილი 16.

იმ შინამეურნეობების საშუალო თვიური შემოსავალი, სადაც არიან პოტენციური ემიგრანტები

	შემოსავალი ერთ სულზე (ლარი)	შინამეურნეობის შემოსავალი (ლარი)
შინამეურნეობები პოტენციური ემიგრანტებით	93	444

როგორც ჩანს, პოტენციური ემიგრანტების საზღვარგარეთ წასვლის სურვილი, ერთი მხრივ, ამ ოჯახების შეფარდებითი დეპრივაციითაა, ხოლო მეორე მხრივ – ემიგრაციული ქსელების გავლენითაა გამოწვეული. ასევე ნათელია, რომ ემიგრაციული გამოცდილება მნიშვნელოვან როლს თამაშობს შემდგომი ემიგრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას: დაბრუნებულმა ემიგრანტმა, რომელიც აპირებს კიდევ ერთხელ გაემგზავროს საზღვარგარეთ, იცის, თუ რა ელოდება მას იქ, როგორ

უნდა მოიქცეს იქ და ნაკლებად დგას ფსიქოლოგიური პრობლემების წინაშე. ამასთანავე, ის, რომ ოჯახში დაბრუნებული ემიგრანტია, როგორც ჩანს, ასევე ახდენს გავლენას ოჯახის სხვა წევრების სურვილზე, რომ წავიდეს საზღვარგარეთ.

3.2.8. ფულადი გზავნილები

ემიგრანტების მიერ გამოგზავნილი ფულადი გზავნილები საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და აუმჯობესებს ემიგრანტების ოჯახების ეკონომიკურ მდგომარეობას. ამასთანავე, როგორც სხვა ქვეყნებში ჩატარებული გამოკვლევები მოწმობს, ფულადი გზავნილების როლი შესაძლოა გაცილებით უფრო სერიოზული იყოს იმ შემთხვევაში, თუ მათი გამოყენება არ მოხმარდება მხოლოდ ყოველდღიური საჭიროებების დაკმაყოფილებას. ფულად გზავნილებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი მაკრო-ეკონომიკური როლი ითამაშონ. იმ შემთხვევაში, თუ მოხდება მათი ინვესტირება წარმოებაში, ფულად გზავნილებს შეუძლიათ დაბანდებულ თანხაზე 3-ჯერ მეტი მოგება მოიტანონ[96]. ცნობილია, რომ ლათინო-ამერიკელი ემიგრანტების ფულადი გზავნილების 5-დან 10%-მდე ხმარდება ან ინვესტიციებს, ან ინახება ბანკებში დანაზოგის სახით[97]. ხოლო თუ ფულადი გზავნილების წილი ქვეყნის შიდა ეროვნულ პროდუქტში 10%-ით გაიზრდება, ეს 1.6%-თ შეამცირებს იმ მოსახლეობის რაოდენობას, რომელსაც დღეში 1 ამერიკულ დოლარზე ნაკლები შემოსავალი აქვს[98].

ბოლო დროის მანძილზე საქართველოში საბანკო სისტემის გავლით შემოსული ფულადი გზავნილების ოდენობა წლიდან წლამდე იზრდება. ამრიგად, 2000 წელში ფულადი გზავნილების ოფიციალურად

[96] N. Bielefeld, A. Koninh, "International Remittances: Delivering Fair Value", in: S. M. Maimbo, D. Ratha (Eds.), *Remittances: Development Impact and Future Prospects*, p. 195.
[97] M. Orozco, "Transnationalism and Development: Trends and Opportunities in Latin America", in: S. M. Maimbo, D. Ratha (Eds.), *Remittances: Development Impact and Future Prospects*, p. 325.
[98] R. Adams, J. Page, "The Impact of International Migration and Remittances on Poverty" in: S. M. Maimbo, D. Ratha (Eds.), *Remittances: Development Impact and Future Prospects*. (World Bank Publications, Washington, D.C. 2005), p. 290-291.

რეგისტრირებული ოდენობა 53 მილიონი აშშ დოლარი იყო, ხოლო 2006 წლის მონაცემებით მათ 500 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბეს[99], ანუ, საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 7%[100]. ეს, როგორც აღვნიშნეთ, ოფიციალური მონაცემებია, ხოლო რეალურად რამდენს შეადგენს ფულადი გზავნილების ოდენობა არაოფიციალური არხების ჩათვლით, სპეკულაციების სფეროს მიეკუთვნება, და, როგორც წესი, სხვადასხვა სახის შეფასებებთან გვაქვს საქმე. მაგალითად, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2006 წელს საქართველოში გამოგზავნილმა ფულადმა გზავნილებმა საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 10%-მდე შეადგინა[101].

თუ გავითვალისწინებთ, იმას, რომ თიანეთელი ემიგრანტების უმრავლესობა საზღვარგარეთ იმისათვის მიდის, რომ იმუშაოს და მატერიალური დახმარება აღმოუჩინოს თავიანთ ოჯახებს, არ უნდა იყოს გასაკვირი ისიც, რომ ემიგრანტების ოჯახების 71%, ანუ თიანეთის ოჯახების 20%, სხვადასხვა პერიოდულობით, სხვადასხვა ოდენობით, სხვადასხვა მიზნებისათვის, მაგრამ მაინც იღებს მატერიალურ დახმარებას თავისი ოჯახის წევრებისაგან, ვინც საზღვარგარეთ მუშაობენ.

თიანეთელი ოჯახების უმრავლესობისათვის მათი ნათესავების მიერ გამოგზავნილი ფულადი თუ სხვა სახის დახმარება შემოსავლის უაღრესად მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. შეუძლებელია იმ აზრის უარყოფა, რომ ფულადი გზავნილები საგრძნობლად აუმჯობესებენ ემიგრანტების ოჯახების ეკონომიკურ მდგომარეობას, რის შედეგადაც ოჯახებს საშუალება ეძლევათ გაზარდონ ხარჯები არა მარტო კვების პროდუქტებზე, არამედ განათლებაზე და ჯანდაცვაზე. შესაბამისად,

---

[99]საქართველოს ეროვნული ბანკი, "მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი". ¹ 4 (94), იანვარი-დეკემბერი, (თბილისი 2006), გვ. 132.

[100] თუმცა, ოფიციალური არხებით გადმოგზავნილი ფულადი გზავნილების ოდენობის ზრდა ნაწილობრივ აიხსნება იმითაც, რომ ბოლო წლების მანძილზე საქართველოში საკმაოდ განვითარდა საბანკო სისტემა და ამავდროულად, შემცირდა ფულადი გზავნილების ოპერატორების მიერ დაწესებული ტარიფები.

[101] World Bank. *Migration and Remittances in Eastern Europe and the Former Soviet Union*. (World Bank Publications 2006), p. 5-6.

თიანეთში ფულადი გზავნილები წარმოადგენენ სიღარიბესთან ბრძოლის მნიშვნელოვან ფაქტორს.

თიანეთელი ემიგრანტები თავის ოჯახებს უწევენ არა მარტო ფინანსურ, არამედ სხვა სახის დახმარებასაც – ისინი ეხმარებიან პროდუქტებით, ტანსაცმლით და საყოფაცხოვრებო ტექნიკითაც კი. ეს შემდეგი ცხრილიდანაც ჩანს. 236 ემიგრანტისგან, რომელიც აგზავნის დახმარებას, მათი უმრავლესობა სწორედ მატერიალურად ეხმარება თავის ოჯახებს.

ცხრილი 17.

ბოლო 12 თვის მანძილზე რა დახმარება მიიღო თქვენმა ოჯახმა?[102]

დახმარების სახეობა	*სიხშირე*	*%*
ფული	229	97
ტანსაცმელი	107	45
პროდუქტი	50	21
საყოფაცხოვრებო ტექნიკა	25	11
სულ:	411	174

რეგულარული გზავნილების გარდა, ემიგრანტები ახერხებენ საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხების აკუმულირებას, რომ შეიძინონ/გაარემონტონ ბინები თბილისსა და თიანეთში, შეიძინონ მანქანები ან დაფარონ შვილების სწავლასთან დაკავშირებული ხარჯები.

> [პირველი ხელფასის] *მთლიანი თანხა აქ გადმოვრიცხე, რომ ეს დამშეული ოჯახი ცოტა ფეხზე დამეყენებინა, შემდეგ უკვე ნელ-ნელა, ალბათ, 300-400 დოლარი* [თვეში]. *... მე მაგალითად, 2-ჯერ გამოვგზავნე* [ამანათი]. *ბევრი გზავნიდა, იქ რომ აჩუქებდნენ რაღაც-რაღაცეებს და ჩემმა შვილებმა ეგენი არ გვჭირდებაო და ეგენი არ მესაჭიროებოდა, ან რაღაცა ისეთს ვიყიდიდი, აი, ვიდეო, დივიდი, თეთრეული, აი, ესეთებს რაღაცეებს იქაურებს, ესეთ რამეებს ვგზავნიდი. ... ბინა შევიძინე, თბილისში, მოვახერხე ეგ როგორღაც სანამ გაძვირდებოდა.*
>
> *ბ. ქალი, 49 წლის, ისრაელი*

> *თავისთავად ცხადია, აი, ეს ეხლა 3 წელი, იქ ვიყავი, ოჯახი შევინახე, გარდა ამისა, ჩემი და გავაგზავნე საბერძნეთში ჩემი ფულით, ჩემი რძალი, ჩემი ძმის ცოლი გავაგზავნე საბერძნეთში, დედაჩემი, მამაჩემი,*

[102] ამ შეკითხვაზე შესაძლებელი იყო რამოდენიმე პასუხის გაცემა.

ჩემი შვილები, ყველა ვაარსებე. აი, ნინიკო [შვილი] *წელს ამთავრებს* [უნივერსიტეტს] *და ამის შესატანი ფული შევიტანე, და ელემენტალური მოვიწყეთ* [პირობები – ცალკე აიშენა თავისსავე ეზოში ერთსართულიანი სახლი], *რძალი მოვიყვანე და ცალ-ცალკე ვცხოვრობთ, რომ ერთმანეთთან არ წავკამათდეთ და ნერვები რომ არ ვუშალოთ ერთმანეთს...*

ლ. ქალი, 52 წლის, საბერძნეთი, ისრაელი

როგორც ვხედავთ, თიანეთელი ემიგრანტების დიდი ნაწილი ეხმარება თავის ოჯახებს, და, როგორც ქვემოთ მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, ამას საკმაოდ რეგულარულად აკეთებს.

3.2.8.1. ფულადი გზავნილების სიხშირე

როგორც შემდეგი ცხრილიდან ჩანს, თიანეთელი ემიგრანტების დიდი ნაწილი, რომელიც თავის ოჯახებს ეხმარება, ამას საკმაოდ რეგულარულად აკეთებს – თვეში ერთხელ ან 2-3 თვეში ერთხელ.

ცხრილი 18.

თიანეთელი ემიგრანტების ფულადი გზავნილების სიხშირე (%)[103]

	%
დაახლოებით თვეში ერთხელ ან უფრო ხშირად	29
დაახლოებით 2-3 თვეში ერთხელ	40
დაახლოებით წელიწადში 3-4-ჯერ	18
დაახლოებით წელიწადში 1-2-ჯერ	13
სულ:	100

დახმარების გამოგზავნა სხვადასხვა არხის მეშვეობით ხდება. საბერძნეთის შემთხვევაში, სადაც იმყოფება თიანეთელი ემიგრანტების უმრავლესობა, დამყარებულია რეგულარული და საკმაოდ ეფექტური სატრანსპორტო კავშირი თიანეთსა და ათენს შორის. თიანეთის მაცხოვრებლებს ყოველკვირეულად აქვთ საშუალება გაუგზავნონ "თავის ემიგრანტებს" წერილები და ამანათები და მიიღონ მათგან წერილები, ამანათები და ფულადი გზავნილები თიანეთშივე.

[103] ეს და მომდევნო ცხრილები დათვლილია მხოლოდ იმ ოჯახებისათვის, რომლებიც იღებენ მატერიალურ დახმარებას საზღვარგარეთიდან.

ძალიან ბევრი ოფისებია იქ [ათენში], *საიდანაც მანქანა მოდის საქართველოში. ჯერ-ერთი, თიანეთშიც მოდის, ჩემ წინ, ახლო ცხოვრობს ის ბიჭი, ვისაც მოაქვს აქ, თიანეთში, ჩანთები და ძალიან იოლია, მაგ მხრივ საბერძნეთში, ძალიან, ისეთი, რომ შენი თავი თიანეთში გგონია. ჯერ ის რო, მთელი თიანეთი იქ არი და ეს ავტობუსი ყოველ 3-4 დღეში მიდის-მოდის, მიდის-მოდის და ერთი კი არა, ძალიან ბევრი...*

მ. ქალი, 49 წლის, საბერძნეთი

მ., რომელიც ორჯერ იყო საბერძნეთში, არა მარტო მატერიალურად ეხმარებოდა თავის ოჯახს, არამედ თითქმის ყოველ თვე გზავნიდა ამანეთებს პროდუქტით და ტანსაცმლით:

პ: [ფულს] *ძალიან ცოტას კი, გოგოს როგორ არ ვუგზავნიდი, სწავლის ფულსაც ვუგზავნიდი, რაღარ-რაღაცეებსაც ვუგზავნიდი იქიდან. ბიჭი უკვე ჩემ აქ არ ყოფნაში საფარნგეთში წავიდა და ეგ ერთიღა მყავდა შესანახი და ძალიან ეკონომიით, ისე რომ კვირიდან-კვირამდე.*
შ: ამანათებს?
პ: ამანათებს ვაგზავნიდი, კი.
შ: როგორი სიხშირით?
პ: ვგზავნიდი 2 კვირაში ერთხელ, 3 კვირაში ერთხელ. აი, ზეთს გამოუგზავნიდი ხოლმე, აი, ძალიან მიეჩვია იქაურ ზეთს და რო ვხვდებოდი, გაუთავდებოდა, ისევ ვუგზავნიდი, ნახევარზე მარხულობს კიდევ და იქიდან სამარხვო პროდუქტებს ვუგზავნიდი.
შ: ტანსაცმელს?
პ: ტანსაცმელს იქ ძალიან იაფად ვყიდულობდით, ჩინელებისგან, კაი რაღაცა და ძვირფასი ნამდვილად არაფერი.

მ. ქალი, 49 წლის, საბერძნეთი

ქ., საბერძნეთიდან არა მარტო თავის ოჯახს, არამედ თავის მამიდაშვილს და ძმიშვილებს ეხმარებოდა:

ვინახავდი ჩემს დედამთილს თავისი მომვლელით, მე ვუხდიდი ერთი წელი, ცოტ-ცოტა ვეხმარებოდი ჩემს გაჭირვებულ მამიდაშვილს, რა თქმა უნდა, დედაჩემს, ჩემს ძმისშვილებს, ჩამოვიტანე რაღაც გარკვეული თანხა ...

ქ., ქალი, 49 წლის, საბერძნეთი.

მატერიალური დახმარების გარდა, ქ. (ქალი, 49 წლის, საბერძნეთი) ორ კვირაში ერთხელ ამანათებსაც გზავნიდა – ძირითადად ზეთს, ტანსაცმელს და ფულს, თუ "*ცოტა იყო, 100 ევრო*", "*ოღონდ ჩუმად*".

თუმცა, იყო შემთხვევები, როდესაც ქ.-მ ამანათით მუსიკალური ცენტრი, კომპიუტერი, და დივიდი გამოგზავნა.

ამ მომსახურებით სარგებლობისას წერილების გაგზავნა/მიღება უფასოა, ხოლო ფულადი გზავნილის გამოგზავნა თანხის მხოლოდ 5% ჯდება, რაც საგრძნობლად იაფია ოფიციალური ფულადი გზავნილების ოპერატორების ტარიფებთან შედარებით. თუ მცირე თანხებზეა საუბარი – 50 ევრომდე – ზოგიერთი ემიგრანტი ფულს წერილებში დებს – როგორც წესი ფული არ იკარგება და ყველაფერი ადრესატამდე უვნებლად ჩამოდის. ეს სერვისი განსაკუთრებით მოსახერხებელია, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თიანეთში არის მხოლოდ ერთად ერთი ქართული ბანკის ფილიალი, რომელიც არ არის აღჭურვილი სათანადო ტექნიკით, რათა მოახდინოს ოფიციალური გზებით გადმორიცხული ფულადი გზავნილების გაცემა. ამიტომ თიანეთელებს უწევთ თბილისში სიარუალი, რაც დროის დაკარგვასთან ერთად (თბილისი თიანეთიდან 2 საათითაა დაშორებული) დამატებით ფინანსურ ხარჯებთანაც არის დაკავშირებული.

სხვა ქვეყნების შემთხვევაში (ირლანდია, იტალია, აშშ, გერმანია), რომლებთანაც არ არის დამყარებული ასეთი კავშირი, უფრო ხშირად ხდება ფულადი გზავნილების ოფიციალური არხების გამოყენება. შვედეთში მყოფი ერთ-ერთი ემიგრანტი, 42 წლის ვ., "ვესტერნ იუნიონის" მეშვეობით გზავნიდა ფულად დახმარებას:

> *პ:* [გზავნიდა] *ვესტერნით და თვეში ერთხელ, ვესტერნით 10% იყო გადასახადი – 1000 დოლარზე – 100 დოლარი, 500-ზე – 50.*
> *მ: და თქვენ საშუალოდ თვეში რამდენს უგზავნიდით ხოლმე თქვენს ოჯახს?*
> *პ: საჭმელი გინდა, ჩაცმა გინდა* [ემიგრაციის ქვეყანაში], *მოქუჩება გინდა ერთი-ორი კაპიკის და აქ* [თიანეთში] *150 დოლარს ვუგზავნიდი.*
>
> ვ. მამაკაცი, 42 წლის, შვედეთი

ამავდროულად, შვედეთიდან თიანეთამდე ამანათის გამოგზავნაც არ წარმოადგენდა პრობლემას, და ვ., როგორც წესი, თითქმის ყოველ თვე უგზავნიდა თავის ოჯახს ამანათს, რომელიც ასევე თიანეთამდე

ჩამოდიოდა. თუმცა შვედეთიდან გამოგზავნილი ამანათები ყოველთვის უვნებლად ვერ აღწევდა ადრესატამდე:

პ: შედიხარ მაღაზიაში, ყიდულობ ყუთს, ღირს 27 ევრო, ჩააწყობ რაც გინდა 10 კილოს და გამოგზავნი.
შ: რა ჯდება გამოგზავნა?
პ: იმ ყუთის ღირებულებაში შედიოდა და თიანეთში სახლში მოჰქონდათ.
შ: დაახლოებით რამდენ ხანში ჩამოდიოდა ხოლმე?
პ: 2 კვირაში.
შ: და როგორ, თვეში ერთხელ უგზავნიდით თუ რამდენჯერ?
პ: კი, თვეში ერთხელ. კი, ერთხელ იყო, რომ ფული ჩავდე და დაიგვიანა პასელკამ, 2 თვე არ მოვიდა, მოაყუჩეს თბილისში, მივედი მაღაზიაში და დავწერე, რომ დაებრუნებინათ ჩემი ამა და ამ თანხის პასელკა, ამ წუთშიო, გადარეკეს, გადმორეკეს, გამოგზავნეს კომპიუტერული შეტყობინება ესა და ეს პასელკა სასწრაფოდ მივიდეს ამა და ამ ადგილზე და ამის მერე სამ დღეში მოვიდა <...>
ესეთი რამე იქ არა ხდება. დედაჩემს უყვარდა იქაური ყავა, რამდენჯერ გამოვგზავნე, ჩავდე პასელკაში, დედაჩემმა – არ მიმიღიაო. პლიტკებს ჩავაწყობდი – არ მიგვიღია, არ მიგვიღია. ბოლოს დავწერე პასელკაზე, "თუ ნამუსი გაქ, ამდენი გაქ ამოღებული, და აღარ ამოიღო". ვიღაცა ხარ, მაინც ამოიღო, აესენი ვართ, ქართველები.

ვ. მამაკაცი, 42 წლის, შვედეთი.

თ.-ს ორივე შვილი, რომლებიც ირლანდიაში იმყოფებიან, ფულად დახმარებას ასევე "ვესტერნ იუნიონის" დახმარებით გზავნიან:

პ: რა ვიცი, თამრო, 100 დოლარს სისტემატიურად გვიგზავნიან და თუ რაღაც დღესასწაულია ან ექიმებზე დაგვჭირდა ან წამალზე, როგორც დავრეკავთ, პრობლემა არ არის.
შ: და თბილისში იღებთ ხოლმე ამ ფულს?
პ: კი, ნომერს ჩაგვაწერინებენ და ისე ვიღებთ.

თ., ქალი, 67 წლის.

გერმანიაში წასული ემიგრანტები ყველაზე ნაკლებად ეხმარებიან თავიანთ ოჯახებს, რაც გამოწვეულია იმით, რომ მათი უმრავლესობა გერმანიაში Au-Pair-ის პროგრამით ან სასწავლებლადაა წასული. Au-Pair-ის პროგრამით გათვალისწინებული ანაზღაურება თვეში დაახლოებით 300 ევროს შეადგენს, რაც, მიუხედავად იმისა, რომ ემიგრანტებს კვებაზე და საცხოვრებელზე, და ზოგ შემთხვევაში ტრანსპორტზეც არ ეხარჯებათ, მაინც "ჯიბის ფულად" რჩება და ემიგრნატების ოჯახების წევრების

აზრით, არ აძლევს მათ იმის საშუალებას, რომ დაეხმარონ თავიანთ ოჯახებს თიანეთში.

შ: და სანამ გერმანიაში იყო, სიტყვაზე, ახერხებდა რომ რამენაირად ოჯახს დახმარებოდა?
პ: არა, იქ ოფიციალურად ანაზღაურება ჰქონდა 200 ევრო [2002 წელი], *არა, ერთხელ კი მოახერხა, რამდენი გამოგზავნა? მე მგონი, 200 ევრო გამოგვიგზავნა, მხოლოდ საიდან მოახერხა...*

ლ. ქალი, 49 წლის

გ.-ს შვილი ოჯახშიც მუშაობს ბავშვის მომვლელად და უნივერსიტეტშიც სწავლობს – სწორედ ამის გამო, ის ვერ ახერხებს დამატებითი სამუშაოს შოვნას, და მიუხედავად იმისა, რომ ის უკვე მე-6 წელია, რაც გერმანიაშია, ძალიან იშვიათად ახერხებს ოჯახის დახმარებას:

ვერ ახერხებს დახმარებას, კი, გამოუგზავნია ჩემთვის, მაგალითად, 50 ევრო, ეპიზოდურად, ყოფილა, 100-ც გამოუგზავნია, მაგრამ სუ რო მივათვალოთ ერთმანეთს, 4-5-ჯერ, მეტჯერ არა.

გ. ქალი, 60 წლის

შ: და რაც წასულია, რაღაცნაირად ოჯახს თუ გეხმარებათ, თუ გიგზავნით რამეს?
პ: არაფერს, თავისთვის იგროვებს, არაფერს
შ: ხომ არ იცით რისთვის?
პ: ბინა უნდა თბილსში
შ: და უმუშევარიც არ ყოფილა ალბათ, რაც წასულია, სულ იმ ოჯახშია
პ: არა, უმუშევარი [არა] *იმიტო იყო – ის ოჯახი 300 ევროს უხდიდა, იქიდან 170 ევროს* [სასწავლო] *კურსებზე იხდიდა, ახლა გზის ფულიც ხომ უნდოდა რომ მისულიყო და მოსულიყო და ფაქტიურად, რო არა ჩემი დისშვილები* [ლ-ს სამი დიშვილიც გერმანიაშია და მისი შვილი და დისშვილები ერთად ცხოვრობენ], *ალბათ, ვერც იარსებებდა იმ 300 ევროთი.*

ლ. ქალი, 56 წლის

საერთო ჯამში ფულადი გზავნილების მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც არაფორმალური გზით ხვდება თიანეთში. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ფულადი დახმარების გადაგზავნის რომელ საშუალებას ანიჭებენ უპირატესობას თიანეთელი ემიგრანტები:

ცხრილი 19.

ბოლო 12 თვის მანძილზე როგორ გზავნიდა თქვენი ოჯახის საზღვარგარეთ მყოფი წევრი ფულად დახმარებას?[104]

	სიხშირე	*%*
საბანკო გადარიცხვები	39	19
ფულადი გზავნილები (Western Union, MoneyGram, Contact, Anelik და ა.შ.)	54	26
პირადად ჩამოჰქონდა	2	1
ატანდა ნაცნობს/მეგობარს/ნათესავს	25	12
ატანდა კურიერს/აგენტს/ავტობუსის მძღოლს	120	57
მიჭირს პასუხის გაცემა	2	1
სულ:	242	116

იმ ოჯახების 74%, ვინც იღებს ფინანსურ დახმარებას საზღვარგარეთიდან, თვლის, რომ მათი მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდა მას შემდეგ, რაც მათი ოჯახის წევრი/წევრები წავიდნენ საზღვარგარეთ სამუშაოდ. მნიშვნელოვანია ის განსხვავება, რომელიც შეინიშნება მატერიალური მდგომარეობის შეფასებებში იქიდან გამომდინარე, თუ რამდენად რეგულარულია ის მატერიალური დახმარება, რომელსაც ოჯახები იღებენ. ანალოგიურად, იმის შეფასება, თუ როგორ შეიცვალა ოჯახის მატერიალური მდგომარეობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ოდენობის დახმარებას იღებს ესა თუ ის ოჯახი.

ცხრილი 20.

როგორ შეიცვალა თქვენი ოჯახის მატერიალური მდგომარეობა მას შემდეგ, რაც თქვენი ოჯახის წევრ(ებ)ი წავიდნენ საზღვარგარეთ?
(% შესაბამის ჯგუფთან)

	რეგულარულად იღებენ დახმარებას (მინიმუმ 2-3 თვეში ერთხელ)	ფულად დახმარებას იღებენ დროდადრო (წელიწადში 2-4-ჯერ ან უფრო იშვიათად)
გაუმჯობესდა	84	52
ისეთივე დარჩა	16	40
გაუარესდა	0	5
მიჭირს პასუხის გაცემა	0	3

[104]ამ შეკითხვაზე შესაძლებელი იყო რამოდენიმე პასუხის გაცემა.

ბოლო 12 თვის მანძილზე ფულადი გზავნილების ოდენობამ თიანეთის ერთ ოჯახზე, რომელიც იღებს ასეთ დახმარებას, 1320 ევრო შეადგინა (თვეში საშუალოდ 110 ევრო), მაგრამ ეს თანხა საგრძნობლად განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. ამრიგად, ემიგრანტები, რომლებიც ირლანდიაში ცხოვრობენ და მუშაობენ, საშუალოდ, ყოველწლიურად თავის ოჯახებს 1995 ევროს უგზავნიან, ისრაელში მყოფი ემიგრანტები – 1772 ევროს და საბერძნეთში მყოფნი – 1224 ევროს. თუ გავითვალისწინებთ, რომ საბერძნეთში იმ ემიგრანტების საშუალო თვიური შემოსავალი, რომლებიც მოხუცებს და ბავშვებს უვლიან, 700-800 ევროს შეადგენს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ისინი თავის ოჯახებს თავისი ყოველწლიური შემოსავლის 15% უგზავნიან. ფულადი დახმარების ოდენობა, რომელსაც მამაკაცი ემიგრანტები გზავნიან, გაცილებით დიდია, ვიდრე ქალი ემიგრანტების მიერ გამოგზავნილი დახმარება, რაც, ჩვენი აზრით, უკავშირდება ასევე იმასაც, რომ ირლანდიაში, სადაც უფრო მეტი მამაკაცი ემიგრანტია, ხელფასები გაცილებით მაღალია, ვიდრე საბერძნეთში, სადაც თიანეთელი ქალი ემიგრანტების უმრავლესობა მუშაობს.

ამრიგად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 12 თვის განმავლობაში თიანეთელი შრომითი ემიგრანტების ფულადი გზავნილების ოდენობამ არანაკლებ 280 ათასი ევრო შეადგინა.

3.2.8.2. ფულადი გზავნილების დანიშნულება და გამოყენება

თიანეთელი ემიგრანტების ფულადი გზავნილები მათი ოჯახების შემოსავლების საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. საყურადღებოა, რომ იმ ოჯახების საშუალო თვიური შემოსავალი, რომლებიც იღებენ დახმარებას თავისი ემიგრანტებისგან (297 ლარი) 2.27-ჯერ აღემატება იმ ოჯახების საშუალო თვიურ შემოსავალს, რომლებიც არ იღებენ ამგვარ დახმარებას (131 ლარი).

ვ.-ს საზღვარგარეთ ორი შვილი ჰყავს, ორივემ ბინა იყიდა თბილისში და გაარემონტა. ასევე, ერთ-ერთმა შვილმა თიანეთის ბინაც გაარემონტა. იმის მიხედვით, ვისი ბინა "რემონტდებოდა" ოჯახი მისგან იღებდა ფულად დახმარებას:

> *მ.-სას* [უფროსი შვილი] *ვსვამთ, ვჭამთ, ყველაფერი იმის თანხით კეთდება. იქ, თბილისში რო ვიყავი და ნ.-ს* [უმცროსი შვილი] *სახლს ვაკეთებდი, ჯერ იმის ფულსა ვხარჯავდი, რო დამთავრდება აქა* [თიანეთში არემონტებს სახლს მ.-სთვის] *და დავიწყებ ნორმალურ ცხოვრებას, ესე ვიტყვი – 100 დოლარს შენ გამომიგზავნი, 100 ევროს შენა და ჩვენ გვეყოფა საჭმელად, მეტი არ მინდა არც ჩასაცმელი მინდა, არც დასახური მინდა.*
>
> ვ. ქალი, 72 წლის.

მიღებული ფულადი დახმარება ძირითადად ეგრეთწოდებულ "არაპროდუქტიულ მოხმარებაზე" იხარჯება – ამ თვალსაზრისით, თიანეთელი ემიგრანტების ოჯახები თითქმის არაფრით არ განსხვავდებიან ემიგრანტების ოჯახებისგან მთელ მსოფლიოში[105]. ქვემოთ მოყვანილია ცხრილი, საიდანაც ჩანს, რომ ემიგრანტების მიერ გამოგზავნილი ფულადი დახმარების რეალურსა და გამიზნულ მოხმარებას შორის ფაქტიურად არ არის განსხვავება.

ცხრილი 21.

ბოლო 12 თვის მანძილზე თქვენი ოჯახის საზღვარგარეთ მყოფი წევრ(ებ)ის მიერ გაწეული ფინანსური დახმარება რა ტიპის ხარჯებისთვის იყო გამიზნული/რეალურად რაში დაიხარჯა?[106] (%)

	იყო გამიზნული	რეალურად დაიხარჯა
პირველადი მოხმარების საქონლის / ტანსაცმლის / პროდუქტების შეძენა	36	37
მკურნალობის ხარჯების დაფარვა	17	18
ვალის დაფარვა	14	14
ბინის რემონტი / მშენებლობა / შეძენა	9	8
განათლების მიღებასთან დაკავშირებული	8	7

[105] C. Sander, S. M. Maimbo, "Migrant Remittances in Africa: A Regional Perspective", in: S. M. Maimbo, D. Ratha (Eds.), *Remittances: Development Impact and Future Prospects*, p. 63.

[106] ცხრილში მოყვანილია პასუხების მხოლოდ ის ვარიანტები, რომლებიც დაასახელა გამოკითხულთა მინიმუმ 2%-მა.

ხარჯების დაფარვა		
სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვა	4	5
საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენა	3	3
ბინის ქირა /მიწის იჯარა	2	2
ავტომობილის შეძენა	2	2

უძრავი ქონების შეძენა თიანეთელი ემიგრანტების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარი ინვესტიციაა – "წარმატებული" ემიგრაციის შემთხვევაში ისინი, როგორც წესი, ყიდულობენ ბინებს თიანეთსა და თბილისში, არემონტებენ და, ზოგ შემთხვევაში, შემდეგ აქირავებენ და იყენებენ როგორც დამატებითი შემოსავლის წყაროს. ფაქტიურად არ ხდება თიანეთის მაცხოვრებლების მიერ მიღებული ფულადი გზავნილების ინვესტირება წარმოებაში. მხოლოდ სამ ოჯახში იქნა გამოყენებული ფულადი დახმარება სამეწარმეო საქმიანობის დასაწყებად.

თუმცა ნათელია, რომ ეკონომიკის განვითარებისთვის უფრო მნიშვნელოვანია საწარმოო ინვესტიციების, ვიდრე მოხმარების ოდენობა, სწორედ მოხმარებაზე იხარჯება ფულადი დახმარების უდიდესი ნაწილი, რაც გამოწვეულია თიანეთელი ემიგრანტების ოჯახების საკმაოდ დაბალი ცხოვრების დონით, და სწორედ ამიტომ, ამ ეტაპზე მათთვის პირველხარისხოვანია ბაზისური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

მიუხედავად იმისა, რომ თიანეთელი ემიგრანტების მიერ გამოგზავნილი მოხმარებაზე დახარჯული ფულადი დახმარების მაკრო-ეკონომიკური ეფექტი არ არის მნიშვნელოვანი, ეკონომისტები მაინც საუბრობენ არაპროდუქტიული მოხმარების დადებით "მრავლად ეფექტზე" (multiplying effect), რომელიც ეკონომიკის განვითარებაზე პოზიტიურად მოქმედებს. "მრავლადი ეფექტის" მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს მოხმარების ოდენობის ზრდა; ინვესტიციები უძრავ ქონებაში და/ან ბინების რემონტები; განათლებასთან და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული ხარჯები და ა.შ.; ყოველივე ეს გამოიხატება ვაჭრობის

ზრდაში, მომსახურების სფეროს შექმნასა და განვითარებაში, უმუშევრობის დონის შემცირებაში და ხელფასების ზრდაშიც კი.

ამრიგად, თიანეთელი ემიგრანტების ფულადი დახმარებები უაღრესად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბევრი თიანეთელი ოჯახის ცხოვრებაში. დახმარების საკმაოდ დიდი ნაწილი მიდის ადრესატამდე არაფორმალური საშუალებების გამოყენებით და იხარჯება ყოველდღიური, პირველადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ანუ, "არაპროდუქტიურ მოხმარებაზე", რაც გამოწვეულია არა მარტო მოსახლეობის ცხოვრების დაბალი დონით, არამედ რაიონში არსებული უაღრესად შეზღუდული საინვესტიციო შესაძლებლობებით და ადგილობრივ მოსახლეობაში სამეწარმეო უნარ-ჩვევების არ არსებობით.

თავი IV. ემიგრაციული ქსელები

4.1. "ჩვენიანი" საზღვარგარეთ

როგორც ვნახეთ, თიანეთიდან ემიგრაციის დონე საკმაოდ მაღალია, რაც არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ და მხოლოდ იმით, რომ რაიონში მძიმე ეკონომიკური ვითარება და უმუშევრობის მაღალი დონეა. როგორც ჩვენ ქვემოთ ვუჩვენებთ, თიანეთიდან ემიგრაციის მაღალი დონის შენარჩუნებას ხელს უწყობენ თიანეთელი ემიგრანტების ემიგრაციული ქსელები, რომლებიც სხვადასხვა სახის დახმარებას უწევენ პოტენციურ ემგირანტებს საზღვარგარეთ გასამგზავრებლად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ემიგრაციასთან დაკავშირებული ხარჯები მაქსიმალურია "პირველი ტალღის" ემიგრანტებისათვის, მაშინ, როდესაც ისინი მიემგზავრებიან ისეთ ქვეყნებში, სადაც მათ არ ჰყავთ არც ნაცნობები, არც მეგობრები და არც ნათესავები, ვისი დახმარების იმედიც შეიძლება ჰქონდეთ. ფუძნდებიან რა ახალ ქვეყანაში, "პირველი ტალღის" ემიგრანტები, რა თქმა უნდა, არ წყვეტენ ურთიერთობებს თავის ოჯახებთან, ნათესავებთან და მეგობრებთან, რომლებიც სამშობლოში დარჩნენ. ბოლო დროს განვითარებული საკომუნიკაციო საშუალებების წყალობით ემიგრანტები რეგულარულად ურეკავენ ახლობლებს, ხოლო ზოგ შემთხვევაში კავშირს ინტერნეტის საშუალებითაც კი ამყარებენ, უზიარებენ ერთმანეთს ახალ ამბებს და ა.შ.

დროთა განმავლობაში "პირველი ტალღის" ემიგრანტები ახერხებენ საკმარისი რესურსების აკუმულირებას, რომლითაც შეუძლიათ დაეხმარონ სამშობლოში დარჩენილ ახლობლებს, ნათესავებს და მეგობრებს იმ შემთხვევაში, თუ ისინიც გადაწყვეტენ საზღვარგარეთ გამგზავრებას. ემიგრაციის ქვეყნის შერჩევა პოტენციური ემიგრანტების მხრიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე, მაგრამ როგორც კვლევებიდან ჩანს, ემიგრაციული ქსელები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ პოტენციური ემიგრანტების მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე და სწორედ ამიტომ პოტენციური

ემიგრანტები ხშირად ირჩევენ იმ ქვეყნებს, სადაც უკვე არიან წასულები მათი ახლობლები, ნათესავები თუ მეგობრები. ჩვენი კვლევის შედეგებიც ამას ადასტურებს.

მაგალითად, ლ.-ს ქალიშვილი ლეგალურად წავიდა გერმანიაში პროგრამა Au-Pair ფარგლებში, დაჰყო იქ ერთი წელი, ხოლო ვიზის ვადის გასვლამდე რამდენიმე კვირით ადრე გადავიდა საბერძნეთში, რადგან საბერძნეთში ოჯახის ახლობელი ცხოვრობდა:

პ: კი, კი. ჩვენი ახლობელია, დედაჩემის ბიძაშვილის შვილი, აქაურია, აქედანვე, რო გახედავ ჩვენი ეზოდან, იმათი სახლი ჩანს. ის ქალი არი აქ [თიანეთში] *გამოთხოვილი, დედაჩემის ბიძაშვილი და თითქმის მაგის* [შვილის] *მასწავლებელი იყო ის ქალი, მის შვილებთან და ოჯახთან ახლოს არის და ამიტომ იმედიანად გავუშვი იმასთან, რომ იტყვიან.*
შ: ანუ, საბერძნეთში რომ მიდიოდა, თქვენ იცოდით, რომ იმ თქვენს ახლობელთან უნდა მისულიყო?
პ: კი, კი. მე ეს უკვე წინასწარ მქონდა ყველაფერი გათვლილი, ის ქალი უწევდა მეურვეობას.
შ: ის თქვენი ახლობელი საბერძნეთში რომ არ ყოფილიყო და ყოფილიყო ესპანეთში ან იტალიაში?
პ: ალბათ იქ გავუშვებდი, იმიტომ რომ სადაც უკეთესი საახლობლო ეყოლებოდა, იქ გავუშვებდი, იმიტომ რომ ესე ნამდვილად ვერ გავუშვებდი ზედამხედველობის გარეშე, ზედამხედველობა ეხლა შეიძლება ცუდი ნათქვამია, მაგრამ, ირა [ახლობელი] *იცნობს ნატოს* [შვილი] *ბუნებას, არ არის ისეთი ბავშვი, მაგრამ ზუსტად აი, ამიტომ მეშინოდა, რო, რა ვიცი, საზღვარგარეთია და საზღვარგარეთაც საშიშია უკვე ყველაფერი, ასე რომ, ეგ დიდი სტიმულია, რო იქ ხვდებოდა ვიღაც ახლობელი.*

ლ. ქალი, 50 წლის

საბერძნეთში ჩასვლის შემდეგ ლ.-ს შვილს დახვდა მისი ახლობელი, დააბინავა თავისთან და შემდეგ სამსახურის მოძებნაშიც დაეხმარა.

ნ.-ს საბერძნეთში წასვლა სხვა ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვნად განაპირობა იმან, რომ მას იქ ბევრი ნათესავი ყავდა, რომლებიც მას საჭიროების შემთხვევაში დახმარებას აღმოუჩენდნენ:

შ: და რატომ გადაწყვიტეთ საბერძნეთში წასულიყავით?

პ: აი, სხვა ის, ისრაელი და ამერიკა ჩემთვის მიუწვდომელი იყო და დიდი ხნით არ ვაპირებდი წასვლას და თან შედარებით ახლო იყო, თან ნათესავები გვყავდა იქა და ისინიც მომეხმარნენ ფულში.
შ: და ნათესავები ვინა გყავდათ?
პ: ნათესავები მყავს, რძალი, ძმის ცოლი, ბიძაშვილის ცოლი მერე, ალალი ბიძაშვილის ცოლი, მეორე ბიძაშვილის ცოლი, ალალი ბიძაშვილის შვილები – ორი გოგო იყო, კიდევ მეზობლები, მული, მული მყავს, საკუთარი მული და ასე. ისე რო, ბევრნი, და ისინიც მომეხმარებოდნენ, უკიდურეს მდგომარეობაში ვიყავი წასვლამდეც და იქაც, მოგეხსენებათ, როგორია.
<...>
შ: აი, თქვენი ახლობლები რომ არ ყოფილიყვნენ საბერძნეთში და ყოფილიყვნენ ისრაელში ან ესპანეთში, მაშინ სად წახვიდოდით?
პ: ალბათ, სადაც იქნებოდნენ. ქვეყანას როგორც ასეთს, მნიშვნელობა არა ჰქონდა. არა, არა, ჩემთვის თანხასაც ჰქონდა მნიშვნელობა, სადაც უფრო იაფად წავიდოდი, სიმართლე გითხრათ და სადაც უფრო ნათესაობა იქნებოდა მეტი, რო ვიცოდი, თუ გამიჭირდებოდა, ისინი დამიდგებოდნენ გვერდში ყველანაირად. დამოუკიდებლად, მარტო არ წავიდოდი ისრაელში და ესპანეთში, არა, თუ იქ იქნებოდნენ [ნათესავები] *– კი, იმიტომ ავირჩიე საბერძნეთი.*

ნ. ქალი, 50 წლის, საბერძნეთი

როდესაც მ.-ს შვილმა გადაწყვიტა საზღვარგარეთ განგზავრება, მ.-მ მას საფრანგეთში წასვლა მხოლოდ ერთად-ერთი მიზეზის გამო ურჩია – იქ მას ნათესავები ყავდა:

პ: არა, მე ვურჩიე [საფრანგეთში წასულიყო], *რადგან ჩემი მამიდაშვილი იყო იქ.*
შ: თვითონ სად უნდოდა?
პ: თვითონ ირლანდიაში უნდოდა. ირლანდიაში უფრო ფულს აკეთებენ და მე ფული იმდენად არ მაინტერესებდა, ვიდრე პატრონი. მეც და ჩემ ძმასაც. და ჩემი ძმისშილი და ეგ [შვილი] *ერთად წავიდნენ. ერთნაირად გააკეთეს საბუთები და...*

მ. ქალი, 49 წლის, საბერძნეთი

პოსტ-ფაქტუმ მ. ფიქრობს, რომ მისმა რჩევამ კარგი შედეგი არ გამოღო, მაგრამ მაშინ, როდესაც ხდებოდა გადაწყვეტილების მიღება ემიგრაციის ქვეყნის შესახებ, ის ფაქტი, რომ საფრანგეთში ახლო ნათესავები დახვდებოდნენ მის შვილს, მისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო:

აი, მაგის გულისთვის, რო ისინი [მ.-ს მამიდაშვილი ოჯახით] *იქ იყვნენ და დედა ვარ და მინდოდა ვიღაც პატრონი ჰყოლოდა, ისე კი ჯობდა სხვაგან წასულიყო, არ არის კარგი პირობები იქ. საფრანგეთში ყოფილა კარგი მიწებიო, ცუდი მიწებიო, ყველას თავისი კანონები ჰქონია და სადაც ისინი არიან, არ არიო კარგი მიწებიო, აი, რაღაცა კარგ საბუთებს არ აძლევენ რაღაც, სამსახური არ იშოვება და ცუდად არიან, ვერ მოეწყვნენ კარგად. სხვაგან წასვლა მე მგონი, უკვე აღარ შეუძლიათ ...*

მ. ქალი, 49 წლის, საბერძნეთი

მას შემდეგ, რაც ი. (ქალი, 37 წლის) ისრაელში ჩავიდა, მას დახვდნენ მისი ახლობლები, რომლების დახმარებითაც მან უკვე მესამე დღეს იშოვა სამსახური ოჯახში, სადაც ხუთ წელზე მეტი იმუშავა. მიუხედავად ამისა, ი. საკმაოდ დიდი დრო მოუნდა ვალის დაფარვას, რის გამოც მან გადაწყვიტა ისრაელში თავისი მეუღლე წაეყვანა. უფრო მეტიც:

პ: რომ ჩადიხარ, ეხლა, ყველას აინტერესებს, მეზობელია, ნათესავია, აბა, როგორა ხარ, და არ დავმალე მე, მაგალითად, რო იყო პირობები კარგი, ეხლა, ვისაც შეიძლებოდა და შემეძლო წაყვანა, მე ყველა წავიყვანე.
შ: და რომ ამბობთ, წავიყვანე, კონკრეტულად როგორ?
პ: მე დავაფინანსე, კი, ფულით, და მერე თვითონ მოდიოდნენ.

ი. ქალი, 37 წლის, საბერძნეთი, ისრაელი

ი.-ს შემთხვევაში, ისევე როგორ ო.-ს და თ.-ს შემთხვევებში, ნათლად ჩანს, რა გავლენას ახდენს ოჯახის ერთი წევრის ემიგრაცია ოჯახის სხვა წევრების, ახლო ნათესავების და მეგობრების ემიგრაციაზე:

პირველად საბერძნეთში წავიდა ჩემი ქმრის უფროსი და, მერე მე, მერე – ჩემი ქმრის ძმის ოჯახი. მერე მე წავედი ისრაელში, წავიყვანე ქმარი, ორი მული.

ი. ქალი, 37 წლის, საბერძნეთი, ისრაელი

ო. ყვება თავისი დისშვილების შესახებ, რომლებიც დაეხმარნენ მის ქალიშვილს, რომ გერმანიაში წასულიყო. საინტერესოა, რომ ო.-ს დის ოჯახიდან ამჟამად თიანეთში მხოლო ო.-ს სიძეა, მისი დის მეუღლე – მათი სამივე შვილი გერმანიაში, ხოლო ო.-ს და უკვე ხუთი წელია ისრაელშია:

პირველი უფროსი [დისშვილი, Au Pair პროგრამით, გერმანია, 2000 წელი] *წავიდა, იმ უფროსმა სულ პატარა წაიყვანა ბავშვით* [2001 წელი], *მერე შუათანა წაიყვანა ბავშვით* [2002 წელი] *და ბოლოს ჩემი* [ო.-ს შვილი, 2003 წელი] *წაიყვანა.*

ო. ქალი, 56 წლის

ო.-ს შვილის შემთხვევაში იმ ფაქტმა, რომ მას საზღვარგარეთ ნათესავები ჰყავდა, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ემიგრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში:

პ: აა, რატო წავიდა? თვითონ გადაწყვიტა, იმიტომ რომ ჩემი დისშვილები არიან იქ სამნი. ერთს მეუღლეცა ყავს, ის ორნიც გათხოვილები არიან, თითო-თითო ბავშვი ყავთ და ბავშვები წაყვანილები ყავთ და იმათით რა, რახან ისინი იყვნენ წასულები, უნდოდა და წავიდა, რა თქმა უნდა ეკონომიური მხარეც [იყო].
შ: და შეიძლება ვთქვათ, რომ თქვენი ახლობლები რომ არ ყოფილიყვნენ წასულები, შეიძლება არც წასულიყო?
პ: არა, ნამდვილად ვერ გავუშვებდი ეგრე მარტოდ.

ო. ქალი, 56 წლის

ო.-ს უფროსი დისშვილი კიდევ ორ თავის თიანეთელ ამხანაგსაც დაეხმარა Au-Pair პროგრამით წასულიყო გერმანიაში – ერთ-ერთი მათგანი გამგზავრებიდან ერთ წელიწადში საბერძნეთში გადავიდა სამუშაოდ.

თ.-ს უფროსი ვაჟიშვილი 2000 წელს წავიდა ირლანდიაში, ერთი წლის შემდეგ წაიყვანა უმცროსი ძმა და ბიძა. თ.-ს ძმა ირლანდიაში მხოლოდ იმიტომ წავიდა, რომ მას გამუდმებით "ეპატიჟებოდა" დისშვილი, თ.-ს შვილი:

და იმის [უფროსი შვილი] *დაკვალიანებით წავიდნენ ეგენიც* [თ.-ს უმცროსი შვილი და ძმა] *იქ, თორემ ჩემი ძმა მაგალითად, საერთოდ არ აპირებდა არსად წასვლას, წლოვანია ჩემი ძმა, ეხლა 57 წლისაა და არც უფიქრია მაგას, აქ კი კაი ადგილზე მუშაობდა, მერე რომ შეიცვალა დრო, ბაზრის დირექტორი იყო, მაგრამ არაფერი არ გამოსდიოდა. იქიდან ისე უქეს, ურეკავდა* [თ.-ს უფროსი შვილი], *"ჩამოდი, შენ აქ არაფერს არ გაგიჭირვებ", ასე, ისე, და წავიდა, ისიც...*

თ. ქალი, 67 წლის

თ.-ს ძმამ შემდეგ ირლანდიაში თავისი უფროსი შვილი წაიყვანა და ეხლა მეუღლის და უმცროსი შვილის წაყვანას აპირებს.

როგორც ჩანს, ამ ეტაპზე ემიგრაციამ თიანეთიდან უკვე საკმაოდ მასიური ხასიათი მიიღო და თიანეთელი ემიგრანტების ემიგრაციული

ქსელები უკვე იმდენადაა განვითარებული, რომ თიანეთში დარჩენილებისათვის, როგორც გ.-ს შემთხვევაში, არ წარმოადგენს პრობლემას ნათესავების ან მეგობრების მოძებნა, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში დახმარებას აღმოუჩენენ პოტენციურ ემიგრანტს ემიგრაციის პროცესში, არა ერთ, არამედ რამოდენიმე ქვეყანაში.

ხო, მე საბერძნეთში მყავდა ახლობლები და ისრაელშიც მყავდა, მაგრამ, ხო, რა თქმა უნდა, იყვნენ იქ თიანელები, ქართველი ებრაელები, თიანელები იყვნენ. იმათი მისამართი მქონდა და იმათი იმედი მქონდა, რომ ჩავიდოდი, დავბინავდებოდი.

გ. ქალი, 49 წლის, ისრაელი

თავად გ.-მ. რომელიც ისრაელში მუშაობდა, დააფინანსა თავისი შვილის გამგზავრება საბერძნეთში, რადგანაც იქ ახლო ნათესავი ჰყავდა, რომელიც შეჰპირდა მას, რომ ყურადღებას მიაქცევდა მის შვილს და დაეხმარებოდა სამსახურის შოვნაში.

შესაბამისად, შეიძლება არსებობდეს ემიგრაციული ქსელების მიერ მხარდაჭერილი ემიგრაციის არა ერთი, არამედ რამდენიმე ვარიანტი, საიდანაც პოტენციური ემიგრანტი არჩევს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: გამგზავრებასთან დაკავშირებული ხარჯები, მიმღები ქვეყნების მიგრაციული პოლიტიკა, ლეგალური სტატუსის მიღების შესაძლებლობა, განსაზღვრული ტიპის სამუშაოს შოვნის პერსპექტივები და ა.შ. ამრიგად, ის, რომ პოტენციურ ემგირანტს "ჰყავს" ემიგრანტი ამა თუ იმ ქვეყანაში, ყოველთვის არ ნიშნავს, რომ ის მაინც და მაინც იმ ქვეყანაში წავა: მიუხედავად იმისა, რომ თავად ლ. ისრაელში იმყოფებოდა, ის დაეხმარა თავის დას და რძალს, რომ საბერძნეთში წასულიყვნენ, იმიტომ რომ იქ, ისრაელისგან განსხვავებით, იყო სტატუსის ლეგალიზაციის საშუალება:

შ: თქვენები [და და რძალი] *რომ საბერძნეთში წავიდნენ, თქვენი რჩევით წავიდნენ?*
პ: ჩემები, ჩემი და და რძალი საბერძნეთში არიან, იმუშავეს და ჩემი ვალი დამიბრუნეს, რაც ვასესხე და პროცენტიანი არა ჰქონიათ არაფერი. ჩემი და ექთანი იყო, შვილები ყავდა, აქ არანაირი პერსპექტივა არ იყო, ახლა შვილი წაიყვანა და ამბობს, ჯერ არ

ჩამოვალო, აქ 600 ევრო ხელფასი მაქვს, მანდ [თიანეთში] *არაფერი არ მექნება და რისთვის ჩამოვიდეო.*
შ: თქვენ რომ ისრაელში იყავით, ხომ არ გიფიქრიათ, რომ ისრაელში ჩამოგეყვანათ ეს ხალხი?
პ: არა, არ მიფიქრია, იმიტომ რომ ისრაელში არ არის კანონი, რომ მიიღო მწვანე კარტა [მუშაობის და ცხოვრების უფლება] *და იქ დარჩე, ესე იგი, იქ არალეგალად მუშაობ. <...>*
შ: საბერძნეთში არის ეგ კანონი?
პ: კი, საბერძნეთში არის ეგ კანონი. ეხლა იქ ჩემი და უკვე მოქალაქეობას ელოდება, ჩემ რძალს უკვე აქვს, ყოველ წელს ჩამოდის, ნახავს თავის შვილებს და მიდის. ასე, რომ ყველანაირი პირობები აქვს. ამიტომ საბერძნეთი ჯობია.

ლ. ქალი, 52 წლის, საბერძნეთი, ისრაელი

როგორც ვხედავთ, ამგვარი კავშირების ქონა უაღრესად მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს და ზოგ შემთხვევაში გადამწყვეტ არგუმენტად გვევლინება არა მარტო ემიგრაციის ქვეყნის შერჩევისას, არამედ ემიგრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესშიც კი.

ის თუ რამდენად მნიშვნელოვანია უცხო ქვეყანაში ნაცნობის, მეგობრის ან ნათესავის ყოლა ემიგრაციის ქვეყნის შერჩევისას, ჩანს მიგრაციის საერთაშორის ორგანიზაციის მიერ საქართველოში არსებული მიგრაციის სარესურსო ცენტრებში ჩატარებული პოტენციური ემიგრანტების კვლევიდანაც, რომლის შედეგების მიხედვითაც პოტენციური ემიგრანტები ემიგრაციის ქვეყნის შერჩევისას დიდ მნიშნველობას ანიჭებენ იმას, არიან თუ არა მიმღებ ქვეყნებში მათი მეგობრები, ოჯახის წევრები და ნაცნობები[107], რომლებიც მათ დახმარებას გაუწევენ. 2006 წლის ივლისიდან 2007 წლის მარტის ჩათვლით მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიგრაციის სარესურსო ცენტრებში გამოკითხული 770 რესპონდენტიდან 46%-მა ქვეყნის შერჩევის მთავარ კრიტერიუმად სწორედ ეს მიზეზი დაასახელა (ცხრილი 22).

[107] როგორც მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის თბილისის წარმომადგენლობის თანამშრომელმა, ბ-მა მარკ ჰალსტმა აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ მონაცემებში მხოლოდ "მეგობრებზეა" საუბარი, ინტერვიუერები ამ შეკითხვის დასმისას რესპონდენტებს ეკითხებიან ასევე ოჯახის წევრებზე, ნათესავებზე და ნაცნობებზე. (პირადი კომუნიკაცია).

ცხრილი 22.

რატომ ეს ქვეყანა? [108]

	სიხშირე	**%**
იმიტომ, რომ მყავს იქ მეგობრები, ვინც დამეხმარებიან	354	45.97%
იმიტომ, რომ მეუბნებიან, რომ იქ ადვილია სამუშაოს შოვნა	221	28.70%
იმიტომ, რომ მინდა საქართველოდან წასვლა	167	21.69%
იმიტომ, რომ ვიცი ენა	165	21.43%
იმიტომ, რომ საზღვარგარეთ მაღალია საცხოვრებელი პირობები	111	14.42%
იმიტომ, რომ ვნახე განცხადება და მინდა მასზე რეაგირება	109	14.16%
იმიტომ, რომ უკვე მაქვს იქ კავშირები დამსაქმებელთან	68	8.83%
იმიტომ, რომ ვარ იქ ნამყოფი და ვიცნობ სიტუაციას	33	4.29%

როგორც ვხედავთ, ემიგრაციულ ქსელებს არა მარტო თიანეთიდან, არამედ საქართველოს სხვა რეგიონებიდან წასული ემიგრანტები ქმნიან, და შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ისინი ისეთივე დახმარებას უწევენ პოტენციურ ემიგრანტებს, როგორც ამას თიანეთელი ემიგრანტების ემიგრაციული ქსელები.

[108] Profile of Potential Labor Migrants. Statistical Overview: July 2006 – March, (IOM, Migration Resource Centers – Georgia, 2007) (მოწოდებულია მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ), p. 6-7.

4.2. როგორ ეხმარებიან ქსელები

თანდათანობით "პირველი ტალღის" ემიგრანტები სულ უფრო და უფრო მკვიდრდებიან მიმღებ ქვეყნებში და მათ უკეთესად შესწევთ ძალა დახმარება აღმოუჩინონ პოტენციურ ემიგრანტებს საზღვარგარეთ გამგზავრებაში. როგორც ბრაზილიელი ემიგრანტების მკვლევარი ფრანკლინ გოზა აღნიშნავს, ბრაზილიელი ემიგრანტები სოციალური ქსელების მიერ გაწეულ დახმარებას პირველ რიგში იყენებენ ვიზის მიღებისას ანდა კანადის და აშშ-ს საზღვრის არალეგალური გადაკვეთისას. კანადაში და აშშ-ში ჩასული ბრაზილიელი ემიგრანტები, როგორც წესი, თავის ახლობლებთან, ნათესავებთან და მეგობრებთან რჩებიან საცხოვრებლად და საშუალოდ ოთხი დღით ადრე შოულობენ სამსახურს, ვიდრე ის ემიგრანტები, რომლებსაც მიმღებ ქვეყანაში არც ერთი ნათესავი თუ მეგობარი არ ჰყავს[109].

ჩვენს მიერ თიანეთში ჩატარებული კვლევის მონაცემებით, როგორც დაბრუნებული, ასევე ახლანდელი ემიგრანტების დაახლოებით ნახევარმა მიიღო დახმარება საზღვარგარეთ გამგზავრებისას თავისი ნათესავებისგან, მეგობრებისგან და ნაცნობებისგან, და დაახლოებით მეოთხედმა ასეთი დახმარება "დაუბრუნა" თავის ნათესავებს, მეგობრებს და ახლობლებს. ყველაზე მეტად ეხმარებიან და იღებენ დახმარებას როგორც ახლო, ასევე შორეული ნათესავებისგან, ე.ი. ნათესაური კავშირები განსაკუთრებით ძლიერია და მათზე ძალიან ბევრი პოტენციური ემიგრანტი ეყრდნობა. 57 პოტენციური ემიგრანტიდან 37 იღებს სხვადასხვა სახის დახმარებას ემიგრაციის პროცესში. 15-ს ახლო ნათესავები ეხმარებიან (მშობლები, მეუღლე, და/ძმა, შვილები), კიდევ 15-ს – შორეული ნათესავები (დეიდა/მამიდა/ბიძა, ბიძაშვილები/მამიდაშვილები და ა.შ.), 6 პოტენციურ ემიგრანტს დახმარებას მეგობრები და ამხანაგები უწევენ, ხოლო ერთს – უნივერსიტეტი.

[109] F.Goza. "Immigrant Social Networks: The Brazilian Case", p. 17.

შეკითხვაზე, რაში გამოიხატება მათ მიერ მიღებული დახმარება ჩვენ შემდეგნაირი პასუხები მივიღეთ:

ცხრილი 23.

როგორ გეხმარებიან? [110]

	სიხშირე
ფულით	32
სამსახურის შოვნაში	6
დამხვდებიან უცხო ქვეყანაში ჩასვლისას	4
ვიზა	4
მორალურად	1
სულ:	47

საკმაოდ რთულია იმის ინტერპრეტაცია, თუ რას გულისხმობენ პოტენციური ემიგრანტები "ვიზაში", რადგანაც ეს შეიძლება იყოს როგორც მოწვევა, რის საფუძველზეც პოტენციური ემიგრანტი იღებს ვიზას, ასევე ფული ვიზის "შესაძენად". ამასთანავე, ნათელია ფინანსური და ინსტრუმენტული დახმარების მნიშვნელობა. 12 პოტენციურ ემგირანტს უკვე აქვს ვიზა, მათგან 10-ს ნათესავები, მეგობრები და ახლობლები უწევენ დახმარებას ემიგრაციის პროცესში.

თიანეთში ჩატარებული კველვის შედეგად ჩვენ გამოვყავით 4 ტიპის დახმარება, რომელსაც ემიგრაციული ქსელები თიანეთში დარჩენილ პოტენციურ ემიგრანტებს სთავაზობენ – ესენია: ფინანსური, საინფორმაციო, ინსტრუმენტული და ფსიქოლოგიური დახმარება[111]. ქვემოთ ჩვენ დაწვრილებით განვიხილავთ თითოეულ მათგანს.

4.2.1. ფინანსური დახმარება

ფინანსური დახმარება ერთ-ერთ ყველაზე მნიშნველოვან როლს თამაშობს ემიგრაციის სტიმულირებაში. ფინანსური დახმარება შეიძლება

[110] შეკითხვაზე შესაძლებელი იყო რამდნეიმე პასუხის გაცემა.

[111] ემიგრაციული ქსელების მიერ გაწეული დახმარების ტიპებზე იხილეთ ასევე: H. M. Choldin, "Kinship Networks in the Migration Process", in: S. Vertovec, R. Cohen (Eds.), *Migration, Diasporas and Transnationalism* (An Elgar Reference Collection, 1999), p. 5-13; F. Goza. "Immigrant Social Networks: The Brazilian Case"; I. Light, P. Bhachu, S. Karageorgis, "Migration Networks and Immigrant Entrepreneurship"; D. S. Massey et al., "Theories of International Migration: A review and Appraisal"; R. Waldinger, M. Lighter, *How the Other Half Works: Immigration and the Social Organization of Labor*.

გაწეული იყოს, როგორც საზღვარგარეთ გამგზავრებამდე, ასევე მიმღებ ქვეყენაში ჩასვლის შემდეგაც.

გამგზავრებამდე აღმოჩენილი დახმარება, როგორც წესი, გამოიხატება ემიგრაციასთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯების ან სრულ, ან ნაწილობრივ დაფარვაში (როგორც უპროცენტო ან დაბალპროცენტიანი ვალის სახით, ასევე უსასყიდლოდ). ამგვარი დახმარება უაღრესად მნიშვნელოვანია თიანეთის მაცხოვრებლებისათვის, რადგანაც მათ ნაკლებად მიუწვდებათ ხელი ოფიციალურ საკრედიტო საშუალებებზე და მისი საშუალებით ისინი აღარ არიან იძულებულნი, რომ აიღონ მაღალპროცენტიანი ვალები, დააგირაონ ან გაყიდონ სახლები.

მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

- ა.-ს (ქალი, 56 წლის, საბერძნეთი, ისრაელი) დამ, რომელიც ისრაელში იმყოფებოდა, დაფარა ა.-ს შვილის ისრაელში გამგზავრების ხარჯები, და შემდეგ ა.-ს ძმა და რძალი ფინანსურად დაეხმარნენ ა.-ს და ა.-ს დას, რომ ისრაელში გამგზავრებულიყვნენ;
- ნ.-მ (ქალი, 58 წლის, საბერძნეთი) გამოუგზავნა ფული თავის შვილს და შვილიშვილს, რათა ისინი წასულიყვნენ ირლანდიაში, სადაც უკვე იმყოფებოდა ნ-.ს სიძე;
- კ.-ს (ქალი, 37 წლის) დედამ, რომელიც უკვე 10 წელია რაც საბერძნეთში მუშაობს, გამოუგზავნა 4000 დოლარი თავის სიძეს, კ.-ს მეუღლეს, რათა ის ირლანდიაში წასულიყო;
- თ.-ს (ქალი, 67 წლის) უფროსმა შვილმა ირლანდიაში გამგზავრებიდან ერთ წელიწადში გამოუგზავნა თავის ძმას და ბიძას 3500-3500 აშშ დოლარი და წაიყვანა თავისთან, ირლანდიაში;
- ნ.-ს (ქალი, 50 წლის, საბერძნეთი) ფინანსურად დაეხმარნენ მისი რძალი და მეგობარი, რომ საბერძნეთში წასულიყო;
- მ.-მ, (ქალი, 49 წლის, საბერძნეთი), რომელიც იმ დროისათვის უკვე ერთი წელი იმყოფებოდა საბერძნეთში, თავის თავზე აიღო ყველა ხარჯი, რომელიც დაკავშირებული იყო მისი შვილის საფრანგეთში

გამგზავრებასთან – 2500 ევრო (2003 წელი). გარდა ამისა, მ. თავის დეიდასაც დაეხმარა – ასესხა გზის ფული, რათა ის საბერძნეთში წასულიყო სამუშაოდ. თავად მ.-ს, რომელიც ორჯერ წავიდა საბერძნეთში, ორჯერვე თავისი მეგობრები და ნათესავები დაეხმარნენ მატერიალურად:

გზის ფული, ალბათ, ვისესხე. ხო, ლიამ მასესხა ნაწილი, ნაწილი ზინამ მასესხა [1600 აშშ დოლარი, 1999 წელი], *და ეხლა მეორეთაც რო წავედი, 2000 დოლარი მივეცი* [2002 წელი], *ჩემმა ნათესავმა ზინამ იქ დამახვედრა, თუ ფული არ დამხვდებოდა, სალონიკიდან გამომაბრუნებდნენ, გადარეკეს და <...> აქაც არის ოფისი, გრაფიო ქვია. ამ ოფისის კაცმა გადარეკა, იქ ფული იყო თუ არა და თუ იქ ფული არ იქნებოდა, რა თქმა უნდა, გამომაბრუნებდნენ და თუ მომაბრუნებდნენ გზიდან უკან, ის ფული პატრონს უბრუნდებოდა. მე ასე წავედი ორივეჯერ. მე სხვანაირად, რო ფული დამეკარგა ან სახლი გამეყიდა, მე მაგის ნერვები არა მქონდა.*

მ. ქალი, 49 წლის, საბერძნეთი

თავისი შვილის გარდა, რომელსაც გ.-მ დაუფარა საბერძნეთში წასვლის ხარჯები, ის კიდევ სამ თავის ახლობელს დაეხმარა, რომ საზღვარგარეთ წასულიყო:

რა, არა, მე უბრალოდ ფულს მთხოვდნენ და რამდენიმე ადამიანს ვასესხე ფული. მეტი არაფერი, იქიდან გამოვუგზავნე, ხო, იცი, საქმე ზოგს უვარდება, ვალს აღარ აბრუნებენ, მაგრამ მე გავრისკე იმიტომ, რომ მეგობრები იყვნენ, ზოგი – ნათესავები, და რა ვიცი, მივეცი ფული რამდენიმეს. ისე, პრობლემა არ შემქმნია, ისე ფულის აღებაზე, ყველას გამოუვიდა საქმე კარგად, ყველამ დამიბრუნა.

გ. ქალი, 49 წლის, ისრაელი

ინტერვიუებში რესპონდენტები ხაზს უსვამენ ვალდებულების გრძნობას, რომელიც მათ აქვთ ახლობლების მიმართ, რომლებიც თიანეთში რჩებიან, რის გამოც ისინი, გარკვეული რისკის მიუხედავად, მაინც ეხმარებიან მათ ფინანსურად ემიგრაციის პროცესში.

პ: მე დავაფინანსე, კი, ფულით, და მერე თვითონ მოდიოდნენ.
შ: და მერე ის ფული
პ: რა თქმა უნდა, უკან მაძლევდნენ, რა თქმა უნდა, ეხლა, შენიანს როცა აძლევ იქ რომ ჩამოდის და ხედავს შენ როგორ მუშაობ და ისა, იშვიათია, რო შენი ფული უკან არ დაგიბრუნოს.

ი. ქალი, 37 წლის, საბერძნეთი, ისრაელი

ფინანსური დახმარება ემიგრაციის შემდეგ, როგორც წესი გამოიხატება იმაში, რომ ახლად ჩასულ ემიგრანტებს ეხმარებიან ვალების გადახდაში, უკვე დაფუძნებული ემიგრანტები აძლევენ მათ ან უპროცენტო, ან დაბალპროცენტიან სესხებს. გარდა ამისა, ემიგრანტები აარსებენ თავისებურ ურთიერთდახმარების ფონდებს, რომლებსაც იყენებენ იმ შემთხვევაში, თუ ემიგრანტს რაიმე მსხვილი ინვესტიციის განხორციელება უნდა – მაგალითად, ბინის ყიდვა/გარემონტება ანდა საზღვარგარეთ თავისი ოჯახის წევრების ჩამოყვანა:

პ: ვალი ადვილად დავფარე, იმიტომ რომ იქ დამეხმარნენ მე, გამომაგზავნინეს თავიდან და მერე ადვილად დავფარე, ფაქტიურად, პროცენტი მე არ გადავიხადე, ცოტა პროცენტი იქაც გადავიხადე, მაგრამ რაც აქ უნდა გადამეხადა, რო გაგრძელებულიყო [უფრო მეტი ექნებოდა გადასახადი]. *აქ 20%-იანი ავიღე, იქ 10% და ნაწილი დახმარება გამიწიეს.*
შ: ვინ დაგეხმარათ?
პ: უბრალოდ, თიანელი ნაცნობები, ვინცა მყავდნენ, ისინი შემომეშველნენ და მერე აქედანაც რო ჩამოდიოდნენ, მეც ვუწევდი დახმარებას სხვებს. იქ იყო ხალხი, ზოგი აპროცენტებდა 10%-ად და ზოგი ისე, ანგარების და პროცენტის გარეშე, მეგობრულად ეხმარებოდა ნაცნობებს.

ო. ქალი, 49 წლის, საბერძნეთი

თავად ო. ბევრ თიანეთელ ახლადჩასულ ემიგრანტს დაეხმარა:

იქ ჩამოსულებს ვეხმარებოდი, ჯერ ერთი, ენა არ იცოდნენ, კონტაქტი, როგორ მოქცეულიყვნენ, სამსახურები როგორ ეშოვათ, ოჯახი როგორ აერჩიათ [არ იცოდნენ] *და კიდევ ძალიან ბევრს დავეხმარე ისე, უანგაროდ, ფულს ვასესხებდი და გამოგზავნიდნენ მაშინვე და აქ პროცენტი ეხსნებოდათ, და რაც შემეძლო ვეხმარებოდი.*

ო. ქალი, 49 წლის, საბერძნეთი

ჩემ მულს ძალიან დიდი ვალი ქონდა, იმიტომ რომ წინასწარ აიღო ვალი და პროცენტიანი, ის ვერ დაეხმარებოდა [ახლად ჩასულ ემიგრანტებს], *მაგრამ აი, ჩემი რძალი კი დაეხმარა, იქ ვინც ჩავიდა ნათესავი. ზოგი კი ისეთია, რომ არაფრით არ გაგიკეთებს საქმეს, ის კი უანგაროდ. და ეს მეორეც ძალიან კარგი გოგოა, ბიძაშვილის ცოლი. საერთოდ, ვინმე თიანელი არი, პატარა შეხებაც თუ აქვს, ხო იცნობს ყველას, რამდენადაც შეეძლო ყველას დახმარებოდა თანხით, ახალჩასულს დაპატიჟებდა, პურს აჭმევდა, კარტას უყიდიდა რო სახლში დაერეკა.*

ნ. ქალი, 50 წლის, საბერძნეთი

იქ ქვეყანას ვაძლევდი, რო ჩამოდიოდნენ, პროცენტიანები ჰქონდათ, ქვეყანას ვეხმარებოდი, სახლში ფული არ გამიჩერებია, მერე მე რომ დამჭირდა, ველარა ვშოულობდი. ვეხმარებოდი, იმიტომ რომ იქ თუ არავინ არ დაგეხმარა, ის პროცენტი ისე იზრდება, რო, ვიღაცას რო ძალიან გაუჭირდეს, ცოტა შეღავათი უნდა გაუკეთო.

მ. ქალი, 49 წლის, საბერძნეთი

თავად მ.-საც ფული თბილისში ბინის საყიდლად მისმა ნათესავმა ასესხა, რომელიც ასევე საბერძნეთში მუშაობდა:

ყველას თავისი გარემო გვქონდა და ყველა ერთმანეთს ვეხმარებოდით. ზინამ მასესხა მაგალითად, ბინა რო ვიყიდე, "ოღონდ შენ ბინა იყიდეო", ერთხელ მასესხა, ვერ ვიყიდე და მეორედ მასესხა.

მ. ქალი, 49 წლის, საბერძნეთი

ამასთანავე, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ საზღვარგარეთ, სადაც ადამიანები გარკვეულწილად, ექსტრემალურ ვითარებაში ხვდებიან, ხშირად ვლინდება ადამიანის ის თვისებები, რომლებიც ჩვეულებრივ არ ჩანს ხოლმე –შური, გაუტანლობა, დაბიზღებები – აი ის უარყოფითი თვისებები, რომლებსაც ქართველი ემიგრანტები საზღვარგარეთ ავლენენ თავიანთი თანამემამულეების მიმართ.

ნათქვამია, ადამიანი რომ გაიცნო, ერთი ფუთი მარილი უნდა შეჭამოვო, რაც მეტ სიკეთეს აკეთებ, მით მეტი მტერი გიჩნდება. ძალიან ცუდები ვართ ქართველები. მომყავდა სახლში ქართველები, ვაჭმევდი, ვასვენებდი, მე არ მქონდა ბევრი საქმე, მოხუცს ვუვლიდი, და მაინც შურდათ, რაღა შენ გხვდება ასეთი კარგი ხალხიო. ესე იგი, უმადურობა ჩვენი ხალხისა, ღვარძლი ყველამ გამოამჟღავნა, არავინ ისეთ სიბოროტეს არ გაგიკეთებს, როგორც ჩვენი ხალხი.

ლ. ქალი, 52 წლის, საბერძნეთი, ისრაელი

პირველად, როგორც ქართველს სჩვევია, კარგი ურთიერთგაგება იყო, თანადგომა იყო, თუ ვინმე იყო უმუშევარი, მეც და სხვებიც ერთიმეორეს ვეხმარებოდით და ანგარიშს ვუწევდით. ეხლა ეგ აღარ არსებობს, ყველას ცალ-ცალკე აქვს, ალბათ, უკვე ძალიან გაჭირდა ცხოვრების პირობები, აქეთ, თავისიანებსაც, თავისი ოჯახის წევრებსაც ველარ კმაობთ ის შემოსავალი, რა ხდება, არ ვიცი, ვერ გეტყვი. ადრე იყო ურთიერთგაგება, ახალი ჩამოსულები ამბობდნენ, რომ ის თანადგომა და ის ურთიერთგაგება აღარ აქვთ, სამწუხაროდ ქართველებს შორის, არ ვიცი, რითი აიხსნება.

ნ. ქალი, 58 წლის, საბერძნეთი

მიუხედავად ამისა, ინტერვიუებიდან ჩანს, რომ ასეთი ფაქტები ვერ ახდენდნენ დიდ გავლენას რესპონდენტების ცხოვრებაზე, რადგანაც ყველას "*თავისი წრე*" ჰქონდა, ურთიერთობდნენ ძირითადად თავის ახლობლებთან და მეგობრებთან. თუმცა, ქართველების იმიჯი საბერძნეთში, ისრაელში და გერმანიაში საკმაოდ შეილახა ქართველი ემიგრანტების მიერ ჩადენილი კრიმინალური დანაშაულებების გამო. აი, რას ამბობს ლ.-ს შვილი, რომელიც გერმანიაში იყო წასული Au-Pair-ის პროგრამით:

> *თვითონ ჩემი შვილი* [ლ.-ს შვილი, რომელიც გერმანიაში იყო წასული Au-Pair-ის პროგრამით] *ამბობდა, რო მრცხვენია, რო ქართველი ვარო, იმიტომ რომ სადაც მე ვცხოვრობ, იმ ქალაქში უნივერსამს აწერია, "წუ მოიპარავთ, ქართველებო". ესე იგი, იქ უკვე იმდენად იყვნენ შემჩნეული ეს ქართველები, რომ ისენი ხოა, ვიდეო-კამერები, იქ ყოფილა გაკრული ტრაფარეტი, "წუ მოიპარავთ, ქართველებო".*
>
> ლ. ქალი, 49 წლის

ეს ფაქტები ნამდვილად არ უწყობს ხელს ქართველების და საქართველოს პოპულარიზაციას ევროპაში, და სამწუხაროა, რომ იმ ადამიანებთან ერთად, რომლებიც მართლაც დაუღალავად მუშაობენ, რათა ეკონომიურად დაეხმარონ თავის ოჯახებს, ბევრი ქართველი თავს კრიმინალური საქმიანობით ირჩენს და სწორედ ისინი ქმნიან სტერეოტიპული "კრიმინალი ქართველის" იმიჯს ევროპის ბევრ ქვეყანაში.

4.2.2. საინფორმაციო დახმარება

ემიგრანტების დახმარებით პოტენციური ემიგრანტები იგებენ ცხოვრების და მუშაობის რა პირობებია მიმღებ ქვეყნებში, როგორ შეიძლება ვიზის "გაკეთება", არის თუ არა მოთხოვნა მუშახელზე ამა თუ იმ ქვეყანაში და ა.შ..

გ.-ს ოჯახიდან ამჟამად ოთხი ადამიანია საზღვარგარეთ: შვილი და დისშვილი – გერმანიაში, მეორე დისშვილი თავისი მეუღლით – ირლანდიაში. პირველი საზღვარგარეთ, გერმანიაში, Au Pair-ის პროგრამით

გ.-ს შვილი წავიდა. ის უკვე 5 წელია სწავლობს და მუშაობს გერმანიაში. სწორედ მან აღმოუჩინა თავის დეიდაშვილს როგორც მატერიალური, ასევე საინფორმაციო დახმარება, რათა ისიც გერმანიაში წასულიყო:

კი, გზის ხარჯითაც დაეხმარა, საბუთების გამზადებითაც დაეხმარა, მთელი საბუთები მან გაუმზადა. ეს როგორც წინა კაცი უკანას ხიდია. შარშანაც გიასაც [დეიდაშვილი] *შეუტანა* [საბუთები უნივერსიტეტში]. *კი, როგორც უფროსი და ან ძმა, იმიტომ რომ უფრო მეტი გამოცდილება მაგასა აქვს, ცდილობს უპატრონოს, რაც იმან გაიარა, რო ამათ ნაკლები დაბრკოლება შეექმნათ.*

გ. ქალი, 60 წლის.

გ.-ს დისშვილს თავის მეუღლესთან ერთად თავდაპირველად გერმანიაში უნდოდათ წასვლა, მაგრამ რადგანაც გ.-ს ქალიშვილმა უთხრა, რომ გერმანიაში მამაკაცებისთვის, და განსაკუთრებით არალეგალური ემიგრანტებისთვის ძალიან რთულია სამუშაოს შოვნა, მათ საბოლოოდ ირლანდიაში გადაწყვიტეს წასვლა.

შვედეთში მყოფ დ.-საც (მამაკაცი, 40 წლის) არაერთხელ მიმართეს რჩევისათვის თიანეთელმა მეგობრებმა, ვისაც შვედეთში სურდა ჩასვლა – დ.-მ მათ არ მოუწონა ეს განზრახვა, და ფაქტობრივად, გადაათქმევინა შვედეთში ჩასვლა, რადგანაც იქ *"არ იყო სამუშაო".*

ვ.-ს ქალიშვილის დახმარებით, რომელმაც გაიგო ინფორმაცია ახალი "მარშრუტის" შესახებ, 2002 წელს ვ.-ს ოთხი ნათესავი გაემგზავრა აშშ-ში 3500 დოლარად, მაშინ, როდესაც იმ დროს აშშ-ში წასვლა უკვე 6000 დოლარი ჯდებოდა. მარშრუტი მართლაც ორიგინალური იყო – პოტენციური ემიგრანტი აკეთებდა ვიზას ნიკარაგუაში, ყიდულობდა ბილეთს მაიამის გავლით, სადაც თვითმფრინავის გამოცვლის დროს რჩებოდა აშშ-ში და ბარდებოდა საიმიგრაციო სამსახურს როგორც "ლტოლვილი":

გაჩნდა გზა, რომელიც გაიგო თ.-მ [ვ.-ს შვილი], *და ამერიკაში ჩავიდნენ ძაან ბევრი ქართველები და მათ შორის ჩემი მულისშვილი, ჩემი ბიძაშვილი გოგო, ჩემი და, ვალოდია* [ვ.-ს შორეული ნათესავი], *თ.-ს მხრიდან არი იქ.*

ვ. ქალი, 72 წლის.

ემიგრაციული ქსელების დახმარებით ხდება ინფორმაციის სწრაფი გადაცემა ვაკანსიების შესახებ, რომლებითაც შეიძლება ისარგებლონ ახლად ჩასულმა/პოტენციურმა ემიგრანტებმა, რადგანაც, ემიგრანტები ცდილობენ რომ, როგორც კი გამოჩნდება ვაკანსიები, თავიანთი ნათესავები, მეგობრები დაასაქმონ, რაც ასევე ხელს უწყობს ემიგრაციის სტიმულირებას[112].

4.2.3. ინსტრუმენტული დახმარება

ემიგრანტების ინსტრუმენტული დახმარება შეიძლება გამოიხატებოდეს შემდეგში: ისინი შეიძლება დაეხმარონ საზღვარგარეთ წასვლის მსურველებს ვიზის აღებაში, რადგან შეუძლიათ გამოუგზავნონ ოფიციალური მოწვევები, შეუძლიათ მიგზავნონ სანდო შუამავლებთან, რომლებიც გარანტიას იძლევიან ვიზის მიღებაზე, შეუძლიათ ასწავლონ მათ რა და როგორ უნდა უთხრან საიმიგრაციო სამსახურის წარმომადგენლებს პოლიტიკური თუ სხვა სახის თავშესაფრის მოთხოვნისას და ა.შ.

დაბრუნებულ ემიგრანტებთან და ემიგრანტების ოჯახების წევრებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან ჩანს, თუ როგორ ეხმარებიან ახლადჩასულ ემიგრანტებს მათზე ადრე ჩასული ემიგრანტები მიმღებ ქვეყნებში: მათ ხვდებიან აეროპორტში/ავტოსადგურში; მიჰყავთ თავისთან, სადაც მათ შეუძლიათ დარჩნენა მანამ, სანამ სამსახურს არ იშოვნიან, ეხმარებიან სამსახურის შოვნაში და ა.შ.

როდესაც გ.-მ გადაწყვიტა მეუღლესთან ერთად ირლანდიაში წასვლა, ის შეეცადა ნაცნობების მოძებნას:

> *არა, მერე დაუწყო ძებნა აქაური წარმოშობის ნაცნობები, ვიღაც, რომლებიც შეხვდნენ, დახვდნენ, გააცილეს. ინგლისში დახვდნენ კლასელები არიან, ისინი შეხვდნენ ინგლისში, იმათ გააცილეს ირლანდიაში, ირლანდიაშიც მოიძებნა თიანელები, რომლებიც დახვდნენ, გააჩერეს რამდენიმე ხანს თავიანთ ოჯახში, სანამ ლტოლვილად ჩაბარდნენ და რო ჩაბარდნენ ლტოლვილად,*

[112] R. Waldinger, M. Lighter, *How the Other Half Works: Immigration and the Social Organization of Labor,* p. 12.

სასტუმროში ცხოვრობდნენ. ეხლაც სასტუმროში არიან და 19 ევროს იღებენ ლტოლვილეობისთვის.

გ. ქალი, 60 წლის

არც თუ იშვიათად, ახლადჩასულ ემიგრანტებს სამსახურის შოვნაშიც ეხმარებიან:

პ: მე არ ვიცოდი სასტუმროები, სად უნდა მივსულიყავი, სამსახური როგორ უნდა მომეძებნდა, ამ მხრივ დახმარება გამიწიეს, ყველანაირად დამეხმარნენ.
შ: და წაგიყვანეს სასტუმროში?
პ: დიახ, სასტუმროში მიგვიყვანეს, მერე მასწავლეს სად უნდა მოგვეძებნა სამსახური, რომელ ოფისებში მივსულიყავით, ოფისებშიც კი ვიარე, მაგრამ მერე ნაცნობმა წამიყვანა თავის ნაცნობ ოჯახში, ბებიასთან.

ო. ქალი, 49 წლის, საბერძნეთი

ჩავედი მერე [საბერძნეთში], *იქ გავჩერდით 3 დღე სასტუმროში და 3 დღის მერე მუშაობა დავიწყე. ამ მუშაობაშიც ვინმე შენი გულშემატკივარი, ვინც არი იქ, გეხმარება, რო სამსახური მოგიძებნოს და მომიძებნეს იქვე ახლოს, ჩემი ბიძაშვილის ცოლი, რძალი, ჩემი ძმისშვილი და მე ერთ ქუჩაზე ვმუშაობდით.*

ნ. ქალი, 50 წლის, საბერძნეთი

ნ.-ს შვილთან და სიძესთან საბერძნეთში 4 თვის მანძილზე ცხოვრობდნენ ნათესავები, რომლებიც სამსახურს ვერ შოულობდნენ. ბოლოს, ნ.-ს სიძე დაეხმარათ მათ სამსახურის შოვნაში.

ვ.-სთან (მამაკაცი, 42 წლის), რომელიც შვედეთში იმყოფებოდა ემიგრაციაში, 2-3 კვირის მანძილზე ცხოვრობდნენ ხოლმე თიანეთიდან ჩამოსული ემიგრანტები – თიანეთელები, რომლებსაც ის თითქმის არც კი იცნობდა, ურეკავდნენ მას სტოკჰოლმში ჩასვლისას დახმარების თხოვნით, და ისინი მასთან მანამდე ჩერდებოდნენ, სანამ სამსახურს არ იშოვნიდნენ.

თ.-ს შვილი ირლანდიაში ჩასვლის შემდეგ ერთი კვირა თავის კლასელთან ცხოვრობდა. მას შემდეგ, რაც ის კარგად მოეწყო დუბლინში, წაიყვანა თავისი უმცროსი ძმა და ბიძა, ის ძალიან ხშირად ეხმარებოდა თავის ნაცნობებს და მეგობრებს:

პ: ეიი, ტელეფონის ნომერს მთხოვს ბევრი აქაური, თიანელები ბევრნი არიან. ხან თიანეთი მგონიაო [შვილი ამბობს დუბლინზე]. *ვაძლევ ტელეფონის ნომერს და ჩადიან, დახვდებიან ხოლმე ისინი, აკვალიანებენ, რა ვიცი, სამუშაოც ბევრს უშოვა ჩემმა შვილმა.*
შ: თუ იცით, ისე თუ ყოფილა, რომ ჩასულს რაღაც პერიოდი მათთან უცხოვრია?
პ: კი, როგორ არა, კი. 2 კვირა, 1 თვე, ბევრი ამხანაგი ყოლიათ.

თ. ქალი, 67 წლის

ლ. (ქალი, 52 წლის, საბერძნეთი, ისრაელი) ეხლა ამერიკის შეერთებულ შტატებში აპირებს წასვლას, მას იქ ნათესავები ჰყავს, რომლებიც მას მოწვევის "გაკეთებაში" ეხმარებიან, ხოლო აშშ-ში ჩასვლის შემდეგ *"დამხვდებიან, და სამსახურით იზრუნებენ ჩემთვის, ბინა და ყველაფერი".*

ემიგრანტები ერთმანეთს გაჭირვების პერიოდშიც გვერდში უდგანან. როდესაც გ. (ქალი, 49 წლის, ისრაელი) ცუდად გახდა, ის საცხოვრებლად გადავიდა თავის მეგობართან, რომელთანაც ის თითქმის ერთი თვე დარჩა. მისმა მეგობარმა ის ექიმთან წაიყვანა, უვლიდა და ფაქტიურად, სიკვდილს გადაარჩინა:

... და სულ შეშინებული იყო ჩემი მეგობარი, სულ შიშით მიყურებდა, აბა, ხო არაფერი გინდა, ისიც სულ ღამეებს მითენებდა თეთრად. იმან გადამარჩინა მე, ფაქტიურად, იმისგან მიდგას დღეს სული.

გ. ქალი, 49 წლის, ისრაელი

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ემიგრანტი არ ზრუნავს იმაზე, რომ დაუკავშირდეს თავის ნაცნობებს და ახლობლებს ემიგრაციის ქვეყანაში, შეიძლება მოხდეს ისე, რომ მის მაგივრად ამას სხვები გააკეთებენ:

და რომ ჩავედი [ათენში], *გაქვავებული ქალაქია, გაქვავებული კი არა გაყინული, „ვაიმე", ვიძახი, „რა ვქნა, ვისთან უნდა მივიდე". შემთხვევით ჩემი მოწაფის დედა იყო იქა, იმას* [მოწაფეს] *დაურეკია დედამისისთვის და ჩემი მასწავლებელი მოდის ამაღამ და დახვდიო. ამოვიდა ავტობუსში ვიღაც ქალი, არც ვიცნობდი კარგად, ლ. მასწავლებელი რომელიაო, მე ვარ მეთქი – „წამოდით ჩემთან" – „წამოვალ მეთქი, მაგრამ ვინ ხართ"? – „წამოდით და გაიგებთ ვინც ვარ", ხო. ჩამოვედი, მიმიყვანა სასტუმროში და მითხრა, ამისა და ამისი დედა ვარო, ლ. ა., მითხრა, ერთი თვე უმუშევარი ვარ და მაქვს საშუალება მიგიღო და ჩემთან დაგაძინოვო.*

ლ. ქალი, 52 წლის, საბერძნეთი, ისრაელი

როგორც თიანეთში ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუებიდან ჩანს, ზოგ შემთხვევაში ახლად ჩასულ ემგირანტებს ეხმარებიან ის ადამიანები, რომლებსაც ისინი თითქმის არ იცნობდნენ თიანეთში ცხოვრებისას. ხოლო ზოგ შემთხვევაში, როდესაც პოტენციურ ემიგრანტს ყავს საზღვარგარეთ ოჯახის წევრი, მეგობარი ან ნათესავი, ის შეიძლება დარწმუნებული იყოს, რომ გარანტირებლად მიიღებს მათგან სხვადასხვა სახის დახმარებას საჭიროების შემთხვევაში.

4.2.4. ფსიქოლოგიური დახმარება

ბევრმა ახლად ჩასულმა ემიგრანტმა არა მარტო მრავალი ყოფითი პრობლემა უნდა მოაგვაროს, რომლებიც დაკავშირებულია სამსახურის შოვნასთან, ახალ გარემოსთან შეგუებასთან, არამედ ოჯახისა და ჩვეული გარემოსადმი ნოსტალგიით გამოწვეული პრობლემების გადაჭრაც უწევთ. ამიტომ, "პირველი ტალღის" ემიგრანტების მიერ ახლად ჩასული ემიგრანტებისათვის ფსიქოლოგიური დახმარების აღმოჩენა განსაკუთრებულ მნიშნველობას იძენს. მ. (ქალი, 49 წლის, საბერძნეთი) პირდაპირ საუბრობს "ფსიქოლოგიური დახმარების" შესახებ, რომლიც მას მისმა მეგობრებმა აღმოუჩინეს ათენში ჩასვლის პირველ ხანებში.

დასვენების დღეებში ემიგრნატები ცდილობენ ერთმანეთს შეხვდნენ და ამის საშუალებით გაუმკლავდნენ ნოსტალგიას. მაგალითად, გ.-ს შვილი და დისშვილი გერმანიაში რეგულარულად ხვდებიან ერთმანეთს:

> *ახლოს არიან. კვირაობით ხვდებიან ერთმანეთს, ერთ კვირას თუ არა, მეორე კვირას მაინც, შეიძლება ყოველ კვირასაც შეხვდნენ თუ რამე ხელს არ უშლით და ეს ორივესთვის ნოსტალგიის დასაძლევად რაღაცას ნიშნავს.*
>
> გ. ქალი, 60 წლის

საბერძნეთში, ათენში, არის ადგილი, სადაც თიანეთელი ემიგირანტები ხვდებიან ერთმანეთს – ომონია – აქ ყოველ კვირას ავტობუსს ჩამოაქვს ამანათები და წერილები თიანეთიდან, ხოლო ემიგრანტებს ეძლევათ საშუალება, რომ გაუგზავნონ ამანათები და წერილები თავის ოჯახებს თიანეთში. ომონია ასევე ვაკანსიების შესახებ

ინფორმაციის გაცვლის, შეხვედრების ადგილიც არის, სადაც ემიგრანტები ერთმანეთს უზიარებენ ახალ ამბებს. გარდა ამისა, ემიგრანტები ერთმანეთს სახლებშიც ხვდებიან, ამზადებენ ქართულ საჭმელებს, აღნიშნავენ ქართულ დღესასწაულებს, რაც მათ სამშობლოსთან სიშორით გამოწვეულ დარდს უმსუბუქებს.

კი, კონტაქტი გვქონდა, კვირაობით ყოველთვის. ახლა, ჩვენი ის არის, ოფისი, გრაფიო, საიდანაც ვიღებთ წერილებს, საიდანაც ვიღებთ ამანათებს, საიდანაც ვაგზავნით ამანთს და წერილებს, იქ იკრიბება ყველა თიანელი, ვთქვათ, და კიდევ დუშეთისაც იყო იქ ახლო. და იქ ვხვდებოდით ყველა ერთმანეთს, მერე ვიკრიბებოდით სხვაგან, საჭმელად შევიდოდით სადმე კაფეში, ან ახლობელთან ვინმესთან. ზოგი თიანელი მოხუცთან იყო ისეთთან, ის მოხუცი ვერაფერს ვერ იგებდა, ვიყიდიდით რამეს, მივიდოდით, გავატარებდით დროს საღამომდე.

ნ. ქალი, 50 წლის, საბერძნეთი

ემიგრანტები, რომლებიც ისრაელიდან დაბრუნდნენ, საუბრობენ იმის შესახებ, რომ ხანდახან ისინი აწყობდნენ ექსკურსიებს სხვადასხვა ისტორიული ადგილების მოსანახულებლად, და ხვდებოდნენ ერთმანეთს იერუსალიმში არსებულ ქართულ რესტორანში "ნანა".

კი, ქართველებთან კონტაქტები გვქონდა, ერთმანეთთან მივდიოდით, მივდიოდით დასვენების დღეებში. იყო დაბადების დღეებიც, რაღაც განტვირთვები იყო პატარ-პატარა.

ბ. ქალი, 49 წლის, ისრაელი

შეხვდები თიანელი თაინელს, დაპატიჟებ, პარასკევი და შაბათი გაქვს უფლება რომ შენ რაც გინდა ის აკეთო, რასაც გინდა გააკეთებ, და დაპატიჟებ შენთან, რომ გინდა რომ დაილაპარაკო ქართულად, ახლობელია, ნაცნობია, ხვდები იქ, ძალიან ბევრს.

ი. ქალი, 37 წლის, საბერძნეთი, ისრაელი

შ: მითხრეს, რომ ისრაელში რაღაც ქართული რესტორანიაო
პ: რა თქმა უნდა, "ნანა", "ნანა". ქართული რესტორანია "ნანა". ის ქალი არის აქედან წასული, ქართველი ებრაელი გოგო, აღარც გოგოა, სადღაც მე მგონი, ჩემი ტოლი იქნება, 40 წლამდე არა. ოღონდ, ბავშვობიდან არის წასული და ძალიან უჭირს ცოტა ქართული ლაპარაკი უკვე. და გახსნა ქართული რესტორანი "ნანა", ქართული მენიუ აქვს, ხინკალიდან დაწყებული, ყველაფერი, ძალიან ძვირადღირებული, სხვათაშორის. ეგ ერთადერთი რესტორანია ქართული.

შ: და რაღაც შეკრებებზე შეიძლება რომ იქ წასულიყავით?
პ: ხო, მაგრამ მე არასდროს არ ვყოფილვარ, არა
შ: და თქვენ როცა იკრიბებოდით ხოლმე
პ: ჩვენ უფრო ოჯახებში, სახლში
შ: და ან თქვენთან მოდიოდნენ ან
პ: ან ექსკურსიაზე წავიდოდით ერთად, მაგალითად, ერთ მარშრუტკას იქირავებ, არი ეგრე, რომ – ისერუსალიმში, ვიტყოდით ხოლმე, ქართველები, ხო, აი, სად გვინდა წასვლა, სად წავიდეთ, ეხლა, ვიტყოდით. ზოგი იტყოდა იერუსალიმს, ზოგი – იყო ძველი იაფო, ძალიან ლამაზი, ძალიან, ძაან ბევრჯერ ვყოფილვარ. და რა ვიცი, სურათები, კამერითაც გადაღებული მაქვს.

ი. ქალი, 37 წლის, საბერძნეთი, ისრაელი

კი, საბერძნეთში ჩვენ გავდიოდით და ერთმანეთს ვხვდებოდით და მთელ დღეს ერთად ვატარებდით. და ისრაელში პარასკევის შუადღის შემდეგ თავისუფალი ხარ შაბათ საღამომდე. ლოცვის შაბათი რომ გავა, მაშინ დაიწყება მოძრაობა და პარასკევის 3 საამთამდე უნდა მოასწრო წასვლა, რომ შემდეგ ტრანსპორტი აღარ არის.

ლ. ქალი, 52 წლის, საბერძნეთი, ისრაელი

საზღვარგარეთ ბევრი ემიგრანტი მართლმადიდებელი ეკლესიების ხშირი სტუმარია. ეკლესიები თავისი პირველადი ფუნქციის გარდა, შეხვედრებისა და ახალი ამბების გაცვლის ადგილსაც წარმოადგენენ. ზოგი ემიგრანტი იმდენად აქტიურად ებმევა საეკლესიო ცხოვრებაში, რომ ხდება საეკლესიო გუნდის წევრი და მონაწილეობას იღებს ღვთისმსახურებაში. ამრიგად, შეგვიძლია ვისაუბროთ იმის შესახებ, რომ ქართველი ემიგრანტების ფორმალური გაერთიანებების არარსებობის მიუხედავად, ემიგრანტები მაინც ახერხებენ შეხვედრების ადგილების გამოძებნას, ახერხებენ ერთმანეთთან ურთიერთობას და პრობლემების ერთობლივად გადაჭრას, ფსიქოლოგიურად ამხნევებენ ერთმანეთს და შემლებისდაგვარად მათთვის ჩვეული კულტურული პრაქტიკების რეპროდუცირებას ახდენენ.

დასკვნა

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა დაბა თიანეთის მაგალითზე შეგვესწავლა და აღგვეწერა არსებული მდგომარეობა შრომით ემიგრაციასთან დაკავშირებით და ემიგრაციული ქსელების როლი თიანეთიდან შრომითი ემიგრაციის სტიმულირების პროცესში. რამდენადაც საქართველოში და, კერძოდ, თიანეთში მსგავსი მიზნების მქონე და მსგავს მეთოდოლოგიაზე დამყარებული კვლევა დღემდე არ ჩატარებულა, წინამდებარე კვლევა წარმოადგენს ემიგრაციული ქსელების შესწავლის პირველ მცდელობას ჩვენს ქვეყანაში. კვლევა ჩატარებულია როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მეთოდების გამოყენებით, რაც ასევე იშვიათად გვხვდება საქართველოში, მით უმეტეს – გარე მიგრაციული პროცესების კვლევისას. ამრიგად, ჩატარებული კვლევა გვთავაზობს მნიშვნელოვან მიგნებებს თიანეთიდან შრომითი ემიგრაციის ხასიათისა და მიზეზების შესახებ, რომლებიც უბიძგებს თიანეთელ ემიგრანტებს საზღვარგარეთ წასვლას. ჩამოყალიბებულია იმ "*გზების*" ტიპოლოგია, რომელთა მეშვეობითაც ხდება ემიგრანტების საზღვარგარეთ გამგზავრება, გამოვლენილია თიანეთელი ემიგრანტების მიმღები ქვეყნები, მათი დასაქმების სფეროები და აღწერილია დაბრუნებული ემიგრანტების საზღვარგარეთ ყოფნის გამოცდილება.

ამასთან, რამდენადაც მე არ მქონდა საშუალება დავყრდნობოდი საქართველოში და, კერძოდ, თიანეთში შრომითი ემიგრაციისა და ემიგრაციული ქსელების კვლევების უკვე არსებულ მონაცემებს, წინამდებარე კვლევა გარკვეულწილად აღწერით ხასიათს ატარებს. მიუხედავად ამისა, შეგროვილია მნიშვნელოვანი მასალა, რომელიც საშუალებას გვაძლევს უკეთ ჩავწვდეთ საქართველოდან შრომითი ემიგრაციის მამოძრავებელ ძალებს.

შრომითი ემიგრაცია თიანეთიდან, ისევე, როგორც საქართველოდან, გამოწვეულია იქ არსებული საკმაოდ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით. როგორც დაბრუნებული ემიგრანტები აღნიშნავენ, მათი ემიგრაციაში

წასვლა განპირობებული იყო იმით, რომ მათი ოჯახები ფიზიკური გადარჩენის პრობლემის წინაშე იდგა. ამავდროულად, აშკარაა, რომ, როგორც კი ხდება ოჯახების პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ემიგრანტები ცდილობენ გარკვეული თანხის აკუმულირებას, რათა რაიმე დამატებითი "შესძინონ" თავიანთ ოჯახებს – ეს შეიძლება იყოს ბინა თბილისში ან თიანეთში, მანქანა და ა.შ.

ასევე ნათელია, რომ ემიგრაცია თიანეთში შეფარდებით დეპრივაციას და უთანასწორობის ზრდას იწვევს – იმ ოჯახების შემოსავლები, რომლებიც იღებენ დახმარებას თავიანთი ემიგრანტებისგან, მნიშვნელოვნად აღემატება იმ ოჯახების შემოსავლებს, რომლებიც არ იღებენ ამგვარ დახმარებას. ეს კი, თავის მხრივ, ზრდის იმ ადამიანების რიცხვს, ვისაც თიანეთიდან საზღვარგარეთ წასვლა უნდა. ემიგრანტების ფულადი დახმარებების საშუალო წლიური ოდენობა შეფასებული იქნა როგორც 280 ათასი ევრო, თუმცა სავარაუდოა, რომ გზავნილების ოდენობა უფრო დიდია. მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, თუ თიანეთში ყოველწლიურად მხოლოდ 280 ათასი ევრო იგზავნება, ამ დახმარების ოდენობა მაინც შთამბეჭდავია. კვლევის ფარგლებში პირველად საქართველოში იქნა შესწავლილი, თუ კონკრეტულად რაზე იხარჯება საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი ფულადი დახმარება. როგორც კვლევამ აჩვენა, გამოგზანვილი დახმარების უდიდესი ნაწილი იხარჯება პირველადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რაც ასევე მიუთითებს თიანეთის მაცხოვრებლების მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

ამ ეტაპზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რთულ ეკონომიკურ პირობებში, რომელშიც თიანეთის მოსახლეობა იმყოფება, ემიგრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენენ საზღვარგარეთ მყოფი ნათესავები, მეგობრები და ნაცნობები, რომლებსაც შეუძლიათ მატერიალური დახმარება გაუწიონ პოტენციურ ემიგრანტებს. შესაბამისად, თიანეთის იმ მაცხოვრებლებს,

ვისაც საზღვარგარეთ გამგზავრება სურს, აღარ უწევთ მაღალპროცენტიანი ვალების აღება, ანდა ბინების გაყიდვა/დაგირავება, რაც ემიგრაციას ნაკლებად სარისკო, უფრო მომგებიან და მიმზიდველს ხდის. ამავდროულად, თიანეთელი ემიგრანტების უმრავლესობა მიმღებ ქვეყანაში არალეგალური სტატუსის გამო ვერ სარგებლობს იქ ოფიციალური ფინანსური სტრუქტურების მიერ შემოთავაზებული მომსახურებით და სწორედ ურთიერთდახმარების არაფორმალური ფონდები ეხმარება მათ ვალების უფრო ოპერატიულ გადახდაში ანდა სხვადასხვა სახის ინვესტიციების განხორციელებაში საქართველოში.

როგორც წინამდებარე კვლევამ აჩვენა, იმ დროს, როდესაც საზღვარგარეთ წასვლა სულ უფრო და უფრო რთული ხდება, რამდენადაც მიმღები ქვეყნები ცდილობენ შეზღუდონ შრომითი იმიგრანტების რაოდენობა, სწორედ ემიგრაციული ქსელების მეშვეობით ხდება შესაძლებელი საქართველოდან ემიგრანტთა გადინება. ეხმარებიან რა ერთმანეთს, ემიგრანტები რეალურად ხელს უწყობენ სოციალური ქსელების გაძლიერებას და იციან, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მათი მობილიზება და მათგან საპასუხო დახმარების მიღება.

საქართველოში არსებულ რთულ ეკონომიკურ მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, რაც თავისთავად უბიძგებს მოსახლეობას ემიგრაციისკენ, და თუ ამას დავუმატებთ ქართველი ემიგრანტების ემიგრაციული ქსელების მიერ გაწეულ მრავალმხრივ დახმარებას, ნაკლებად სავარაუდოა, რომ უახლოეს მომავალში შემცირდეს ემიგრაციის დონე საქართველოდან. უფრო მეტიც, თუ სოციალური კაპიტალის თეორიას დავუჯერებთ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდება, რამაც თითქოსდა ლოგიკურად უნდა გამოიწვიოს ემიგრაციის დონის შემცირება, ემიგრაციის დონე არ შემცირდება, რადგან ემიგრაციული ქსელები

თავისი განვითარების ისეთ სტადიას მიაღწევენ, როდესაც ისინი *თვითწარმოქმნადი* გახდებიან.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ემიგრაციული ქსელები იქმნება არა მარტო თიანეთელ ემიგრანტებსა და თიანეთში დარჩენილ მათი ოჯახის წევრებსა და ახლობლებს შორის, არამედ საქართველოს სხვა სოფლებიდან და ქალაქებიდან წასულ ემიგრანტებსა და საქართველოში დარჩენილ მათ ნათესავებს, მეგობრებსა და ახლობლებს შორის, როგორც ეს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შეგროვებული მონაცემებიდან ჩანს[113]. სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ საზღვარგარეთ ახლო ნათესავების ყოლა მნიშვნელოვნად ზრდის ადამიანის ემიგრაციაში წასვლის ალბათობას[114].

შესაბამისად, რაც უფრო გაფართოვდება ემიგრაციული ქსელები, მით უფრო მეტი რესურსის აკუმულირების საშუალება ექნებათ საქართველოში დარჩენილ პოტენციურ ემიგრანტებს, ემიგრაციასთან დაკავშირებული ხარჯები მათთვის უფრო ხელმისაწვდომი გახდება და, შესაბამისად, საქართველოს სულ უფრო და უფრო მეტი მოქალაქე შეძლებს ემიგრაციაში წასვლას.

---

[113] Profile of Potential Labor Migrants. Statistical Overview: July 2006 – March 2007. IOM.

[114] როგორც პალონი და მისი თანაავტორები მექსიკაში ჩატარებული კვლევის საფუძველზე ამტკიცებენ, ის ფაქტი, რომ აშშ-ში ინდივიდის უფროსი და ან ძმაა ნამყოფი, 3-ჯერ ზრდის მისი საზღვარგარეთ წასვლის ალბათობას. სავარაუდოა, რომ საქართველოშიც საზღვარგარეთ მყოფი ახლო ნათესავების ყოლა მსგავს ეფექტს ახდენდეს პოტენციურ ემიგრანტებზე, და ეს საკითხი დამატებითი შესწავლის საგანს წარმოადგენს. (იხ. A. Palloni, D.S. Massey, M. Ceballos, K.Espinosa, M. Spittel. "Social Capital and International Migration: A Test Using Information on Family Networks", in: *The American Journal of Sociology*, 106 (5) (2001), p.1295.)

რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს დაბა თიანეთიდან შრომითი ემიგრაციისა და თიანეთელი ემიგრანტების ემიგრაციული ქსელების შესწავლის მცდელობას. ის, რომ ემიგრაციას საქართველოდან საკმაოდ ფართო მასშტაბები აქვს მიღებული, 2002 წელს საქართველოში ჩატარებულმა საყოველთაო აღწერამაც უჩვენა, როდესაც დადგინდა, რომ 1989 წელთან შედარებით საქართველოს მოსახლეობა ერთ მილიონ ადამიანზე მეტით შემცირდა, რაც, როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, მეტწილად მოსახლეობის ემიგრაციითაა გამოწვეული.[115] საქართველო იმ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება, რომლის ემიგრაციის ამსახველი სტატისტიკური მონაცემები ნაკლები სანდოობით გამოირჩევა, რაც, ერთი მხრივ, სტატისტიკური აღრიცხვიანობის დაბალი ხარისხით და, მეორე მხრივ, გარე მიგრაციის დიდწილად არალეგალური ხასიათითაა გამოწვეული. ნათელია, რომ არსებული კვლევების ფარგლებში საქართველოდან შრომითი ემიგრაციის ანალიზისას უპასუხოდ რჩება საკმაოდ ბევრი კითხვა, მათ შორის – თუ რა როლს თამაშობენ ემიგრაციული ქსელები საქართველოდან შრომითი ემიგრაციის სტიმულაციის პროცესში; როგორ ხდება ფულადი დახმარების მიღება და რაში იხარჯება ემგირანტების მიერ გამოგზავნილი დახმარება; იცვლება თუ არა საქართველოდან შრომითი ემიგრაციული ნაკადების გენდერული შემადგენლობა და სხვა.

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა იმის დადგენა, თუ რა როლს თამაშობენ თიანეთელი ემიგრანტების ემიგრაციული ქსელები თიანეთიდან შრომითი ემიგრაციის სტიმულირებაში. ამასთანავე, ჩვენთვის ნათელი იყო, რომ ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა იმის გარეშე, თუ ჩვენ თავდაპირველად არ შევისწავლიდით იმას, თუ როგორი იყო თიანეთიდან შრომითი ემიგრაციის დონე, რომელი

[115] ა.გ. ვადაჭკორია, *გარე მიგრაციული პროცესები საქართველოში (1989-2002 წლები).* დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი. (თბილისი, 2004).

ქვეყნებისკენ იყო ის მიმართული, როგორი იყო თიანეთის მაცხოვრებლების, კერძოდ, ამჟამინდელი, დაბრუნებული თუ პოტენციური ემიგრანტების დემოგარფიული და სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები.

იმისათვის, რომ მიგვეღწია კვლევითი მიზნისთვის, აუცილებელი იყო შემდეგი კვლევითი ამოცანების ამოხსნა:

1. შეგვესწავლა ემიგრაციის დონე თიანეთიდან, ემიგრაციის მიმართულებები, ამჟამინდელი, დაბრუნებული და პოტენციური ემიგრანტების დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები;
2. დაგვედგინა, განვითარდა თუ არა თიანეთელ შრომით ემიგრანტთა ემიგრაციული ქსელები და რა თვისებები ახასიათებს ამ ქსელებს ამჟამად.
3. უწევენ თუ არა ემიგრაციული ქსელები რაიმე სახის დახმარებას პოტენციურ ემიგრანტებს და ემიგრაციის ქვეყნებში ახლად ჩასულ ემიგრანტებს, და თუ უწევენ – რა სახის დახმარებაა ეს.

კვლევის ჰიპოთეზა ჩამოყალიბებული იქნა შემდეგნაირად: დაბა თიანეთის მაგალითი ცხადყოფს, რომ ქართველი შრომითი ემიგრანტების ემიგრაციული ქსელები ხელს უწყობენ საქართველოდან შრომითი ემიგრაციის სტიმულირებას და გადამწყვეტ როლს თამაშობენ პოტენციური ემიგრანტების საზღვარგარეთ გამგზავრებაში. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ ემიგრაციის დონე საქართველოდან უფრო გაიზრდება, ვინაიდან სულ უფრო და უფრო მეტი ქართველი ემიგრანტი მიდის საზღვარგარეთ და მათ შეუძლიათ უზრუნველყონ საჭირო რესურსებით თავისი ახლობლები, ნათესავები, მეგობრები, ვისაც საზღვარგარეთ გამგზავრების სურვილი აქვს, და ხელი შეუწყონ მათ საზღვარგარეთ გამგზავრებას.

ნაშრომში წარმოდგენილია შრომითი ემიგრაციის თეორიების ანალიზი, რომელიც განხორციელებულია შემდეგი მეცნიერების

ნაშრომებზე დაყრდნობით: ჯ. ადამსი, რ. ვოლდინგერი, ჰ. ზლოტნიკი, ი. ლაითი, დ. მეისი, პ. პესარი, მ. პიორე, ა. პორტესი, რ. რემბო, ს. სასენ; საქართველოში მიგრაციული პროცესების განხილვა ემყარება შემდეგი ავტორების ნაშრომებს: ი. ბადურაშვილი, თ. გუგუშვილი, ა. ვადაჭკორია, რ. გაჩეჩილაძე, გ. სვანიძე, გ. წულაძე, ნ. ჭელიძე; აგრეთვე, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა და ორგანიზაცია "გადაარჩინეთ ბავშვების" მიერ გამოქვეყნებული კვლევების შედეგებს. კვლევის მეთოდოლოგიის დამუშავებისას გამოყენებულია შემდეგი ავტორების ნაშრომები: ბ. ბერგი, რ. გორდონი, რ. ვაისი, ჯ. ვან მანენი, რ. იინი, ვ. იოვ, ჯ. სპრადლი.

წინამდებარე ნაშრომი შედგება შესავლისგან, 4 თავისგან, დასკვნისგან, ბიბლიოგრაფიისა და ორი დანართისგან:

შესავალში განხილულულია საერთაშორისო შრომითი ემიგრაციის სპეციფიკა, ნაჩვენებია წინამდებარე კვლევის ადგილი საქართველოში ჩატარებულ მიგრაციულ კვლევებს შორის და აღწერილია სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა.

პირველ თავში წარმოდგენილია გამოკვლევის მიზნები და ამოცანები; აღწერილია და დასაბუთებულია კვლევის მეთოდოლოგია; მოცემულია კვლევის ადგილის დახასიათება. როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტის ხელთ არსებული მონაცემები არასრულია, ამიტომ მათ საფუძველზე შერჩევითი რეპრეზენტატული კვლევის ჩატარება არ იქნებოდა გამართლებული, რადგანაც ჩვენ არა გვაქვს ინფორმაცია გენერალური ერთობლიობის შესახებ. ასეთ ვითარებაში ჩვენ გადავწყვიტეთ ჩაგვეტარებინა კვლევა ერთ-ერთ მცირე ზომის დასახლებულ პუნქტში, რომელიც გამოირჩეოდა ემიგრაციის მაღალი დონით. მიგრაციის სფეროში მომუშავე ექსპერტებთან

კონსულტაციის საფუძველზე კვლევის ობიექტად შეირჩა დაბა თიანეთი[116].

ასევე, იმისათვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო შედეგების გადამოწმება და შედარება, გადავწყვიტე გამომეყენებინა როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მეთოდები, რაც უფრო დამაჯერებელი დასკვნების გაკეთების საშუალებას მომცემდა.

1) თვისებრივი კვლევა – სიღრმისეული ინტერვიუები

თვისებრივი კვლევის ძირითადი ნაწილი ჩატარდა 2006 წლის აპრილში. 10-დან 20 აპრილამდე ჩატარდა 20 სიღრმისეული ინტერვიუ[117] თიანეთში დაბრუნებულ ემიგრანტებთან და ამჟამინდელი ემიგრანტების ოჯახების წევრებთან. რადგან კვლევის პირველ ეტაპზე გამოკითხულ ემიგრანტებს შორის მხოლოდ ერთი მამაკაცი იყო, 2006 წლის სექტემბერში დამატებით ჩატარდა 4 ინტერვიუ საზღვარგარეთიდან დაბრუნებულ მამაკაც-ემიგრანტებთან[118]. ამრიგად, სულ ჩატარდა 24 ინტრევიუ, 19 – ქალ რესპონდენტებთან, 5 – მამაკაც რესპონდენტებთან. მათ შორის 12 ქალი და ხუთივე მამაკაცი იყვნენ დაბრუნებული ემიგრანტები, და 7 რესპონდენტი – ემიგრანტების ოჯახების წევრები. ყველაზე ახალგაზრდა რესპონდენტი იყო 22 წლის, ყველაზე ასაკიანი კი – 72 წლის.

ამასთანავე, აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი დაბრუნებული ემიგრანტის ოჯახის წევრი ინტერვიუს ჩატარების დროს იმყოფებოდა საზღვარგარეთ, და, შესაბამისად, შესაძლებელი იყო ინფორმაციის მიღება არა მარტო რესპონდენტების პირადი გამოცდილების, არამედ მათი ოჯახების წევრების გამოცდილების შესახებაც. უფრო მეტიც, რამდენიმე დაბრუნებული ემიგრანტი უახლოეს მომავალში აპირებდა საზღვარგარეთ

---

[116] კონსულტაციები ჩატარდა ბ-ნ ალექსანდრე ვადაჭკორიასთან, პროფესორ გიგი თევზაძესთან, პროფესორ გია წულაძესთან.

[117] სიღრმისეული ინტერვიუებისათვის შემუშავებული სადისკუსიო გეგმები იხილეთ: **დანართი** 2, გვ. 150.

[118] თვისებრივი კვლევა ჩატარდა ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის განყოფილების კვლევითი სტიპენდიის ფარგლებში.

გამგზავრებას და, ამრიგად, მე შევძელი ინფორმაციის მიღება ემიგრაციის მოსამზადებელი ეტაპების შესახებაც.

რესპონდენტების მოძიება შესაძლებელი გახდა თიანეთის მაცხოვრებლების დახმარებით[119]. მას შემდეგ, რაც კვლევის ობიექტი საბოლოოდ განისაზღვრა როგორც თიანეთში დაბრუნებული შრომითი ემიგრანტები, მე არანაირად არ შემიზღუდავს რესპონდენტების შერჩევის კრიტერიუმები – რესპონდენტი შეიძლება ყოფილიყო ყველა სრულწლოვანი საზღვარგარეთიდან დაბრუნებული ემიგრანტი.

2) რაოდენობრივი კვლევა – თიანეთის შინამეურნეობების აღწერა

რაოდენობრივი კვლევა – თიანეთის შინამეურნეობების აღწერა – ჩატარდა 2006 წლის აგვისტოს ბოლოს – სექტემბრის დასაწყისში[120]. რადგანაც ჩვენ არ გვქონდა ინფორმაცია არც თიანეთიდან ემიგრაციის დონის, არც შრომითი ემიგრანტების და არც დაბრუნებული თუ პოტენციური ემიგრანტების სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების შესახებ, შინამეურნეობების შერჩევითი კვლევის ჩატარება არ იქნებოდა გამართლებული. აღწერის ჩატარების შედეგად კი ჩვენ არ ვდგებით რეპრეზენტატულობის პრობლემის წინაშე, რადგან გროვდება ინფორმაცია მთელი გენერალური ერთობლიობის შესახებ.

თიანეთში ჩატარებული აღწერის შედეგად ჩვენ მოვაგროვეთ ინფორმაცია 1062 შინამეურნეობის შესახებ. კიდევ 210 სახლი ან ბინა კი დაფიქსირდა როგორც დაკეტილი, დასამთავრებელი ან/და დანგრეული. თუ გავითვალისწინებთ, რომ 2002 წლის აღწერის დროს თიანეთში

---

[119] ძირითადად მე მეხმარებოდნენ თიანეთში მცხოვრები შორეული ნათესავები და ნაცნობები. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ნატალია გონჯილაშვილს, ირმა თურქიაშვილს, ნინო ჩიხრაძეს და თამარ ყურშავიშვილს. ისინი არა მარტო დამეხმარნენ რესპონდენტების მოძიებაში, არამედ შუამავლის როლიც ითამაშეს მათთან პირველი კონტაქტის დამყარებისას – ის ფაქტი, რომ რესპონდენტების გაცნობისას მე რეკომენდაციას მიწევდნენ მათთვის კარგად ნაცნობი და პატივცემული ადამიანები, საშუალებას მაძლევა თავიდან ამერიდებინა "უცხო" მკვლევარის როლი, ამასთან, იწვევდა რესპონდეტების გულახდილობას და ნდობას ჩემს მიმართ.

[120] აღწერა ჩატარდა კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი – საქართველოს (CRRC Georgia) კვლევითი გრანტის ფარგლებში. გრანტის ნომერი: C05-4113.

დაფიქსირდა 1237 შინამეურნეობა[121], ცხადია, რომ ჩვენმა აღწერამ მოიცვა დღეისათვის არსებული თიანეთის ყველა შინამეურნეობა. ეს გვაძლევს საფუძველს ჩავთვალოთ, რომ მიღებული მონაცემები სრულად ასახავს თიანეთში შექმნილ ვითარებას[122].

აღწერისთვის შემუშავებული იქნა კითხვარი, რომელიც 7 შინაარსობრივი ბლოკისგან შედგებოდა. მიღებული ინსტრუქციის თანახმად, ინტერვიუერები ატარებდნენ ინტერვიუს ან შინამეურნეობის უფროსთან, ან საზღვარგარეთიდან დაბრუნებულ ემიგრანტთან, ან ოჯახის გათვითცნობიერებულ წევრთან[123].

მეორე თავი ეძღვნება შრომითი ემიგრაციის თეორიების განხილვას. წარმოდგენილია ყველა იმ თეორიის ანალიზი, რომელიც დღესდღეობით ყველაზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს მიგრაციული პროცესების შესწავლისას. ასევე, ყურადღება გამახვილებულია არსებული თეორიების გამოყენების შესაძლებლობებზე საქართველოს პირობებში.

მესამე თავში მოცემულია თიანეთიდან შრომითი ემიგრაციის საერთო დახასიათება. საქართველოდან შრომითი ემიგრაციის აღმწერი სხვა მონაცემებისგან განსხვავებით, თიანეთიდან უფრო მეტი ქალი მიდის ემიგრაციაში, ვიდრე მამაკაცი. საინტერესოა ისიც, რომ ძირითადად ემიგრანტები მიდიან არა რუსეთში, არამედ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის მიმართულებით. ყველაზე მეტი თიანეთელი ემგირანტი ამჟამად საბერძნეთში იმყოფება, და მათ უმრავლესობას ქალები შეადგენენ; მამაკაცები უფრო ხშირად ირლანდიაში და აშშ-ში მიდიან. თიანეთელი ემგირანტების დასაქმების სფერო ძირითადად არაკვალიფიციური სამუშაოს შესრულებით შემოიფარგლება – ქალები უვლიან მოხუცებს ან

---

[121] ინფორმაცია მიღებულია სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თიანეთის განყოფილების გამგის, თამარ ყურშავიშვილისგან პირადი კომუნიკაციის შედეგად.

[122] როგორც აღინიშნა, აღწერის მსვლელობაში ინტერვიუერებმა აღრიცხეს 210 დაკეტილი, დასამთავრებელი ან/და დანგრეული სახლი თუ ბინა, რომელთა შორისაც არის შინამეურნეობები, რომელთა ყველა წევრიც ამჟამად წასულია თიანეთიდან და საქართველოს სხვა დასახლებულ პუნქტში ან საზღვარგარეთ იმყოფება. შესაბამისად, ჩვენ გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ემიგრაციის დონე თიანეთიდან უფრო მაღალია, ვიდრე ეს ჩვენი კვლევის შედეგად ჩანს.

[123] კითხვარი იხილეთ: **დანართი** 1. გვ. 139.

ბავშვებს, მამაკაცები მუშაობენ მშენებლობაზე და დასაქმებულნი არიან სხვადასხვა სახის ფიზიკური შრომით.

აქვე განხილულია ის მიზეზები, რომლებიც უბიძგებს თიანეთის მაცხოვრებლებს ემიგრაციისკენ; საზღვარგარეთ გამგზავრების მარშრუტები, ემიგრანტების დანიშნულების ქვეყნები და თიანეთში დაბრუნების მიზეზები; რა როლს თამაშობს ემიგრანტების მიერ გაწეული ფულადი დახმარება თიანეთელი ოჯახების ცხოვრებაში. შრომითი ემიგრაცია თიანეთიდან, ისევე, როგორც საქართველოდან, გამოწვეულია იქ არსებული საკმაოდ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით. ბევრი დაბრუნებული ემიგრანტი აღნიშნავს, რომ მათი წასვლა ემიგრაციაში განპირობებული იყო იმით, რომ მათი ოჯახები ფიზიკური გადარჩენის პრობლემის წინაშე იდგა. ამავდროულად, აშკარაა, რომ, როგორც კი ხდება ოჯახების პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ემიგრანტები ცდილობენ გარკვეული თანხის აკუმულირებას, რათა რაიმე დამატებითი "შესძინონ" თავიანთ ოჯახებს – ეს შეიძლება იყოს ბინა თბილისში ან თიანეთში, მანქანა და ა.შ. ასევე ნათელია, რომ ემიგრაცია თიანეთში შეფარდებით დეპრივაციას და უთანასწორობის ზრდას იწვევს – იმ ოჯახების შემოსავლები, რომლებიც იღებენ დახმარებას თავიანთი ემიგრანტებისგან, მნიშვნელოვნად აღემატება იმ ოჯახების შემოსავლებს, რომლებიც არ იღებენ ამგვარ დახმარებას. ეს კი, თავის მხრივ, ზრდის თიანეთიდან საზღვარგარეთ წასვლის მსურველთა რიცხვს.

თიანეთელი ემიგრანტების ფულადი დახმარებების საშუალო წლიური ოდენობა შეფასებული იქნა როგორც 280 ათასი ევრო, თუმცა სავარაუდოა, რომ გზავნილების ოდენობა უფრო დიდია. მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, თუ თიანეთში ყოველწლიურად მხოლოდ 280 ათასი ევრო იგზავნება, დახმარების ეს ოდენობა მაინც შთამბეჭდავია. კვლევის ფარგლებში პირველად საქართველოში იქნა შესწავლილი, თუ კონკრეტულად რაზე იხარჯება საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი ფულადი დახმარება. როგორც კვლევამ აჩვენა, გამოგზანვილი დახმარების

უდიდესი ნაწილი იხარჯება პირველადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რაც ასევე მიუთითებს თიანეთის მაცხოვრებლების მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

მეოთხე თავი დეტალურად განიხილავს თიანეთელი ემიგრანტების ემიგრაციული ქსელების როლს თიანეთიდან ემიგრაციის სტიმულირებაში. ჩამოყალიბებულია ემიგრაციული ქსელების მიერ გაწეული დახმარების ტიპოლოგია. ასე, *ფინანსური* დახმარება წარმოადგენს დახმარების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სახეობას. ფინანსური დახმარება შეიძლება გაეწიოს პოტენციურ ემიგრანტს საზღვარგარეთ წასვლამდე, როგორც უპროცენტო ან დაბალპროცენტიანი სესხი ემიგრაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვის მიზნით. ემიგრაციის შემდეგ ურთიერთდახმარების არაფორმალური ფონდების დახმარებით ახლად ჩასულ ემიგრანტებს საშუალება ეძლევათ უფრო ოპერატიულად გადაიხადონ ვალები ან/და სხვადასხვა სახის ინვესტიციები განახორციელონ საქართველოში. ემიგრაციული ქსელების მიერ აღმოჩენილი *საინფორმაციო* დახმარების მეშვეობით პოტენციური ემიგრანტები იგებენ, ცხოვრების და მუშაობის რა პირობებია მიმღებ ქვეყნებში, როგორ შეიძლება ვიზის "გაკეთება", არის თუ არა მოთხოვნა ამა თუ იმ ტიპის მუშახელზე და ა.შ. ამასთანავე, ემიგრაციული ქსელების დახმარებით ხდება ინფორმაციის სწრაფი გადაცემა ვაკანსიების შესახებ, რომლებითაც შეიძლება ისარგებლონ ახლად ჩასულმა ან პოტენციურმა ემიგრანტებმა. *ინსტრუმენტული* დახმარება გამოიხატება იმაში, რომ ახლად ჩასულ ემიგრანტებს ხვდებიან აეროპორტში ან ავტოსადგურში; უზრუნველყოფენ საცხოვრებელი ადგილით, სადაც მათ შეუძლიათ დარჩნენა მანამ, სანამ სამსახურს არ იშოვიან, ეხმარებიან სამსახურის შოვნაში და ა.შ. ამავდროულად, ემიგრანტებმა შეიძლება ურჩიონ პოტენციურ ემიგრანტებს, თუ რომელ შუამავლებს მიმართონ ვიზის "გასაკეთებლად", ასწავლონ, თუ რა უნდა უთხრან საიმიგრაციო სამსახურის წარმომადგენლებს იმ შემთხვევაში, თუ ემიგრანტი აპირებს

პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნას, და ა.შ. ბოლოს, *ფსიქოლოგიური* დახმარება, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებს თიანეთელი ემიგრანტების ცხოვრებაში, რადგან ის საშუალებას აძლევს მათ გაუმკლავდნენ ნოსტალგიას, გადალახონ ფსიქოლოგიური პრობელემები და განიტვირთნენ. ამრიგად, შეგვიძლია ვისაუბროთ იმის შესახებ, რომ ქართველი ემიგრანტების ფორმალური გაერთიანებების არარსებობის მიუხედავად, ემიგრანტები მაინც ახერხებენ შეხვედრების ადგილების გამოძებნას, ერთმანეთთან ურთიერთობას და პრობლემების ერთობლივად გადაჭრას, ფსიქოლოგიურად ამხნევებენ ერთმანეთს და შეძლებისდაგვარად ახდენენ მათთვის ჩვეული კულტურული პრაქტიკების რეპროდუცირებას.

დასკვნაში შეჯამებულია კვლევის შედეგები, წარმოდგენილია მათი მნიშვნელობა საქართველოდან შრომითი ემიგრაციის ახსნის პროცესში. რამდენადაც საქართველოში და, კერძოდ, თიანეთში მსგავსი მიზნების მქონე და მსგავს მეთოდოლოგიაზე დამყარებული კვლევა დღემდე არ ჩატარებულა, წინამდებარე კვლევა წარმოადგენს ემიგრაციული ქსელების შესწავლის პირველ მცდელობას ჩვენს ქვეყანაში. ამრიგად, ჩატარებული კვლევა გვთავაზობს მნიშვნელოვან მიგნებებს საქართველოდან შრომითი ემიგრაციის ხასიათისა და მიზეზების შესახებ, რომლებიც უბიძგებს თიანეთელ ემიგრანტებს საზღვარგარეთ წასვლას.

კვლევის ძირითადი მიგნებები: ამ ეტაპზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რთულ ეკონომიკურ პირობებში, რომლებშიც თიანეთის მოსახლეობა იმყოფება, ემიგრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენენ საზღვარგარეთ მყოფი ნათესავები, მეგობრები და ნაცნობები, რომლებსაც შეუძლიათ მატერიალური დახმარება გაუწიონ პოტენციურ ემიგრანტებს. შესაბამისად, თიანეთის იმ მაცხოვრებლებს, ვისაც საზღვარგარეთ გამგზავრება სურს, აღარ უწევთ მაღალპროცენტიანი ვალების აღება, ან ბინების გაყიდვა/დაგირავება, რაც ემიგრაციას ნაკლებად სარისკო, უფრო მომგებიან და მიმზიდველს ხდის.

რამდენადაც თიანეთელი ემიგრანტების უმრავლესობა მიმღებ ქვეყანაში არალეგალური სტატუსის გამო ვერ სარგებლობს იქ ოფიციალური ფინანსური სტრუქტურების მიერ შემოთავაზებული მომსახურებით, სწორედ ურთიერთდახმარების არაფორმალური ფონდები ეხმარება მათ ვალების უფრო ოპერატიულ გადახდაში ანდა სხვადასხვა სახის ინვესტიციების განხორციელებაში საქართველოში.

როგორც წინამდებარე კვლევამ აჩვენა, იმ დროს, როდესაც საზღვარგარეთ წასვლა სულ უფრო და უფრო რთული ხდება, რადგან მიმღები ქვეყნები ცდილობენ შეზღუდონ შრომითი იმიგრანტების რაოდენობა, სწორედ ემიგრაციული ქსელების მეშვეობით ხდება საქართველოდან ემიგრანტთა გადინება. ეხმარებიან რა ერთმანეთს, ემიგრანტები რეალურად ხელს უწყობენ სოციალური ქსელების გაძლიერებას, და იციან, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მათი მობილიზება და მათგან საპასუხო დახმარების მიღება.

საქართველოში არსებულ რთულ ეკონომიკურ მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, რაც თავისთავად *უბიძგებს* მოსახლეობას ემიგრაციისკენ, და თუ ამას დავუმატებთ ქართველი ემიგრანტების ემიგრაციული ქსელების მიერ გაწეულ მრავალმხრივ დახმარებას, ნაკლებად სავარაუდოა, რომ უახლოეს მომავალში შემცირდეს ემიგრაციის დონე საქართველოდან. უფრო მეტიც, თუ სოციალური კაპიტალის თეორიას დავუჯერებთ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდება, რამაც თითქოსდა ლოგიკურად უნდა გამოიწვიოს ემიგრაციის დონის შემცირება, ემიგრაციის დონე არ შემცირდება, რადგან ემიგრაციული ქსელები თავისი განვითარების ისეთ სტადიას მიაღწევენ, როდესაც ისინი *თვითწარმოქმნადი* გახდებიან.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ემიგრაციული ქსელები იქმნება არა მარტო თიანეთელ ემიგრანტებსა და თიანეთში დარჩენილ მათი ოჯახის წევრებსა და ახლობლებს შორის, არამედ საქართველოს სხვა

სოფლებიდან და ქალაქებიდან წასულ ემიგრანტებსა და საქართველოში დარჩენილ მათ ნათესავებს, მეგობრებსა და ახლობლებს შორის, როგორც ეს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შეგროვებული მონაცემებიდან ჩანს[124].

შესაბამისად, რაც უფრო გაფართოვდება ემიგრაციული ქსელები, მით უფრო მეტი რესურსის აკუმულირების საშუალება ექნებათ საქართველოში დარჩენილ პოტენციურ ემიგრანტებს, ემიგრაციასთან დაკავშირებული ხარჯები მათთვის უფრო ხელმისაწვდომი გახდება და, შესაბამისად, საქართველოს სულ უფრო და უფრო მეტი მოქალაქე შეძლებს ემიგრაციაში წასვლას[125].

მიუხედავად იმისა, რომ კვლევა მხოლოდ თიანეთში ჩატარდა, ჩვენ ვთვლით, რომ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თიანეთი არ წარმოადგენს საქართველოს განსაკუთრებულად გამორჩეულ და განსხვავებულ დასახლებულ პუნქტს, კვლევის შედეგად მიღებული მიგნებები შესაძლოა ამა თუ იმ ფორმით რელევანტული იყოს საქართველოს სხვადასხვა დასახლებული პუნქტებიდან შრომითი ემიგრაციის შესწავლისას.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე გამოქვეყნდა ორი სტატია:

- Зурабишвили Тамара. (2007). Миграционные сети трудовых эмигрантов из Тианети. *Вестник Общественного Мнения: Данные, Анализ, Дискуссии*, *3(89): 56-65*. (*რუსულად).*
- Зурабишвили Тамара и Зурабишвили Тинатин. (2007). Назначение денежных переводов эмигрантов из Тианети: непродуктивное

[124] Profile of Potential Labor Migrants. Statistical Overview: July 2006 – March 2007. IOM.

[125] როგორც პალონი და მისი თანაავტორები მექსიკაში ჩატარებული კვლევის საფუძველზე ამტკიცებენ, ის ფაქტი, რომ აშშ-ში ინდივიდის უფროსი და ან ძმაა ნამყოფი, 3-ჯერ ზრდის ადამიანის საზღვარგარეთ წასვლის ალბათობას. სავარაუდოა, რომ საქართველოშიც საზღვარგარეთ მყოფი ახლო ნათესავების ყოლა მსგავს ეფექტს ახდენდეს პოტენციურ ემიგრანტებზე, და ეს საკითხი დამატებითი შესწავლის საგანს წარმოადგენს. (იხ. A. Palloni, D.S. Massey, M. Ceballos, K.Espinosa, M. Spittel. "Social Capital and International Migration: A Test Using Information on Family Networks", in: *The American Journal of Sociology*, 106 (5) (2001), p.1295.)

потребление или инвестиции в производство? *მიგრაცია*. (გვ. 97-107). თბილისი: უნივერსალი. (*რუსულად).*

მესამე სტატია, რომელიც ასევე ეძღვნება თიანეთელი ემიგრანტების ემიგრაციული ქსელების ანალიზს, გამოქვეყნდება ჰაირიხ ბიოლის ფონდის სტიპენდიანტების ნაშრომების კრებულში 2007 წლის დეკემბერში.

კვლევის შედეგების აპრობაცია მოხდა 2006 წლის 20 ოქტომბერს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მიერ ორგანიზებულ სემინარზე, რომელიც მიეძღვნა ფულადი გზავნილების თემას და მათ მნიშვნელობას ეკონომიკური განვითარების პროცესებში (http://www.iom.ge/index.php?releases&s_remittances). სემინარზე მე გავაკეთე მოხსენება ფულადი გზავნილების მნიშვნელობის შესახებ თიანეთში ჩატარებული კვლევის მაგალითზე. ასევე, კვლევის შედეგები წარმოდგენილი იქნა კავკასიის სარესურსო კვლევით ცენტრში გაკეთებულ პრეზენტაციაზე 2007 წლის 21 ივნისს, და 2007 წლის 30 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტისა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ თსუ-ში ორგანიზებულ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე “მიგრაციის პრობლემები საქართველოში”.

ბიბლიოგრაფია:

1. ვადაჭკორია, ა.გ. *გარე მიგრაციული პროცესები საქართველოში (1989-2002 წლები).* დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი. თბილისი 2004.
2. გაჩეჩილაძე, რ. *მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები.* გაერო, თბილისი 1997.
3. გუგუშვილი თ. *საქართველოს გარე მიგრაციულ-დემოგრაფიული პრობლემები (1990-1998 წლები).* ოფის-პრესი, თბილისი 1998.
4. გუგუშვილი თ. *არალეგალური მიგრაცია და მიგრანტთა უკანონო გადაყვანა საქართველოში.* მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, თბილისი 2000.
5. ზურაბიშვილი თ. *თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში,* სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი 2006.
6. მიგრაცია. უნივერსალი, თბილისი 2007.
7. პატურაშვილი თ. 1996. *ერწო-თიანეთის ისტორიიდან.* წიგნი I. სამშობლო, თბილისი, 1996.
8. საქართველოს ეროვნული ბანკი, "მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი". № 4 (94), იანვარი-დეკემბერი, თბილისი (2006).
9. *საქართველოს მოსახლეობა.* საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი 2003.
10. საქართველოს სტატისტიკური წელიწლეულები. 2001-2006 წწ. თბილისი.
11. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ვებ-გვერდი: http://www.statistics.ge/_files/georgian/census/2002/mosaxleobis%20ricxovnoba%20da%20gansaxleba.pdf
12. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 4. თბილისი 1979.

13. წულაძე, გ. *ემიგრაცია საქართველოდან 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით.* ჯისიაი, თბილისი 2005.
14. ჭელიძე, ნ. *შრომითი ემიგრაცია პოსტსაბჭოთა საქართველოდან.* ლეგა, თბილისი 2006.

15. Зурабишвили Т., Зурабишвили Т. **"**Назначение денежных переводов эмигрантов из Тианети: непродуктивное потребление или инвестиции в производство?" в: მიგრაცია Universal Tbilisi: p. 97-107, (2007).
16. Зурабишвили Т. "Миграционные сети трудовых змигрантов из Тианети" в: *Вестник Общественного Мнения: Данные, Анализ, Дискуссии*, *3(89): 56-65*. (2007).
17. Сванидзе, Г. *Эмиграция из Грузии и ее причины: Результаты социологического опроса*. Институт Открытого Общества, Тбилиси 1996.
18. Народонаселение мира в 2006 году. Миграция молодежи. ЮНФПА 2006.
19. Народонаселение мира в 2006 году. Путь к воплощению надежды? Женщины и международная миргация. ЮНФПА 2006.
20. Зайончковская Ж.А. *Миграционные процессы после распада СССР*. М.: ИНП. 1994. Вып. 5, 4.
21. «Уровень бедности в Грузии сократился на 3,6%» http://www.regnum.ru/news/697379.html. (дата посещения: 22 декабря 2006 года).
22. Adams, R. H., Page J. "The Impact of International Migration and Remittances on Poverty", in: S. M. Maimbo, D. Ratha (Eds.), *Remittances: Development Impact and Future Prospects*. World Bank Publications, Washington, D.C. 2005.
23. Adams, R. H. Jr. "International Migration, Remittances, and the Brain Drain: A Study of 24 Labor-Exporting Countries". The World Bank Policy Research Working Paper 3069. World Bank < http://www-wds.worldbank.org/external/default/WDSContentServer/IW3P/IB/2003/07/08/000094946_03062104301450/Rendered/PDF/multi0page.pdf> (მოძიებულია: 05/20/2006), 2003.

24. Adams, R. H., Page J. International Migration, Remittances and Poverty in Developing Countries". The World Bank Policy Research Working Paper 3179. World Bank < http://www-wds.worldbank.org/external/default/WDSContentServer/IW3P/IB/2004/01/21/000160016_20040121175547/Rendered/PDF/wps3179.pdf> (მოძიებულია: 05/20/2006), 2003.
25. Adams, R. H. Jr. "Remittances and Poverty in Guatemala". The World Bank Policy Research Working Paper 3418. World Bank < http://www-wds.worldbank.org/external/default/WDSContentServer/IW3P/IB/2004/10/19/000012009_20041019140801/Rendered/PDF/3418WPS.pdf> (მოძიებულია: 05/20/2006), 2004.
26. Adams, R. H. Jr. "Remittances and Poverty in Ghana". The World Bank Policy Research Working Paper 3418. World Bank < http://www-wds.worldbank.org/external/default/WDSContentServer/IW3P/IB/2006/01/31/000016406_20060131160228/Rendered/PDF/wps3838.pdf> (მოძიებულია: 03/20/2007), 2006.
27. Adams, R. H. Jr. "International Remittances and the Household: Analysis and Review of Global Evidence". World Bank Policy Research Working Paper 4116. World Bank < http://www-wds.worldbank.org/external/default/WDSContentServer/IW3P/IB/2007/01/22/000016406_20070122114501/Rendered/PDF/wps4116.pdf > (მოძიებულია: 06/22/2007), 2007.
28. Badurashvili, I. "Determinants and Consequences of Irregular Migration in a Society under Transition. The Case of Georgia, Caucasus" <http://paa2004.princeton.edu/default.asp> (მოძიებულია: 05/20/2004), 2004.
29. Badurashvili I. "Illegal migrants from Georgia: labor market experiences and remittance behavior". IUSSP Conference. <http://iussp2005.princeton.edu/download.aspx?submissionId=51259> (მოძიებულია 25/12/2006), 2005.
30. Bagasao I.F. 2005. "Migration and Development: The Philippine Experience", in: S. M. Maimbo, D. Ratha (Eds.), *Remittances: Development*

Impact and Future Prospects. World Bank Publications, Washington, D.C. 2005.

31. Bauer, T., Epstein, G., Gang, I.N. "What are Migration Networks?" IZA Discussion Paper № 200. Institute for the Study of Labour, 2000.
32. Becker, H.S. *Tricks of the Trade: How to think about your research while you're doing it*. University of Chicago Press, Chicago 1998.
33. Berg, B. L. *Qualitative Research Methods for the Social Sciences*, Pearson Education Inc. Boston 2004.
34. Bielefeld, N., Koninh, A. "International Remittances: Delivering Fair Value", in: S. M. Maimbo, D. Ratha (Eds.), *Remittances: Development Impact and Future Prospects*. World Bank Publications, Washington, D.C. 2005.
35. Bourdieu, P., Wacquant, L. *An Invitation to Reflexive Sociology*. University of Chicago Press, Chicago 1992.
36. Boyd, M. Family and Personal Networks in International Migration – Recent Developments and New Agendas. *International Migration Review,* 23(3) (1989), p. 638-670.
37. Brettell, C.B., Hollifield, J.F. (Eds). *Migration theory: talking across disciplines.* Routledge, New York and London 2000.
38. Castles, S., Miller, M. J. *The Age of Migration: International Population Movements in the Modern World*. The Gulford Press, New York 2003.
39. Carletto, G., Davis, B., Stampini, M. "Familiar Faces, Familiar Places: the Role of Family Networks and Previous Experience for Albanian Migrants". ESA Working Paper No. 05-03. < www.fao.org/es/esa > (მოძიებულია 09/03/2007), 2005.
40. Cerrutti, M., Massey, D. S. On the auspices of female migration from Mexico to the United States. *Demography* 38(2), (2001), p. 187-200. (მოძიებულია 09/03/2007 JStore Database).
41. Choldin, H. M. "Kinship Networks in the Migration Process", in: S. Vertovec, R. Cohen (Eds.), *Migration, Diasporas and Transnationalism.* An Edward Elgar Reference Collection, Cheltenham 1999.

42. Conway, D., Cohen, J. H. "Consequences of Migration and Remittances for Mexican Transnational Communities" in: *Economic Geography*, 74(1) (1998).
43. Country Programme Action Plan 2006-2010 between The Government of Georgia and UNDP. Tbilisi 2006.
44. De Jong, G. "Expectations, gender, and norms in migration decision-making" in: *Population Studies*, 54 (2000), p. 307-319.
45. Dershem L., Khoperia T. *The Status of Households in Georgia*. Final Report. USAID, Save the Children, IPM, Tbilisi 2004.
46. Gordon, R. R. *Interviewing: Strategy, Techniques, and Tactics*. Dorsey Press, Homewood, IL 1975.
47. Goza, F. "Immigrant Social Networks: The Brazilian Case". <www.bgsu.edu/organizations/cfdr/research/pdf/2004/2004-02.pdf> (მოძიებულია 10/01/2005).
48. Hirschman, Ch. 1999. "Theories of International Migration and Immigration: A Preliminary Reconnaissance of Ideal Types" in: Ch. Hirschman, P. Kazintz, J. DeWind (Eds.), *The Handbook of International Migration: The American experience,* Russell Sage Foundation, New York 1999.
49. Howe, N., Jackson, R. *Projecting Immigration: A Survey of the Current State of Practice and Theory*. Center for Retirement Research at Boston College, Boston 2004.
50. Jahoda M., Lazarsfeld P.F., Zeisel H. *Marienthal*: *The Sociography of an Unemployed Community,* New Brunswick and London, Transaction Publishers 2003.
51. International Organization for Migration (IOM). *Labor Migration from Georgia*. IOM, Tbilisi 2003.
52. International Organization for Migration (IOM). *Hardship Abroad or Hunger at Home*. IOM, Tbilisi 2001.
53. Johnston, R., Trlin, A., Henderson A., North, N. "Sustaining and Creating Migration Chains among Skilled Immigrant Groups: Chinese, Indians and South Africans in New Zealand", in: *Journal of Ethnic and Migration Studies* 32(7) (2006), p. 127-1250.

54. Kuzmickaite, D. “The Adaptation of Recent Lituanian Immigrants in Chicago”, in *Lituanus*, 46 (2) < http://www.lituanus.org/2000/00_2_05.htm> (მოძიებულია 03/21/2006) (2000).
55. Krueger, R. A. *Focus Groups: A Practical Guide for Applied Research*. Sage, Newbury Park, CA1988.
56. Labbate, G., Jamburia, L., Mirzashvili, G. *Poverty Mapping in Georgia*. UNDP, Tbilisi 2003.
57. Light, I., Bhachu, P., Karageorgis, S. “Migration Networks and Immigrant Entrepreneurship”. <http://repositories.cdlib.org/issr/volume5/1> (მოძიებულია 03/21/2006), 1989.
58. Lin, N. *Social Capital: A Theory of Social Structure and Action.*Cambridge University Press, Cambridge UK 2002.
59. Marshall, G. *Dictionary of Sociology*. Oxford Unviersity Press, Oxford, New York 1998.
60. Massey, D. “Social structure, household strategies, and the cumulative causation of migration”, in: *Population Index,* 56, (1990), p. 3-26.
61. Massey, D. S. et al. “Theories of International Migration: A review and Appraisal”, in: *Population and Development Review* 19(3) (1993), p. 431-466.
62. Massey, D. S. “Why Does Immigration Occur? A Theoretical Synthesis”, in: Ch. Hirschman, P. Kazintz, J. DeWind (Eds.), *The Handbook of International Migration: The American experience,* Russell Sage Foundation, New York 1999.
63. Orozco, M. “Transnationalism and Development: Trends and Opportunities in Latin America”, in: S. M. Maimbo, D. Ratha (Eds.), *Remittances: Development Impact and Future Prospects*. World Bank Publications, Washington, D.C. 2005.
64. Palloni, A., Massey D.S., Ceballos, M., Espinosa, K., Spittel, M. “Social Capital and International Migration: A Test Using Information on Family Networks”, in: *The American Journal of Sociology*, 106 (5) (2001), p. 1262-1298 (მოძიებულია 08/03/2007 JStore Database).
65. Pessar, P. R. 1999. “The Role of Gender, Households, and Social Networks in the Migration Process: A Review and Appraisal”, in: Ch. Hirschman, P.

Kazintz, J. DeWind (Eds.), *The Handbook of International Migration: The American experience,* Russell Sage Foundation, New York 1999.

66. Piore, Michael J. *Birds of Passage: Migrant Labor in Industrial Societies*. Cambridge University Press, Cambridge 1979.
67. Pollock C. "A Snapshot of Migration: How one Mexican village is benefiting from its impacts" <http://www.ag.ohio-state.edu/~news/story.php?id=3687> (მოძიებულია: 05/12/2006), 2006.
68. Portes, A. "Immigration Theory for a New Century: Some problems and Opportunities", in: Ch. Hirschman, P. Kazintz, J. DeWind (Eds.), *The Handbook of International Migration: The American experience,* Russell Sage Foundation, New York 1999.
69. Portes, A., Rumbaut, R. G. *Immigrant America: A Portrait.* University of California Press, Berkeley, Los Angeles, London 1996.
70. Portes, A., Rumbaut, R. *Legacies: the Story of the Immigrant Second Generation*. University of California Press, Berkeley 2001.
71. Portes, A., Sensenbrenner, J. "Embeddedness and immigration: Notes on the social determinants of economic action", in *The American Journal of Sociology* 98(6) (1993), p. 1320-1350.
72. Portes, A. "Social Capital: Its Origins and Applications in Modern Sociology", in: *Annual Review of Sociology*, Vol. 24. (1998), p. 1-24.
73. Profile of Potential Labor Migrants. Statistical Overview: July 2006 – March, IOM, Migration Resource Centers – Georgia (unpublished), 2007.
74. Ratha, D. "Worker's Remittances: An Important and Stable Source of External Development Finance", in: S. M. Maimbo, D. Ratha (Eds.), *Remittances: Development Impact and Future Prospects*. World Bank Publications, Washington, D.C. 2005.
75. Sander, C., Maimbo, S. M., "Migrant Remittances in Africa: A Regional Perspective", in: S. M. Maimbo, D. Ratha (Eds.), *Remittances: Development Impact and Future Prospects*. World Bank Publications, Washington, D.C. 2005.
76. Sassen S. The Global City. Princenton University Press, NJ 2001.
77. Spradley, J.P. *The Ethnographic Interview*. Holt, Rinehart and Winston, New York 1979.

78. Stack, J. F. Jr. “Ethnic Groups as Emerging Transnational Actors”, ”, in: S. Vertovec, R. Cohen (Eds.), *Migration, Diasporas and Transnationalism.* An Edward Elgar Reference Collection, Cheltenham 1999.
79. Stahl, C. W. “Overseas Workers’ Remittances in Asian Development”, ”, in: S. Vertovec, R. Cohen (Eds.), *Migration, Diasporas and Transnationalism.* An Edward Elgar Reference Collection, Cheltenham 1999.
80. Stalker, P. *Workers without Frontiers: The Impact of Globalization on International Migration.* ILO, Boulder, CO, Lyenne Rienner Publisher, 2000.
81. Stark, O., Taylor, E. J. “Migration incentives, migration types: the role of relative deprivation”, in: *Economic Journal* 101(408) (1991), p. 1163-1178.
82. The Social Science Encyclopaedia. Routledge, London and NY 2003.
83. Trochim, W. M. K. *Research Methods: The Concise Knowledge Base.* Atomic Dog Publishing, Cincinnati, Ohio 2005.
84. Van Maanen, J., Dabbs, J.M., Jr., Faulkner, R.R. *Varieties of qualitative research*. Sage, Beverly Hills, California 1982.
85. Waldinger, R., Lighter M. *How the Other Half Works: Immigration and the Social Organization of Labor*. University of California Press, Berkeley 2003.
86. Weiss, R. S. *Learning from Strangers. The Art and Method of Qualitative Interview Studies*. The Free Press, New York 1994.
87. Woolcock, M., Narayan, D. “Social Capital: Implications for Development Theory, Research, and Policy”, in: *The World Bank Research Observer*, 15(2) (2000), p. 225-249.
88. World Bank Report. *Migration and Remittances in Eastern Europe and the Former Soviet Union*. World Bank Publications, 2006.
89. Yin, R. K. *Case Study Research: design and methods*. Thousand Oaks, Sage Publication Inc. 2003.
90. Yow, V. R. *Recording Oral History: a practical guide for social scientists*. Sage Publications, International Educational and Professional Publisher, Thousand Oaks, London, New Dehli 1994.
91. Zlotnik, H. “The Global Dimensions of Female Migration”. <http://www.migrationinformation.org./feature/print.cfm?ID=109> (მოძიებულია: 08/06/2007). 2003.

92. Zurabishvili, T., Zurabishvili, T. “Georgia: Persistent Paternalism” in: *Sociological Research*, 43(6) (2004), p. 87-97.